ეს გრად-ცია — ჩ ი რ გ ვ ი 'წვრილი ბუჩქი', ჯ ა გ ი 'წვრილი ჩირგვი'—ამ სიტყვათა ფაქტობრივი მნიშვნელობით არ დასტურდება, რაც კარგად ჩანს საბას შომდენო ლექსიკოგრაფების—ნიკო და დავით ჩუბინაშვილების—მიერ მოცემული დახასიათებდან:

ბუჩქი, ბუჩქნარი ('ზე) დაბალი ფიჩხი, კუსტ, კустარნიკ'. (ფიჩხი ნ. ჩუბინაშვილს ხვოროსტ-ად აქვს თარგმნილი, ამიტომ 'დაბალ ფიჩხალ' ბუჩქის განმარტება ზუსტი არ ჩანს).

ჩირგვი უთარგმნელად დაუტოვებია ნ. ჩუბინაშვილს, მაგრამ განუმარტავს კი როგორც 'უდი ქაგი', ხოლო სინონიმად ბუჩქი მიუწერია.

ქაგი 'შობალო ჩირგვად' არის მიჩნეული, მაგრამ ისევე კუსტ-ით არის თარგმნილი.

ტყევი-იტყვასთან ('დიდი და ხშირი ტყე') დახასიათებულია 'ტყის' ცნებიდან ამოსვლით ბუჩქიც ('დაბალი და მცირე [ტყე]'), აგრეთვე ქაგი და ჩირგვი ('[ბუჩქის] უმცირესი [ტყე]').

დავით ჩუბინაშვილი ჩირგვისა და ქაგის ნიკო ჩუბინაშვილისეულ განმარტებას იმორებს, ბუჩქის შემთხვევაში-კი სინონიმებად, ქაგვისა და ჩირგვის მიწერით კმაყოფილდება.

შეენიშნავთ, რომ ამ უქანასკნელ წლებში გამოსულ «სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში» ზოგ შემთხვევაში მოცემულია ცდა თითოეულ მათგანს საგანგებო რუსული შესატყვისი დაეძებნოს:

ბუჩქი — კუსტ, კустარნიკ, ჩირგვი — კустარნიჩეკ, ქაგი — колючий куст. მაგრამ სხვა შემთხვევაში ეს გარჩევა დაიწეებულია — ბუჩქი და ქაგი სინონიმებად გამოდის შემდეგ ტერმინებში: ბუჩქნარი, ჯაგნარი — заросли кустарников, ბუჩქსაქრელი, ჯაგსაქრელი — кусторез.

ბუჩქიც, ჩირგვიცა და ქაგიც «ლატის» ოთხსავე თარგმანში კუსტ-სიტყვის სათარგმნელად არის გამოყენებული, ოღონდ სხვადასხვა მთარგმნელის მიერ — სხვადასხვაგვარად:

	გ. ყიფშიძე	ნ. ავალიშვილი
1.7 ⁵ (терновыи) куст	(ეკლის) ბუჩქი	(ასკილის ბუჩქი
2.2 куст	ბუჩქი	ქაგი
3.3 в кустах	ბუჩქებში	ქაგებში
4.1 кустарник	ბუჩქები	ჯაგნარი
4.2 куст	ბუჩქნარი	ჯაგნარი
4.4 куст	ბუჩქი	ბუჩქი
4.5 куст	ბუჩქი	ბუჩქი
4.6 кустарник	ბუჩქნარი	ჯაგნარი

	კ. მესხი	ააკი
1.7 (терновыи) куст	—	(ეკალ-ნარი)
2.2 куст	—	ჩირგვი
3.3 в кустах	(ბუჩქი)	ჩირგვებში
4.1 кустарник	ბუჩქები	ბუჩქები
4.2 куст	—	ბუჩქნარი
4.4 куст	ბუჩქი	ჩირგვი
4.5 куст	—	ბუჩქი
4.6 кустарник	—	ბუჩქნარი

⁵ აქაც და ქვემოთაც დამოწმების დროს პირველი ციფრი მოქმედებას აღნიშნავს, მეორე — გამოსვლას.

როგორც ეხებათ, გ. ყიფშიძე და აგრეთვე, კ. მესხი ყველგან უყოყმანოდ და უგამონაყლისოდ ბუჩქით თარგმნიან *куча*-ს, აკაი ბუჩქის გვერდით ჩირგვსაც ხმარობს⁶ ხოლმე, ნ. ავალიშვილი კი უპირატესობას ჟაგს აძლევს; არ გვხვდება ჩირგვი ავალიშვილის თარგმანში და ჟაგი აკაისაში.

ამ დუბლეტების (ბუჩქი, ჩირგვი, ჟაგი) სხვადასხვა მთარგმნელის მიერ სხვადასხვაგვარი გამოყენება შემთხვევითი არ უნდა იყოს; აი, ზოგი სხვა დამატებითი მასალა.

ცნობები ვეაქას სიმფონიიდან (ინახება ზელნაწერად თბილისის უნივერსიტეტში ვეაქას კაბინეტში):

ჟაგი ვეაქასთვის ჩვეულებრივი სახმარი სიტყვაა — სიმფონიაში მისი ხმარების 40 შემთხვევაა დადასტურებული.

ბუჩქი თითხმეტყვარ გამოუყენებია ვეაქას: ვარდის ბუჩქი (ოთხყვარ), მაცვლის ბუჩქი, რცხილის ბუჩქი, ია—ბუჩქის ძირას, ია—ბუჩქებში (სამყვარ), კაკაკი—ბუჩქში, დამკენარი ბუჩქები, ბუჩქნარიანი ტყე, ბუღბუღი—ბუჩქნარში (გვხვდება აგრეთვე: ბუღბუღი ჟაგზე სტვენს), ეკლის ბუჩქები (გვხვდება ეკლის ჟაგიც). ბუჩქის ხმარების მნიშვნელოვანი წილი, როგორც ეხებათ, ლიტერატურაში მთარულ გამოქვეყნებებში გვხვდება (ვეარდის, იის, ბუღბუღის მუზობლად); ისიც საყურადღებოა, რომ ზოგ შემთხვევაში მისი მონაცელე ისევე ჟაგი ჩანს (ბუღბუღი—ბუჩქნარში და ჟაგზე, ეკლის—ბუჩქი ან ჟაგი).

ეფიქრობთ, შეეძლომ არ იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ვეაქას მეტყველებისათვის ბუნებრივია ჟაგი, ხოლო ბუჩქი პერიფერიული, ლიტერატურიდან შესული სიტყვაა, რაც შეეხება ჩირგვს, რომელიც ბუჩქთან შედარებით თავისთავად ეუთხური სიტყვა ჩანს, იგი ვეაქას ნაწერებში მხოლოდ ერთხელ უნდა გვხვდებოდეს, ისიც ჟირგვად დაბეჭდილი: ყურსუგდებს ჟირგვი, კინკარი, ათასწლოვანი მუხებნი⁷.

სამწუხაროდ, ასეთივე ამომწურავი ცნობები არა გვაქვს აკაის, ილიას და სხვა მწერლების სიტყვახმარების შესახებ. რაც შეეხება განმარტებითი ლექსიკონის სალო-კუმენტაციო ფონდს, იგი ასეთ სურათს წარმოგვიდგენს (არ გაგვითვალისწინებია მასალა ბუჩქის შესახებ. ეს სიტყვა საერთო-ლიტერატურულია და არ არის მოსალოდნელი რაიმე დამატებითი ცნობები მოგვეცეს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის):

ჩირგვიცა და ჟაგიც თ. რაზიყაშვილისა და შ. არაგვისპირელის ციტატებში თითქმის ერთგვარი სისშირით დასტურდება (8:8, 4:6).

უპირატესად ჩირგვი გვხვდება ი. გოგუაშვილის ციტატებში (19:3), უპირატესად ჟაგი — ბაჩანას და მიხ. ჯავახიშვილის ციტატებში (5:1).

⁶ საინტერესოა, რომ მეცნარეულის დაჯგუფებისას მოსალოდნელი ბუჩქის ნაცვლად აკაი ჩირგვს იყენებს: „ადგილობრივი ხეები..., ჩირგვები... ყვაილები... მხალეულობა... სოკოები“... ჩირგვეებში ჩამოთვლილია „კაპარი ანუ ჟონჯოლი, შქერი, მოცივი, იელი, ბაბუნაჯაღა, ასკილი, ეკალა, მაცვალა“ (იხ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 253).

⁷ თხზულებათა ხუროთმოძღვრება I ტ., გვ. 268. ჟირგვი მიიწინა ჩირგვად (მის ზეჟღერ დამახინჯებად) ალ. კინკარაულმა: ვეა-ჟშაჟელას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969. გვ. 344.

ჭ ა გ ი არ დასტურდება შემდეგი მწერლების ციტატებში: აკაკი, ბანოვანი, ი. გრიშაშვილი, ლ. გოთუა, ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ლ. ქიაჩელი, ა. კუმბაძე, აგრეთვე ი. ნონეშვილი.

პირიქით, მხოლოდ ჭ ა გ ი არის დადასტურებული და ჩ ი რ გ ვ ი არ გვხვდება ილიას, დ. გურამიშვილის, რ. ერისთავის, ნ. ლომოურის, შიო მღვიმელის და, აგრეთვე დ. შენგელიას ნაწერებიდან ამოღებულ ციტატებში.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი (მთა, კახეთი) ჭ ა გ ს აძლევს უპირატესობას, დასავლეთი საქართველო ჭ ა გ ს თითქმის უგულვებელყოფს. ჭ ა გ ი ქართლისათვისაც არ უნდა იყოს უცხო, მაგრამ ჩ ი რ გ ვ ი ს უპირატესობა აქ თვალსაჩინოა.

ამ საერთო სურათის ფონზე ვასაგებია, რომ ჭ ა გ ი ს ხმარება (ბ უ ჩ ქ ი ს გვერდით) ნ. ავალიშვილის თარგმანში შემთხვევითი არაა; ასევე არაა შემთხვევითი, რომ აკაკის თარგმანში ჭ ა გ ი არ გვხვდება. ბუნებრივია, რომ აკაკი ჩ ი რ გ ვ ი ს ა ც ხმარობს ბ უ ჩ ქ თ ა ნ ერთად, ხოლო ავალიშვილის მიერ ჩ ი რ გ ვ ი ს სრული უგულვებელყოფა მისი ლექსიკის ინდივიდუალურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

არსებული მასალის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დასახელებული სამი სიტყვიდან ბუჩქი საკუთრივ ლიტერატურული სიტყვაა, ჭაგი და ჩირგვი მისი დიალექტური დუბლეტები ყოფილა, მართალია, არა უცხო თვით სალიტერატურო ენისათვის. ერთგვარი მნიშვნელობის მქონე სამი სიტყვის თავმოყრამ (სალიტერატურო ენაში) გამოიწვია, ჩანს, სურვილი — მოეხდინათ მათი დიფერენციაცია საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით; მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა... არ შეიმჩნევა რაიმე სტილისტური სხვაობაც. დროთა ვითარებაში ქრება ამა თუ იმ სიტყვის ამა თუ იმ მწერლის მიერ მეტ-ნაკლები სიხშირით ხმარების დიალექტური საფუძველიც: თ. რაზიკაშვილისათვის ჩ ი რ გ ვ ი ჩვეულებრივ სახმარი სიტყვა გამხდარა; უკიდურესი დასავლეთიდან გამოსული მწერლებს ნაწერებში ჭ ა გ ი ც გვხვდება.

უფრო რთულია ქ ა ლ ი-სიტყვის მნიშვნელობებში გარკვევა.

ისევ საბას სიტყვის-კონით დავიწყოთ: „ღ ი ა ც ი ჩჩილით ბებრადმდე ქ ა ლ ი არს“, ე. ი. ქ ა ლ ი ს დუბლეტია ღ ი ა ც ი და აგრეთვე დ ე დ ა კ ა ც ი (რაკი საბას ლექსიკონში ღ ი ა ც ი და დ ე დ ა კ ა ც ი განმარტებათა ნაცვლად ერთმანეთთან არის გაგზავნილი: ღ ი ა ც ი 'დედაკაცი', დ ე დ ა კ ა ც ი 'ღიაცი'). სხვაგან, სახელდობრ, კ ა ც ი-სიტყვის განმარტებისას საბას სიტყვის-კონაში ქ ა ლ ი-სიტყვის სხვა მნიშვნელობაც არის გამოვლენილი: „შვილსა მამალსა მ ე და დედალსა ა ს უ ლ ი, რომელთა სიბერემდე ძესა ვ ა ე ი და ასულსა ქ ა ლ ი“ ეწოდება. ამრიგად, საბას სიტყვახმარებაში ქ ა ლ ი 'ასულსა' ნიშნავს და საზოგადოდ 'დედაკაცად'.

⁸ ჭ ა გ ი შეგვხვდა აკაკის ნაწერების მთლიანი გადათვალისწინების დროს მის ერთ ლექსში: ქ ა ლ ი ც ვ ა რ დ ი ს ჭ ა გ ი ა რ ი ს, ე კ ა ლ თ ა ნ ა ქ ე ს ყ ე ა ე ი ლ ე ზ ბ ი, ო რ შ ი ე რ თ ი ა ი რ ჩ ი ე, თ ვ ი თ ო ნ ჭ ა გ ს თ ა ვ ს რ ა ს ე ვ ლ ე ბ ი (იხ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 379).

ვეფხისტყაოსანში დედაკაცი სულ ერთჯერ გვხვდება: თუცა ქმართებს დედაკაცსა მამაციასა დიდი ქრძალვა, მაგრამ მეტად უაკეთა არათქმად ყოველთვის არ უნდა იყოს დედაკაცის ღებღებანი, მაგრამ იგი ყოველთვის არ უნდა იყოს დედაკაცის ღებღებანი, მაგრამ იგი ყოველთვის არ უნდა იყოს დედაკაცის ღებღებანი; ვეფხისტყაოსანში ასე უღივსოა ჩვეულებრივი, ამჟამად გაერკელებული მნიშვნელობით იხმარება; ამასთანავე, ქალი ყველაზე ხშირად მამის გვხვდება, როდესაც ლაპარაკია ახალგაზრდა ქალზე (თინათინი, ნესტანი, ასმათი), ზოგჯერ იქნება ასე უღივსოა ღებღებანი წარმოადგენდეს: ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა (51). ღმერთმან... ყმა არ მოგეცა, ქალი გვივის (508); თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე (562), შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე (566) და სხვ. ზოგიერთ კონტექსტში თითქოს საუბარებულად არ ჩანს ქალ-ფუძის 'ახალგაზრდის' ნიშანთვისება მიეწერებოდეს: არ მონაიყო, ტყუილია, ჩვენ ესე შევიგნითა; როშაქ შეატყო ქალობა, გეერდსა წაუღაც ხენითა (1229).

ოთხთავში დედაკაცი (აგრეთვე, ამ მნიშვნელობით დედა) მრავალჯერ გვხვდება, ხშირია ასე უღივსოა, ხოლო ქალი ათიოდჯერ გვხვდება და ყოველთვის 'ახალგაზრდა ქალს' აღნიშნავს.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ქალი თავისი მნიშვნელობით უპირისპირდება კაცს, მამაკაცს: — 'დედაკაცს' აღნიშნავს. გავიხსენოთ ილიასული: „დედაკაცი, ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი, ქალად დაუადნეთი“ ილია თითქოს ამ ორი სიტყვის უკან ორ ცნებას ხედავს და უპირატესობას დედაკაცს ანიჭებს როგორც, ასე ვთქვათ, უფრო სოლიდურს. ნამდვილად, საქმე ენება არა რეალურ განსხვავებებს ამ ორი სიტყვის მნიშვნელობებში, არამედ ქალის, დედაკაცის როლს თანამედროვე საზოგადოებაში.

თანამედროვე ქართულში ქალი ხშირად იხმარება 'ასულის' მნიშვნელობით და, ასევე, არაიშვითად, 'ახალგაზრდა ქალის, ქალიშვილის' მნიშვნელობით. ეს ორი უკანასკნელი მნიშვნელობა საქმოდ გაერკელებულია, მაგრამ ძირითადი მაინც პირველი მნიშვნელობა ('მდებრობითი სქესის ადამიანი, დედაკაცი') ჩანს.

დასავლურ კილოებში ქალი 'ციოლსაც' აღნიშნავს, როგორც აღმოსავლურ კილოებში — დედაკაცი; სამაგიეროდ დასავლურ კილოებში 'ასულის, ახალგაზრდა ქალის' მნიშვნელობით მას ენაცვლება ქალიშვილი.

ქალიშვილი ქართლ-კახეთშია გვხვდება, მაგრამ, ჯერ ერთი, ძირითადის, ქალის გვერდით ('ასულის' მნიშვნელობით) და მეორეც, განსხვავებული, დასავლურ კილოთათვის უცნობი მნიშვნელობით — 'ასულის შვილის' მნიშვნელობით. კაცმა რომ თქვას, აღმოსავლურ კილოებში ქალიშვილი-სიტყვაში ომონიმური წყვილი იფარება:

- ა) ქალიშვილი 'მდებრობითი სქესის შვილი' — აქ ქალი სახელობითია.
- ბ) ქალის შვილი 'ასულის შვილი' — აქ ქალი ფონეტიკურად გაცვეთილი ნათესაობითის ფორმაა.

პირველი ქალიშვილი აგებულებით მიჰყვება ვაჟიშვილი. ვაჟკაცი-სიტყვებს, მეორე ქალიშვილის ანალოგიურია მამიდაშვილი, ბიძაშვილი...

ის მნიშვნელობა, რაც ქალიშვილს დღევანდელ სამწერლო ენაში აქვს — 'ახალგაზრდა ქალი' — აღმოსავლურ კილოებში გოგონა-სიტყვით გადმოიკემა.

მიემართოთ განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდს: თუმცა ზერელე ანგარიშით გოგონა «დასაეღელ» მწერალთა ციტატებში თითქმის პარობის კიდევ. (18 «აღმოსავლელი» — 21 «დასაეღელი»), მაინც, გვგონია, აღმოსავლურ კილოებში უფრო მკვიდრია ეს სიტყვა, ვინემ დასაეღურში: «დასაეღელთაგან მხოლოდ ერთი ძველი მწერალი, გიორგი წერეთელი იყენებს მას, ისიც 'მღედრობითი სქესის ბავშვის მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას (ცხრა წლის გოგონა...); ფონდში არ გვხვდება აკაის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის ნაწერებში ამ სიტყვის ხმარების დამადასტურებელი ბარათები. რაც შეეხება «აღმოსავლელ» მწერალთა ციტატებს, აქ არაერთხელ შეხვდებით იაკობ გოგებაშვილის, ევას, შიო არაგვისპირელის, რაფიელ ერისთავის გვარს. ამ უკანასკნელის სიტყვახმარებაში გოგონა ნამდვილად 'ახალგაზრდა ქალი' არის და არა 'ბავშვი': ოხრავეს, გოგონა ნინოა, ქმარი იაკობავეა და ქვეყანა, შეილიცა: ქმარშვილიანი გოგონა გიორგი წერეთლისათვის წარმოუდგენელი იქნებოდა.

სამწერლო ქართულში ხმარებული ასული თითქმის მხოლოდ მწიგნობრული სიტყვაა, ტრადიციული, ძველი ქართულიდან მომდინარე, და თუ კილოებში აქა-იქ გვხვდება, სუარაუდებელია, რომ იქ „ზევიდან“ არის შესული.

სამწერლო ქართულში დედაკაცი 'მღედრობითი სქესის ადამიანის' მნიშვნელობით გვხვდება კი, მაგრამ იშვიათად, და მას ტრადიციის გარდა აღმოსავლური კილოები უჭერს მხარს.

ქალიშვილი, პირიქით, ახალი სიტყვაა სალიტერატურო ქართულში, მისი საუბრული (არა მწიგნობრული) ხასიათი ახლაც საგრძნობია. მისი ფართო გავრცელება დასავლური კილოების გავლენას შეიძლება მივაწეროთ: განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდში ქალიშვილი დადასტურებულია 24 «დასაეღელ» და 11 «აღმოსავლელ» მწერალთან (ამასთანავე თითქმის მხოლოდ 'ასულის' მნიშვნელობით); საინტერესოა, რომ აგებულებით ამ სატყვის ფარდი ვაჟეშვილი სწორედ «დასაეღელებშია» ნაკლებად გავრცელებული (შეფარდება 18:8 აშქარად «აღმოსავლელთა» უპირატესობაზე ლაპარაკობს).

«ლაღის» ქართული თარგმანები სამოცი წლის წინათ არის შესრულებული გამოცდილი (თითქმის ძველმოდურიც-კი) ლიტერატორების მიერ; ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა ქალი-სიტყვის გამოყენების სურათი.

ქალი თარგმანებში გვხვდება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დადასტურებული სამივე მნიშვნელობით, ე. ი. რუსული женщина-девушка და доч-სიტყვების ფარდად. მაგრამ სხვადასხვა მთარგმნელთან განსხვავებული ვითარებაა.

Женщина. ამ სიტყვის ქართულად გადმოცემის ხუთი შემთხვევიდან ქალი სიტყვა გ. ყიფშიძეს სრულებით არ უხმარია, ნ. ავალიშვილის თარგმანში ერთხელ გვხვდება; მაგრამ ამ მნიშვნელობით ქალი ჩვეულებრივი სიტყვაა კ. მესხისათვის (მის თარგმანში დაედასტურეთ სამჭერ) და აკაისათვის (ოთხჭერ).

Женщина-ს გადმოცემენ დედაკაციოთ გ. ყიფშიძე (ხუთსავე შემთხვევაში). ნ. ავალიშვილი (ოთხ შემთხვევაში) და აკაი (ერთხელ); კ. მესხის თარგმანში დიაციოც გვხვდება.

Девушка. გ. ყიფშიძის თარგმანში: ქალი (სამჭერ) და ქალწული (ორჭერ); ნ. ავალიშვილის თარგმანში: ქალი (ხუთსავე შემთხვევაში); კ. მესხის

• ქიზიუში დაუდასტურებია სტ. მენთეშაშვილს — იხ. ლექსიკონის განყოფილების დალაქტური ფონდი.

თარგმანში: ქალი (1), ქალწული (3) და გოგონა (1); აკაკის თარგმანში: ქალი (3), ქალიშვილი (2).

დაბოლოს, ძიხ-სიტყვის სათარგმნელად გამოყენებული აქვთ: გ. ყიფშიძეს — ქალი (3) და ასული (3), ნ. ავალიშვილს — ქალი (4) და ასული (2), კ. მესხს — ქალი (6), აკაკის — ქალი (2), ქალიშვილი (3) და ასული (2).

ამრიგად, женщина, девушка, дочь «დალატის» ქართულ თარგმანში შემდეგი სიტყვებით არის გადმოცემული: ქალი, დედაკაცი, დიაცი, ქალწული, ასული, ქალიშვილი, გოგონა. სალიტერატურო ქართულში მათი სტილისტური ღირებულება სხვადასხვაგვარია. უმეტესობა სრულფასოვანი წიგნური სიტყვებია, ორი სიტყვა-კი — ქალიშვილი და გოგონა — რომლებიც ამჟამად ლიტერატურულ ენაშიც ფართოდ არის გავრცელებული, ამ სამოცი წლის წინათ («დალატის» თარგმნის დროს), დედაკაცის, ასულის და სხვ. გვერდით, საუბრულ ელფერს ატარებდა. წიგნურ სიტყვათაგან დიაცი, ქალწული და ასული ტრადიციულ-ლიტერატურული სიტყვებია და ცოცხალ მეტყველებაში წიგნიდან არის გადმოსული; დანარჩენები — დედაკაცი და ქალი — ლიტერატურულთან ერთად ცოცხალი ენის კუთვნილებაცაა, კილოებში არის გავრცელებული; ერთი მათგანი — ქალი — კილოთა ორსავე (აღმოსავლურ, დასავლურ) ჯგუფთან არის დაკავშირებული, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელობით.

ამრიგად, ზემოდასახელებულ სიტყვათა ღირებულება სალიტერატურო ქართულში ასე შეიძლება დახასიათდეს:

ტრადიციულ-წიგნური: დიაცი (женщина). ქალწული (девушка), ასული (дочь), ქალი (девушка, дочь, женщина), დედაკაცი (женщина).

საუბრული: გოგონა (девушка), ქალიშვილი (девушка, дочь).

შეიძლება დაჭგუფება სხვა თვალსაზრისითაც მოვახდინოთ, კერძოდ: დიალექტური წარმომავლობის მიხედვით. ამ შემთხვევაში საერთო აღმოჩნდებოდა: დიაცი, ქალწული, ასული, დანარჩენი დიალექტთა ამა თუ იმ ჯგუფთან არის დაკავშირებული: აღმოსავლურია ქალი (девушка, дочь), დედაკაცი, გოგონა, დასავლურია: ქალი (женщина) და ქალიშვილი (девушка).

თუ ყველა დასახელებულ ნიშან-თვისებას („ტრადიციულ-წიგნური“, „საუბრული“, „აღმოსავლური“, „დასავლური“) ერთად გამოვიყენებთ, ზემოხსენებული სიტყვები ასეთ სქემაში განლაგდება:

(ტრადიციულ-) წიგნური: დიაცი, ქალწული, ასული.
(აღმოსავლურ-) წიგნური: ქალი (девушка, дочь), დედაკაცი.
(დასავლურ-) წიგნური: ქალი (женщина).
(აღმოსავლურ-) საუბრული: გოგონა (девушка).
(დასავლურ-) საუბრული: ქალიშვილი (девушка).

ეს სქემა, რათქმაუნდა, მხოლოდ დაახლოებით გამოხატავს ზოგად სურათს, ამიტომ შესაძლებელია ცალკე მთარგმნელის მიერ გამოყენებული სიტყვების მარაგი უფროდ ერთ რომელიმე დანაყოფში არ თავს-

დებოდეს და მის ფარგლებს სცილდებოდეს. ასე, (დასავლურ-)წიგნური ქალ-სიტყვით ЖЕНЩИНА-ს გაღმოსცემს «აღმოსავლელი» ნ. ავალიშვილიც, თუმცა მისთვის, რა თქმა უნდა, ძირითადია დედაქაცია. საინტერესოა, რომ (აღმოსავლურ-) საუბრული სიტყვის გოგონას გამოყენებას არ მორიდებია «დასავლელი» კ. მესხი. აკაკის თამამად შემოაქვს (დასავლურ-) საუბრული ქალიშვილი Девушка-ს ფარად, თუმცა მას არ უარუყვია (აღმოსავლურ-)წიგნური ქალი.

ის. რაც ნახევარი საუკუნის წინანდელი ვითარების ფონზე გაზოიჩნეოდა როგორც თავისებური, დღეს სალიტერატურო ქართულან ორდინარულ ფაქტებს წარმოადგენს: ქალიშვილს ახალგაზრდა ქალის მნიშვნელობით და, აგრეთვე გოგონას, ყოველ ფენის ნაბიჯზე ეხვდებით, ასევე გაბატონდა ქალი დედაქაცის მნიშვნელობით, ხოლო თვით სიტყვა დედაქაცის გამოყენება მნიშვნელოვნად შეიზღუდა: ავგუსტ ბებელის წიგნი დღეს რომ ეთარგმნათ, მას „დედაქაცია და სოციალიზმი“ აღარ ერქმეოდა.

სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობისაგან განსხვავებით მისი სტილისტური ღირებულების დასახასიათებლად ზემოთ გამოვიყენეთ ნიშან-თვისებათა წყვილი: წიგნური—საუბრული, ხოლო დიალექტური წარმომავლობის დასახასიათებლად—წყვილი: „აღმოსავლური“ — „დასავლური“. რა თქმა უნდა, ეს ნიშან-თვისებები უემარია ღრმა, ამომწურავი ანალიზისათვის, მაგრამ სანამ კვლევა არსებითად ნიადაგის წინასწარი მოსინჯვაა, უფრო დაწერილებითი დახასიათების არც საშუალება გვაქვს და არც აუცილებლობა იგრძნობა.

II

მ. მსგავსად КУСТ-სიტყვისა, «ღალატში» არის სხვა სიტყვებიც, რომლებსაც სხვადასხვა მთარგმნელი სხვადასხვაგვარად თარგმნის. ჭერჭერობით წარმოვადგენთ იმ სიტყვებს, რომლებიც რამდენჯერმე გვხვდება «ღალატში», ამიტომ სავარაუდოა მათ თარგმანში რაიმე რეგულარობა დადასტურდეს (ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით). ვიღებთ დუბლეტების ჯგუფს. ჩამოვწერთ ხმარების სიხშირის მიხედვით და შემდეგ აღერიცხავთ მათ გამოყენებას ამა თუ იმ მთარგმნელის მიერ.

არ ვითვალისწინებთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთ-ერთი მთარგმნელი გამოტოვებს დედნის სათანადო ადგილს. მაგ., стоят, понурив головы. ГЛАЗА ВЗЕМАЮ: თავდახრილი დგანან და ძირს დაიკეპრებია (ყიფშიძე); თავდახრით დედამიწას დაჰყურებენ (აკაკი); თავდახრილი სდგანან, მიწას ჩასცქერიან (ავალიშვილი)- I მოქმ. ეს ადგილი ს. მესხს არ უთარგმნია. ზოგჯერ ფრაზა თარგმანში ისეა შეცვლილი, რომ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ქართული შესატყვისი არაა გამოყენებული: ГЛАЗ-

я на гнездо Солеймана: დაქუერებს სოლეიმანის ბუნაგს (ყ); სულეიმანის ბუნაგს მისჩერებია (ა); ამ ბუღეს ვუტქერით (ბ); თვალს არ აშორებენ სულეიმანის ბუნაგს (აჲ) — IV, 2. აქ აკავის სიტყვისიტყვით თარგმანი არ მოუცია. глядеть-სიტყვის ქართულ შესატყვისთა დაანგარიშებისას ეს მაგალითები და სხვა მსგავსი შემთხვევები არ გავითვალისწინებია.

глядеть (глядит, глядят, глядишь, глядя, гляди...) -სიტყვის შესატყვისები შემდეგ შემთხვევებშია გათვალისწინებული:

недвижно глядит вверх: გარინდებით იცქირება მაღლა (ყ); უძრავად მაღლა იცქირება (ა); იცქირება დაშტერებით მაღლისაკენ (ბ); უძრავად მაღლა შექუერებს (აჲ) — I მოქმ....

глядит на него: უცქერის მამას (ყ,ა); უცქერის (ბ); შექუერებს მამას (აჲ) — II, 2.

глядят друг на друга:... ერთმანეთს უცქერიან (ყ,ა); შესცქერიან ერთმანეთს (ბ); ერთმანეთს შექუერებენ (აჲ) — II, 2.

глядит на Дато: უცქერის დათოს (ყ,ბ); დათოს უცქერის (ა); დაუწყებს ყურებას (აჲ) — II, 8.

страстно глядит на него: გულსიტქმით უყურებს (ყ,ა); გაოცებით უცქერის (ა); ენებიანის თვალებით უცქერის (ბ) — II, 8.

глядят друг на друга: ერთმანეთს უცქერიან (ყ,ა, ბ); შექუერებენ ერთმანეთს (აჲ) — II, 8.

тот, на кого ты глядишь: რომელსაც შენ უყურებ (ყ,ა); ვისაც უცქერი (ა); რომელსაც შენ უცქერი (ბ) — II, 10.

глядя в окна: ფანჯრებს უცქერის (ყ); სარკმლებისაკენ იცქირება (ა); სარკმელს უყურებს (ბ); ფანჯერს შექუერებს (აჲ) — III, 1.

глядит в глаза: ჩასცქერის თვალებში (ყ); თვალებში უცქერის (ა); აცქერდება (ბ); თვალებში შესჩერებია (აჲ) — III, 5.

глядит на Эрекле: შესცქერის ერეკლეს (ყ,ა); უცქერის ერეკლეს (ა,ბ) — III, 10.

глядя на Рухайю: უცქერის რუქაიას (ყ,ბ); რუქაიას უცქერის (ა); მისჩერებია რუქაიას (აჲ) — III, 10.

глядим друг на друга: შევეცქერით ერთმანეთს (ყ); ვუცქერიოთ ერთმანეთს (ა); ერთმანეთს ვუცქერით (ბ); შევეყურებთ ერთმანეთს (აჲ) — III, 11.

глядя с глубоким страданием: შექუერებს... ღრმამწუხარებით (ყ); დიდი გულშტკიენეულობით... უყურებს (ა); ღრმასიყვარულით უცქერის (ბ); შექუერებს მწუხარებით (აჲ) — IV, 2.

глядит ей в глаза: აცქერდება ისახარს (ყ); თვალებში უცქერის (ა, ბ); თვალებში შეჩერდება (აჲ) — V, 2.

глядя ей в глаза: დააშტერდება (ყ); თვალებში უცქერის (ა); თვალებში შესცქერის (ბ); თვალებში შეხედავს (აჲ) — V, 4.

не гляди так: მიყურებ მაგრა (ყ); ეგრა ნუ მიცქერი (ა,მ); ნუ მიყურებ მანგრა (აყ) — V, 4.

Зейнаб глядит на него взглядом, как бы глядела смерть: ზეინაბი ისე უყურებს, თითქოს სიკვდილს შესცქერისო (ყ); ზეინაბი იმ თვალებით უცქერის, რა თვალებითაც სიკვდილს დაუწყებდა ცქერას (ა); ზეინაბი ისე შესცქერის, თითქოს იმის წინმართლა სიკვდილი დგას (მ); ზეინაბი ისე უყურებს, თითქოს სიკვდილს შესცქერისო (აყ) — V, 4.

глядит на Метех: მეტეხისაკენ იყურება (ყ); მეტეხს უცქერი (ა); მეტეხისაკენ გაიყურება (მ); მეტეხს მისჩერებია (აყ) — V, 6.

что ты глядишь в ночную темноту: რას უცქერი ამ სიბნელეში (ყ); ამ ბნელაში რას უცქერი (ა); დამეში რას მისჩერებიხარ (მ); რას უყურებ ამ ბნელ დამეში (აყ) — V, 6.

не глядя на него: არ უყურებს (ყ); არ უცქერის (ა); არ უყურებს (გ); არც კი უყურებს (აყ) — V, 7.

не глядит на него: არ უყურებს შვილს (ყ); არ უცქერის შვილს (ა); არ უყურებს მკვდარს (მ); არც კი უყურებს შვილს (აყ) — V, 10.

долго глядит на него: დიდხანს დაჰყურებს (ყ); დიდხანს უცქერის (ა); დიდხანს შესცქერის (მ); დიდხანს დაჰყურებს (აყ) — V, 10.

როგორც ვხედავთ, глядеть-სიტყვის ფარად ცქერ-ფუძე ოთხსავე მთარგმნელს აქვს გამოყენებული (III, 10: შესცქერის — ყ, აყ; უცქერის — ა, მ); ასევე უყურებს (II, 10 — ყ, IV, 2 — ა, V, 7 — მ, V, 4 — აყ). უცქერის და უყურებს თანაბრად არის სალიტერატურო ქართულის კუთვნილება. მაგრამ თუ მთელ მასალას გავითვალისწინებთ (ამა თუ იმ ფუძის ხმარების ყველა შემთხვევას აღვრიცხავთ), ჩვენს ცოდნას ამ საკითხში მნიშვნელოვნად დავაზუსტებთ: უცქერის ყიფშიძეს გამოუყენებია 13-ჯერ, ავალიშვილს — 22, მესხს — 17, აკაკის — 1; უყურებს: ყიფშ. — 9, ავალიშვ. — 1, მესხს — 4, აკაკის — 17. ანუ: უცქერის ადმოსაელებს — 35, დასაელებს — 18, უყურებს — 10 და 21. აქ წარმოდგენილ მასალაში თვალსაჩინოა ადმოსაელებთან სიტყვახმარებაში უცქერის უპირატესობა, დასაელებებისაშია — უყურებს ს-სიტყვისა.

глядеть—სიტყვის ყველა შესატყვისის გათვალისწინება ასეთ სურათს მოგვცემს: უცქერის, ჩასცქერის, შესცქერის, იცქირება, აცქერდება — 53 შემთხვევაში არის გამოყენებული, უყურებს, დაჰყურებს, შეჰყურებს, იყურება — 31, შესჩერებია, მიჩერებულნი — 5, შეხედავს — 1, დააშტერდება — 1.

მთარგმნელთა მიხედვით:

	ყიფშიძე	ავალიშვილი	მესხი	აკაკი
უცქერის...	13	22	17	1
უყურებს...	9	1	4	17
შესჩერებია...	—	—	1	4
შეხედავს	—	—	1	—
დააშტერდება...	1	—	—	—

თუ ამ ცხრილს გავამარტივებთ, ე. ი. სიტყვებს დაეჯგუფებთ მეტ-ხაკუნის სიხშირის („ა“, „ბ“) და მთარგმნელთა წარმომადგომის („აღმ.“, „დას.“) მიხედვით, მივიღებთ:

	„აღმ.“	„დას.“	საერთო რაოდენობა
„ა“	35	18	53
„ბ“	11	27	38

„ლალატის“ ქართული თარგმანები კიდევ ათი-თორმეტი ასეთი ცხრილს შედგენის საშუალებას იძლევა.

		ყ.	ა.	მ.	აყ.
быстро, ая II, 2 II, 6 III, 4 III, 4 IV, 1 IV, 7 V, 4	სწრაფი...	4	4	—	3
	ჩქარი...	3	3	3	3
	უცებ	—	—	2	1
	მალე	2	—	—	—
	მარდი	—	—	2	—
верить (кому) I, 5 I, 5 I, 5 IV, 1 IV, 2 V, 3 V, 3 V, 4 V, 4	ენდობა...	6	4	—	2
	ერწმუნება	2	4	4	2
	სჯერა	1	—	4	3
	სწამს	—	—	—	1
победить V, 2 V, 2	ძლევს...	2	2	1	—
	დაიპყრობს	—	—	2	1
	მოგრევა	—	—	—	2
продать ('предать') I, 2 I, 4 II, 8 III, 2 V, 7 V, 7	გაყიდა	4	3	1	3
	გასცა	1	—	3	1
	გაცეალა	—	1	1	1
	ულალატა	—	—	1	—
простить III, 10 III, 10 III, 11 IV, 7 V, V, 10	შემინდებ...	2	2	3	5
	მომიტევებ...	7	1	—	—
	მაბატიებ...	—	3	3	2
	შებრალება	—	—	1	—
	უკაცრავად	—	—	—	—
рабыня I I, 3 I, 5 II, 2 II, 10 III, 4	მძევალი	7	7	1	4
	მონა	2	—	6	2
	მოახლე	—	—	—	3
	ხასა	—	—	—	1
смотреть I, 2 II, 2 II, 10 III, 7 IV, 2	უცქერის	2	4	2	—
	ხედავს	1	2	1	2
	უყურებს	2	—	—	2
	მიაჩერდება	—	—	1	1

		ყ.	ა.	მ.	აქ.
спаси	ხსნა	11	11	11	2
I, 3 I, 4 II, 8 III, 11	გადარჩენა	4	5	1	10
IV, 2 IV, 2 IV, 7 IV, 7	შველა	1	—	5	6
IV, 7 V, 7 V, 7 V, 7	გამოიყვანს	—	—	1	—
V, 7 V, 7 V, 7 V, 7 V, 7	დაიფარავს	—	1	—	—
V, 9	გაუფრთხილდება	1	—	—	—
стража	დარაჯი	12	16	6	6
I, 1, 1, 2 I, 2 I, 2	მცველი	4	—	3	3
II, 10 II, 10 III, 1	მეთვალყურე	—	—	—	6
III, 4 III, 6 III, 6	გუშაგი	—	—	5	—
IV, 1 IV, 1 IV, 2 IV, 2	ჯარი...	—	—	3	—
IV, 3 V, 3	რაზმი	1	—	—	1
	კარისკაცი	—	—	—	1
трусливый	მხდალი	2	2	1	1
I, 3 V, 1	მშიშარა	—	—	1	2
	ჯაბანი	—	—	1	—
	ლაჩარი	—	—	1	—
уїди	წადი	2	3	1	1
II, 8 III, 1	მომშორდი	—	—	1	2
	გამეცალე	1	—	—	—
	გასწი	—	—	1	—
церковь	ეკლესია	4	6	3	1
I I, 1 I, 4 II, 2	საყდარი	1	—	2	3
II, 2 III, 1	ტაძარი	1	—	1	2

ზემოთ წარმოდგენილი მასალა რომ ერთ ცხრილში გავაერთიანოთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

	„აღმ.“	„დას.“	საერთო რაოდენობა
„ა“ (ხშირი)	191	103	294
„ბ“ (იშვიათი)	31	110	141
ს უ ლ	222	213	435

ამ ცხრილში მოცემულია, ცნობები 13 რუსული სიტყვის (უკეთ — ფუძის) ფარდად გამოყენებული 53 ქართული სიტყვის (ფუძის) ხმარების შესახებ.

ამ სიტყვათა ხმარების 435 შემთხვევიდან ხშირი ხმარების („ა“) ჯგუფზე მოდის 294, იშვიათისაზე („ბ“) — 141.

„აღმოსავლელ“ მთარგმნელებზე — ხმარების 222 შემთხვევა, „დასავლელზე“ — 213.

ხშირი ხმარების ჯგუფიდან „აღმოსავლელთა“ წილად მოდის 191 (66%), „დასავლელთა“ წილად — 103 (34%).

პირიქით, იშვიათი ხმარების ჯგუფიდან „აღმოსავლელთა“ წილად მხოლოდ 31 (22%) მოდის, „დასავლელთა“ წილად კი — 110 (78%).

ამრიგად, ხშირი ხმარების სიტყვები უპირატესად „აღმოსავლელ“ მთარგმნელებს ახასიათებს, იშვიათი ხმარებისა — „დასავლელებს“.

„აღმოსავლელ“ მთარგმნელთა სიტყვახმარების 222 შემთხვევიდან 191 მოდის „ა“ ჯგუფზე, რაც საერთო რაოდენობის 86% არის, ხოლო „ბ“ ჯგუფზე — 31, ე. ი. მხოლოდ 14%.

„დასავლელ“ მთარგმნელთა სიტყვახმარებაში შეფარდება სხვაგვარია: 213 შემთხვევიდან „ა“ ჯგუფზე მოდის 103, ე. ი. 48%, ხოლო „ბ“ ჯგუფზე — „იშვიათზე“! — 110 ანუ 52%.

ის, რაც დამახასიათებელი აღმოჩნდა ყიფშიძე-ავალიშვილისათვის, დამახასიათებელი ჩანს საზოგადოდ საერთო ქართულისათვისაც: რაც ყიფშიძე-ავალიშვილისათვის იშვიათია (31—14%), იშვიათია საერთო ქართულშიც (141 — დაანგარიშებული მასალის 32%).

მაგრამ ეგვევ მასალა მესხისა და აკაკის სიტყვახმარებაში მთარგმნელების სრულყოფილებიან კომპონენტად გამოიყურება (52%), რაც იმის შედეგია, რომ მათ თარგმანებში სინონიმის მეტი გასაქანი აქვს. უნდა შევნიშნოთ, რომ სინონიმთა სიმრავლე ყოველთვის ღირსება არაა; მას ზოგჯერ მნიშვნელობის გაბუნდოვანება ახლავს, ე. ი. სიტყვახმარების სიზუსტის ხარჯზე არის მოპოვებული (წმრ. ზემომოყვანილ მაგალითებში *радня* — *მოახლე*-სიტყვით, *стража*-ს გადმოცემა *ჯარი*- და *ჯარისკაცი*-სიტყვებით...). ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს, მასზე აქ ვერ შეეჩერდებით. მაგრამ თავისთავად, ამ შეფასებითი მიდგომის გარეშეც, სინონიმთა სიმრავლის მიხედვით „აღმოსავლელ“ და „დასავლელ“ მთარგმნელთა განსხვავება იმის ღირსია, რომ შევეცადოთ აეხსნათ იგი. ახსნა უნდა ვეძებოთ, ჩვენი ვარაუდით, იმ ფაქტში, რომ „აღმოსავლელი“ მთარგმნელები იყენებენ შედარებით მონოლითურ ლექსიკას, რამდენადაც მათი კუთხური სიტყვები მნიშვნელოვანწილად ემთხვევა სამწერლო ქართულისას, მაშინ როდესაც „დასავლელები“ იყენებენ გარდა სამწერლო ენის ლექსიკისა საკუთარი, მშობლიური დიალექტისთვის დამახასიათებელ სიტყვებსაც, რომლებიც არაიშვიათად დიალექტურ სინონიმებს წარმოადგენენ.

ამავე ცხრილის ცნობები, დამავალი სიხშირით წარმოდგენილი, ასეთ სახეს იღებს:

191 (44 %)

110 (26 %)

103 (24 %)

31 (7%)

აქედან უხშირესია (44 %) „ა“ ჯგუფი „აღმოსავლელთა“ ხპარები-სა, ძალზე იშვიათია (7%) მათივე „ბ“ ჯგუფი.

შუა ჯგუფები ავლენს დიდ სიახლოვეს ერთმანეთთან და დიდ დაშორებას კიდურა (I—IV) ჯგუფებთან.

ეს მონაცემები, ვფიქრობთ, მიგვანიშნებს, რომ XX ს. დასაწყისის სალიტერატურო ქართულის საყრ-ველთაოდ გავრცელებულ ლექსიკაშიც კი არსე-ბობს დიალექტური დაფენება, თუნდაც არამკაფი-ოდ გამოხატული ტენდენციის სახით. იგი ადასტურებს, აგრეთვე, აღმოსავლურის უპირატეს როლს საერთო ქართული ლექსი-კური ფონდისათვის.

საინტერესოა, დაგვიდასტურებს თუ არა ამ ვარაუდს ლექსიკურ დუბლეტთა უფრო სრული მიმოხილვა.

III

7. ჩვენ აღვრიცხეთ დაახლოებით ორი ათასი რუსული სიტყვის (და გამოთქმის) შესატყვისებში „ღალატის“ სხვადასხვა თარგმანში. მაგრამ ამ მასალიდან ჩვენთვის გამოსადეგი მხოლოდ მცირე წილი აღ-მოჩნდა (დაახლოებით ორასი).

საქმე ის არის, რომ ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა თარგმა-ნში დადასტურებული ლექსიკური სხვაობა შეიძლება უბრალოდ იმათ იყოს გამოწვეული, რომ ენაში არსებობს ლექსიკური დუბლეტები და მთარგმნელი თითოეულ შემთხვევაში გამოიყენებს იმას, რომელიც მო-ცემულ მომენტში მოაგონდება: *куча*. სიტყვის სათარგმნელად აკა-კი ხან ბუჩქს იყენებს და ხანაც ჩირგვს. უნაყოფო იქნებოდა თი-თოეული გამოყენებისას დიალექტური საფუძველი გვეძებნა¹⁰. ჩვენ მიერ აღრიცხულ შემთხვევათა მეტი წილი სწორედ ამ რიგისაა.

¹⁰ ყოველი სხვაობა, რაც ტექსტში გვხვდება..., თანაბარი ღირებულებებისა როდია ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. ვერ ვიტყვით: რაკი სინონიმებად-გამოუყენებიათ ორი სიტყვა, სხვადასხვა დიალექტის შემონატანიათ. არნ. ჩიქო-ბავა, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვე-ნებაში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. კრებული, მიძღვნილი აკად. ნ. ბერ-ძენიშვილისადმი. 1966, გვ. 94.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სხვაობის მიზეზს, შესაძლებელია, მთარგმნელის სტილის თავისებურება წარმოადგენს.

ისევე აკაის თარგმანებს რომ მივმართოთ:

«*расское письмо*» მას საქვეშევრდომო წერილად აქვს გადმოღებული (სხვა თარგმანებშია: ყურმოქრილი მონის და მონური). ამკარად იგრძნობა, რომ საქვეშევრდომო საკუთრივ აკაისეული სიტყვაა. აკაის სტილის თავისებურების კუთვნილებაა.

დღენის ფრაზა «*старстно, начиная ласкаться с Солей-маиом*» აკაის ასე უთარგმნია: ეგზნებ-ელერსება (სხვა თარგმანებშია: მგზნებარედელერსება, ესაყვარლება); «*Стараясь бытъ грозным*» — ცდილობს ხმა მოიძრისხანოს; «*маленькими, быстро бегающими глазами*» — წერილმოძრავთელეზიანი.

ასეთ უჩვეულო სიტყვაწარმოებასა და კომპოზიციას არაერთი ანალოგი დაეძებნება თვით აკაის სხვა თხზულებებში და ყველა ერთად აკაის სტილის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენს.

ასევე, აკაის ინდივიდუალური სტილისტური თავისებურების კუთვნილება გამოთქმა შენთ ფეხთა საფიანდაზოდ, რომელსაც რუსულში შეესაბამება «*повергнуть к стопам твоим*» (და რომელიც სხვა მთარგმნელებს ასე გადმოუღიათ: «შენ ფეხქვეშ დამემხო», «შენ ფერხთა წინაშე დამეგდო»).

«*საფიანდაზოდ*» არამართო წარმოებით არის აკაისებური, არამედ თვით ფუძეც «*ფიანდაზო*» დამახასიათებელია აკაის სტილისათვის (და ამ თარგმან-შივე სხვაგანაც გვხვდება).

ასეთი მასალა ჩვენთვის გამოუსადეგარია, რამდენადაც ძიების საგანია არა მწერლის ინდივიდუალური თავისებურებანი, არამედ მისი ნიშობლიური დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკის გამოვლენა.

ლექსიკურ ვარიანტებში დიალექტიზმების გამოვლენას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის სიძნელეც ახლავს, რომ არ მოგვეპოვება დიალექტების ლექსიკური ფონდის ამომწურავი აღწერა, რაც საშუალებას მოგვცემდა ამა თუ იმ მთარგმნელის მიერ გამოყენებული ლექსიკონი შეგვეწამებინა მისთვის და ამ გზით გამოგვეყო საერთო და განსხვავებული მასალა.

ამიტომ ჩვენ გამოვეყოფდით ისეთ სიტყვას, რომელიც სალიტერატურო ქართულისათვის მთლად ჩვეულებრივი არაა, ან რომელსაც სამწერლო ენაში დუბლეტი მოეპოვება და შემდეგ განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდის მოშველიებით ვცდილობდით ამ სიტყვის გაერცელების არე დაგვედგინა. დასკვნები შესაძლებელია ამა თუ იმ სიტყვის მიმართ ბოლომდე სანდო მაინც არ აღმოჩნდეს,

რაკი სადოკუმენტაციო ფონდში, ბუნებრივია, ამ სიტყვის ხმარების ყველა შემთხვევა არ არის აღრიცხული.

8. ამოწერილი მაშალის შესახებ ცნობები ჩვენს კარტოთეკაში ასეთი თანმიმდევრობით არის მოცემული:

მთარგმნელი, დამოწმება (მოქმედებაზე და სცენაზე მითითება), დედანი (ე. ი. სათანადო რუსული სიტყვა ან გამოთქმა), სხვა მთარგმნელთა მიერ შერჩეული შესატყვისები. შემდეგ წარმოდგენილია განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდში (და საჭიროების შემთხვევაში — დიალექტოლოგიურ ფონდში) დადასტურებული შეფარდება საძიებელი სიტყვის „აღმოსავლელ“ და „დასავლელ“ მწერლებთან ხმარებისა, ზოგჯერ, თუ საჭიროდ მივიჩნით, ავტორების ჩამოთვლით და ციტატებითაც¹¹. რამდენიმეჯერ თვით განმარტებითი ლექსიკონიცა გვაქვს მოშველიებული. აქა-იქ დამოწმებულია სიტყვის ხმარების შემთხვევები სადოკუმენტაციო ფონდის გარეშეც. ამას მოსდევს საჭირო შენიშვნები და დახასიათება წარმომავლობის, გავრცელების და სტილისტური ღირებულების მიხედვით.

წარმომავლობის დახასიათებისას გათვალისწინებულია — „ტრადიციულ“ სიტყვასთან გვაქვს საქმე, „აღმოსავლურთან“ თუ „დასავლურთან“. ზოგჯერ „ტრადიციულ“ სიტყვას კილოთა ერთ-ერთი ჯგუფი უმაგრებს მხარს — „აღმოსავლური“ ან „დასავლური“.

გავრცელების მიხედვით დახასიათება გულისხმობს სიტყვის მიჩნევას უკვე „საერთოენობრივ“ ოდენობად ან ჯერ კიდევ „კუთხურ“ სიტყვად.

საერთოენობრივი სიტყვები საჭიროების შემთხვევაში დახასიათებულია როგორც „წიგნური“ ან კიდევ როგორც „საუბრული“.

ზოგჯერ სიტყვას „საერთოენობრივად“ მივიჩნევთ (მისი ფართო გავრცელების გამო), თუმცა იგი ჩვეულებრივ მხოლოდ „აღმოსავლელ“ მწერალთა ან მხოლოდ „დასავლელ“ მწერალთა ნაწერებში გვაქვს.

კარტოთეკის მთლიანი წარმოდგენა არ ხერხდება, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვას შოვიყვანთ სანიშნოდ.

აკაკი 2. II: ა ბ ა ჰ ე ი ვ ი (ციფშიძისა და მესხის თარგმანშია ე ი, ავლიშვილსაში ვ ჰ ე ი). ზშირად გვხვდება აკაკის ამ თარგმანში და მის სხვა თხზულებებშიც. იგი წარმოდგენილია, როგორც ცნობილია, გ. ტაბიძის ცნობილ ლექსში მხარის მხარს (ა ბ ა ჰ ე აბა ჰ ე აბა მიეცეთ მხარი მხარს) და ბევრი სხვა «დასავლელი»

¹¹ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თ. სახოკია, თუმცა «დასავლელია», ფართოდ იყენებს ქართულ ლექსიკას. ბ. ჩხეიძე ქართლელია, მაგრამ იმერეთის მოსაზღვრე, რაც არაიშვიათად აისახება მის სიტყვახმარებაშიც.

ლელის ნაწარმოებში, ფართო გავრცელების გამო შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს გამოთქმა საერთოქართულში დამკვიდრების ტენდენციას იჩენს, რათქმუნდა, საუბრული ელფერი.

ყიფშიძე 3. 9: აბეზარი (მგელი სულეიმანი) ЛИТЪИ ВОЛК (აქაის და ავალიშვილის თარგმანებშია მძვინვარე). ამ (და არა 'თავომამბებრებლის') მნიშვნელობით უხმარიათ ვაჟას (აბეზარი მდინარე), ი. გოგვაშვილს (აბეზარი მებრძოლი), ილიას და —ზმნური ფორმით (აბეზრობს) — ბაჩანას. «დასავლელ» მწერლებთან (ნ. ლორთქიფანიძე, ა. ბელიაშვილი) იგი მხოლოდ 'თავომამბებრებლის' მნიშვნელობით გვხვდება. იქნებ იგი ჭერაც დიალექტურად მოსაველურა სიტყვად უნდა მივიჩნიოთ?

ავალიშვი. 4. 1: არამცნევი ნებენი е подавая вода (ყიფშიძისა და აქაის თარგმანებში — არ მიახვედრონ. ფუძე (და გამოთქმა) უქვეყლად დიალექტური — აღმოსავლური). საერთო ქართულში იგი არ გავრცელებულა. ილიას, ვაჟას და სხვა აღმოსავლელ მწერალთა ციტატების გვერდით ვხვდებით მხოლოდ ერთს დასავლურს: მონიხავს ბროლის სიმშვენიერე; მას არ უღგება აღი მწუხარე; ცრემლი არ გვაძნევეს გადამწვევტ უამზდ გადარღვეული ცეხლი მქუხარე (გ. ტაბიძე, რჩეული, 142). საერთოქართულობას ვერ დაადასტურებს გ. ტაბიძის ეს სტროფი, სადაც ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა (არ ამცნევეს) უფრო სიტყვიერ ორნამენტად ჩანს ნახმარი; ყოველ შემთხვევაში, ძნელია მისი საგნობრივი მნიშვნელობის დადგენა.

ავალიშვი. 1. 2: აყოენებ откладывает (ყიფშიძისა და აქაის თარგმანში ამ აღგილას გადადებაზე) ლაპარაკი, მესხს იგი ყოყმანიით უთარგმნია); 1:3: медлитხ (ყიფშიძე და აქაი წერენ: «ვაგვიანებლი», მესხი — არ ეჩქარობლი).

ყიფშიძე 1. 5: (რას) აყოენებ что же медлитх (სხვა თარგმანებშია თუურებ, აგვიანება). ეს ძველი მწიგნობრული სიტყვა ამჟამად საყოველთაოდ არის გავრცელებული, რასაც ადასტურებს სალექსიკონო ფონდში გამოქვეყნებული შეფარდებაც 10:51²; მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 5 დასავლელიდან XIX საუკუნის მწერალი მხოლოდ ერთია — ე. ნინოშვილი, ამიტომ სიტყვას აღმოსავლურა წარმომავლობისად ვახსიათებთ.

მესხი 1. 6: თანეყოლებე посылаю по его следам (ყიფშიძე: ეგზანი მის საზვერად, ავალიშვილი: ვგზანნი იმის კვალს სიიოს, აქაი: უნდა დავადვენო კვალდაკვალ). სალექსიკონო ფონდში «გაყოლებს», «წაყოლებს» წარმოდგენილია ე. დადიანის, ნ. დოლიძის, კ. კალაძის და ე. ნინოშვილის ციტატებით. «დალატის» თარგმანში (1.1) აქაისაც აქვს ნახმარი «ყოლებს (საჩივრებს)» — с о п р о в о ж д а е т (გამოთქმა თეალს გაყოლებს ა. ბელიაშვილის გვერდით მიხ. მრეველიშვილის ციტატითაცაა დადასტურებული). ვფიქრობთ, ეს ერთ-ერთი შემთხვევაა დასავლური ფორმის საერთო ქართულში შემოტანის ცდისა. იქნებ საუბრული ელფერთაუ ხასიათდებოდეს ეს სიტყვა საერთო ქართულში.

¹² აქაც და ქვემოთაც პირველი ციფრი აღნიშნავს იმ აღმოსავლელი მწერლების რაოდენობას, რომელთა ნაწერებიდან ამოღებულ ციტატებშიც აღმოჩნდა მოცემული სიტყვა; მეორე ციფრი — დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებს.

დანარჩენ მასალას მხოლოდ მოკლე დახასიათებით გადმოვცემთ.

- აქ. 1. 1 (თილისმები) აჩურჩხლული — (კილია თილისმები, თილისმებშემული) დახ. ენ. საუბ.
- უ. 1. 3 ბადალი (—მსგავსი), აღმოსავლ. 19: დასავლ. 8—აღმ. ენ. საუბ.
- ა. 3. 3 ბაჟი (—მღივამე, გომური, მიწური), 16:2—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 1. 7. 4. 1 მანი (—სახურავი, ერდო, კერი)—აღმ. ენ. ტრად.
- აქ. 3. 1 ბღვირი (—ქეშა), 0:3—დახ. კუთხ.
- ა. 1. 1 ბიღები (—ულვაშები), 3:0—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
- უ. 2. 1 ბოლთახ ხეშხ (—გაიელ-გამოიელის)—აღმ. ენ. საუბ.
- უ. 1. 1 ბორბოქი (—დუღენი, შხუილი, ხბურობა)—აღმ. კუთხ.
- ა. 4. 4 ბოხჩა (—გამოკრული ხელსახოცი), 15:7—აღმ. ენ.
- უ. 4. 2 ბუნავი (—ბუღე), 19:15 (XIXს.—13:1)—აღმ. ენ.
- ა. 5. 4 ბძარავხ (—წიწნის, აწამებს), 5:0—აღმ. ენ? ტრად. წიგნ.
- აქ. 2. 2 გადაფურცუხებხ (—ხელს კრავს)—დახ. კუთხ.
- აქ. 5. 1 გადაიკარბხ (—ქეჟა-ქუხილის, ქეჟვის შემდეგ)—დახ. ენ.
- უ. 5. 7 გაეშვებინება (—გამოეგლიყება, გამოუსხლტება, ხელს გამოკლევს)—აღმ.ენ.
- უ. 5. 7. 5. 9 გათანგული, 10:7—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 5. 5 გათახსირებული (—ზარდაცემული, ურვით, გველარ-ოცხალივით), 7:1—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 5. 7 გაიდის (—გულში ჩახედავს)— აღმ?, კუთხ?
- უ. 3.11 გაუწოღებხ (—გაუშერს), 6:2—აღმ. ენ.
- აქ. 3.11 გაკოკავხ (—შებოკავს, შეახვევს, შეკოკავს)—დახ. კუთხ.
- ა. 3.10 გამოუღვება (—დაეღვენება, მისღევს), 5:1—აღმ. ენ.
- უ. 2.2 გატყურება (—გაჩნდება, ამოყოფს თავს), 3:0—აღმ. კუთხ.
- ა. 6.1 გაუხსლტება (—ხელიდან გადარჩენა, დახწევა), 6:1—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 3.11 გაუძღვება (—გამოუძღვება, წაუძღვება), 5:1 (წაუძღვება—7:11)—აღმ. ენ.
- უ. 3.9 გაფრინდი (—გასწი, გაეჟანე)—აღმ. კუთხ.
- უ. 5.9 (მუხლს ქვეშ) გამაგრული (—მუხლით უკერია, მუხლდაბქენილი), 3:1—აღმ. ენ.-საუბ.
- უ. 4.7 გოროწი (—ამაყი), 7:7 (XIXს.—4:0)—აღმ? ენ. წიგნ.
- მ. 9.2 დანაცვლება (—დაიფარავს, ენაცვლება), 1:4—დახ. ენ?, საუბ.
- ა. 4.9 (მისელას) დაეშურება (—გაიქეუვა, მიიჭრება), 7:4 (XIXს.—6:1)—აღმ. ენ. საუბ.
- უ. 2.11 დასთობხ (—დაავღებხ, თავს მიაწებებს), 22:19 (XIXს. 14:4)—აღმ. ენ.
- უ. 2.5 დაკოღილი (—დაჭრილი), 17:12 (XIXს.—14:3)—აღმ. ენ. საუბ.
- უ. 5.10 დაოსებული (—მისუსტებული, ღონემიხდილი), 14:3—აღმ. ენ. წიგნ.
- აქ. 5.1 შორხ დაურჩება (—შორხ არის)— დახ. კუთხ.
- ა. 2.2 არავიხ დაუშავებხ (—ხელს არ დააქარვს, არ ერჩის), 26: 9—აღმ. ენ?.
- უ. 1.4 დაურხული (—ჩაფიჭრებული), 3:0—აღმ. ენ. წიგნ?.
- უ. 2.5 დაცხავებული (—დაცხრილული), 7:2—აღმ. ენ.
- უ. 1.2 დამრწის (—დახეტალოვს), 16:13— აღმ. ენ. წიგნ.
- უ. 4.6 დროული (—მოზუტებული), 11:5— აღმ. ენ. საუბ.
- უ. 2.9 დუნია (—ქეყანა). 13:3—აღმ. ენ? საუბ.
- უ. 1.2. 5.1 ემუდარება (—თხოვს, ეხეწება), 19:9—აღმ. ენ. წიგნ?.
- ა. 1.2. 1.5. 5.8 ერდო (—ტერასა, აივანი), 10:5—აღმ. კუთხ. ტრად.
- ა. 1.5. 4.4 ერწუნება (—ენლობა, სქერა), 20:9—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 2.5 ესე (—აგრე, ასე), 8:1—აღმ. კუთხ.

- უ. 4,2 ებლავე (—ახლავე)—აღმ. ენ.
- უ. 1,1 ვიღრე (—მღე)—აღმ? ენ. ტრად. წიგნ.
- აკ. 5,1 ვირთხა (—ვირთავა, თავეი), 1:4 (ვირთავეა—9:2)—დას. ენ. ხაუბ.
- ა. 2, 1 ზედლატანებაზე (—ამ დროს), 6:0—აღმ. კუთხ.
- უ. 2,8 ზეაი, (—შეაი, ლენქერი), 17:14—აღმ.?, ენ.
- უ. 2,8 ზოზინობს, 4:9! (XIX ს.—4:0)—აღმ. ენ.
- ა. 1,2 ზღურბლი (კარი, ბქე). 7:13! (დიალ. ფონლის მოწმობით ეს სიტყვა გავრცელებულია მთელ აღმ. საქართველოში, დასავლეთში კი მხოლოდ ზ. იმერ.)—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
- უ. 2,1 თავგზა დაბნევა (—გზაკელი დაბნევა, ევლარა გაუგია რა, სულ არია), 10:4—აღმ. ენ. ხაუბ.
- უ. 2,1 თავპირჩამობნელებული (—პირქეშად), თავპირი—8:4—აღმ. ენ.
- ა. 5,3 დაუკანტურებს (დაუქნებს), 3:1—აღმ. ენ. ხაუბ.
- უ. 1,3 (თავს) იკატუნებს (—ცბიერობს), 10:3—აღმ. ენ. ხაუბ.
- ა. 1,3 თავჩაქინდრული (—თავდახრილი, თავჩალუნული), 10'20! (ჩაქინდრაქს—9:6, ქინდრა—2:0)—აღმ. ენ. წიგნ.
- უ. 4,5 თამაშა (—თამაში, სერი), 8:0—აღმ. კუთხ. ტრად.
- ა. 5,1 თახჩა (—უკარო ღრმა განჯინა), 9:5—აღმ.?, ენ.
- ა. 5,3 თვალი უჭირავს (—ყურს უღდებს, თვალყურს ადევნებს), 16:7—აღმ. ენ. ხაუბ.
- ა. 4,7 თვალს აუბამს (—გააქურებს, დასცინებს), 4:0—აღმ. ენ. ხაუბ.
- ა. 3,9 თვალს შეასწრებს (—თვალს მოჰკარავს, შეამჩნევს შეხედავს), 9:5—აღმ. ენ. ხაუბ.
- ა. 1,2 თოჯინა (—თოჯა, ტიჯინა)—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 1,1 ღანდობს (—შეიბრალბს; ზოგავს და ფარავს), 19:14 (XIX ს.—15:2)—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
- უ. 2,1 იპოვის (—მოიგნებს), 14:4—აღმ. ენ.
- უ. 1,5 იწყრილებს (—გაიგებს, შეიტყობს, დაუკვირდება), 2:0—აღმ. კუთხ.
- ა. 2,2 კარგ ყოფაში (—კეთილი ცხოვრება, განცხრომა), 9:2—აღმ. ენ. ხაუბ.
- ა. 2,2 კსკასი (—კისკისებს, იცინის, ხიბობს), 13:1—აღმ. კუთხ.
- აკ. 4,6 კვებ-აბედი (—ტალ-კეესი, კეესი და კაეი)—დას. კუთხ.
- აკ. 3,11 კლიტი (—გასალბი)—დას. ენ.?, ხაუბ.
- უ. 2,5 კოპებს შეიკრავს (—წარბებს შეიკმუნის, წარბშერქმელი), 6:1—აღმ. ენ.
- უ. 2,2 კუნძი (—ჯირკი), 21:14—აღმ. ენ.
- უ. 3,10. 4,6 ღამის, 27:11—აღმ. ენ. წიგნ?
- მ. 2,8 ლენქერი (—ზეაი, შეაი) — დას?, კუთხ.
- უ. 2,2 მაგოდენა ქალი ხარ (—პატარა აღარა ხარ), 12:1—აღმ. ენ. წიგნ.?
- ა. 1,3 მამსერთა (—ერთადერთი)—აღმ. ენ. ხაუბ.
- აკ. 5,4 მანგრე (—მაგრე, ეგრე)—დას. კუთხ.
- ა. 1,2 რა მანქანაა, 2:0—აღმ. კუთხ.
- უ. 3, 9 მარგილი (—სარი), 20:3—აღმ. ენ.
- ა. 2,2 მახხარა ხაზე (—უშნო, მოქდანული, იღმიკება)—აღმ. კუთხ.
- 5,9 მატანტალა (—მაწანწალა), 3:1—აღმ. ენ. წიგნ.?
- 1 მავაცერა (—მაქატა და სწრაფად მოძრაეი, წერილმოდრავთვალეუბიანი)—აღმ. კუთხ.
- უ. 1 მავატა—აღმ. კუთხ.
- ა. 2,2 მაქლაჭუნა (—მახიჯი. მიმახი), 5:0—აღმ. ენ.?, ხაუბ.
- ა. 1,1 მებისტება (—მეხი), 4:0—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.

- ყ. 5,7 მიაფურჩენებს (—გააკარწყლებს, დაფარავს), 3:1—აღმ. ენ. წიგნ.
 მ. 2,4 მიაყურებს (—ყურს უგდებს), 1:9—დას. ენ.?, საუბ.
 ყ. 2,5 მიედ-მოედება (—ამბობს, ყბედობს), 10:3—აღმ. ენ. საუბ.
 აქ. 2,1 მიეყურება (—დიდხანს სვამს)—დას?, კუთხ.
 ა. 4,7 მიიწლანება (—ტაატით მიღის, მიჩანჩალებს), 5:1—აღმ. ენ. საუბ?
 ყ. 2, 11 მიმტენარებული ხმით (—მიყრუებული ხმით, ხმის შეწყვეტით), 3:0—აღმ ენ?
 აქ. 5,1 მიმზღურობა (—გულთამხილაობა, გამკვერტელობა), 0:4—დას. კუთხ.
 აქ. 1,1 მიუტოვებს (—მიასეებს), 0:3—დას. ენ.?
 ყ. 2,5 მიფრატუნდება (მიჩანჩალებს, მილოლებს), 6:2 აღმ. ენ. საუბ.
 აქ. 4,7 შკვიდრი (—ლეილი), 0:2—დას.?, ენ. წიგნ.
 ყ. 2,10 მლაშე (—მარილიანი), 4:0—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 აქ. 4,1 მოაწრუკვიებს (—გადააყლაპებს, ცოტას დააღუეინებს), 2:1—დას.?, ენ. საუბ.
 ყ. 2,9 მოიშწვანილებს (—არ ასიამოვნებს, არ მოეწონება) (ეგვეე სიტყვა უხმარიათ ავალშვილს «ვიდრე ჰხვალ» და ო. ჩხეიძეს «ვეერანჯია»)—აღმ. კუთხ.?
 აქ. 4,7 მოიხაკლიხებს (—გაახსენდება, მოავონდება), 3:0—დას. ენ. საუბ.
 ა. 3,11 ...მოკიდებული (—დაწყებული) 8:5—აღმ. ენ. საუბ.
 ყ. 3, 11 მოსისხარი (—მძვინვარე, მხეცი). 0:71—დას.?, ენ?, საუბ.
 ყ. 3,5 (პირს) მოუკუშავს (—უკუშავს, ხელს მიიფარებს), 13:9 (მეწაეს—0: 7)—აღმ. ენ. წიგნ.?
 ა. 2,11 მოუხმეთ (—მოუწოდეთ, დაუძახეთ), 9:4—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 ყ. 3,11 მოფოფხავს (—ბობღვით), 5:1—აღმ. ენ.
 ა. 5,11 მოქურთმული (—თავპირჩამობნელებული), 2:0—აღმ.?, ენ. ტრად. წიგნ.
 აქ. 2,2 მოქდანული (—უმნო, მასხარა) დას. ენ.?, საუბ.
 ყ. 4,6 მუღამ (—ყოველთვის) აღმ. ენ. წიგნ.
 ყ. 1,1 მუშლი (—კოლო, მწერი), 5:2—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 ა. 2,10 მხარმარცხნივ (—მარცხნივ, მარცხენა მხრივ)—აღმ. ენ. წიგნ.?
 ყ. 3,5 მზალი (—ლაჩარი), 23: 12—აღმ. ენ. წიგნ.
 ა. 1,1 ნაბრჯღვილი (—ნახმლევი, ნაიარევი)—აღმ?, კუთხ.
 აქ. 2,1 ნაკვერცხალი (—ნაკვერჩხალი)—დას. ენ. ტრად. წიგნ.
 აქ. 4,1 (დარჩენ) ნაკლედ (—ცოტანი; იკლო) —დას. კუთხ.
 აქ. 2,10 ობროდობა (—სისულულე, ბოდება)—დას. ენ.?
 ყ. 1,2 ონავარი (—ხარბიზი, ბრახიანი, მხეცური), 7:3—აღმ. ენ. წიგნ.
 ყ. 3,11 პირველში (—წინეთ, აღრე), 12:2—აღმ. ენ.?, საუბ.
 ყ. 2,5 პირწავარდნილი (—ნამდეილი), 8:4—აღმ. ენ. საუბ.
 ა. 1,1 პიტალო ოქრო (—ბაჯალო), 4:0—აღმ. ენ.?, საუბ.
 აქ. 2,2 პურტყული (—ბურტყუნი, ბუტბუტი)—დას. კუთხ.
 ყ. 2,2 რად (—როგორ, რატომ)—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 ა. 2,5 რას ვაქნევ (—რად მინდა, რა არის ჩემთვის აღმ. კუთხ. ტრად.
 ყ. 2,2 რიგი... რიგი... (—ზოგი), 7:2—აღმ. ენ. საუბ.
 ყ. 2,5 რიგთან ქცევა (—ზრდილობა), 15:8—აღმ. ენ. წიგნ.?
 ა. 5,2 ხალტად (მღრ. განმ. ლექს. „სალი“.—თავისუფალი—,ალარათფერი დამრჩა); 2:0—აღმ. კუთხ.
 ყ. 5,2 ხანაწური (—სადარდელი, გულდასაწყვეტი), 10:4—აღმ. ენ. საუბ?
 ა. 2,10 ხალ-ხალამათი (—თავმთელი, უენებელი; გადამირჩი), 10:2—აღმ. ენ. საუბ.
 აქ. 1,1 სახიბ ახსნი (—მიგისეე, მიგასეე) (მღრ. განმ. ლექს.—„ძვ.“, დიალ. ფონ-ლი—„ლუჩხ.“)—დას. ენ. ტრად. წიგნ.

- 2,9 საბტად დარჩება (—გაშტერდება, დაიბნევა; ზარდაცემული), 18:10—აღმ. ენ. საუბ.?
- 3,11 სერსეროიანი (—დაჩრეტელი დარაბები, რკინის ზადე, რკინის გრებილუ-ბით დაცხრილული) —აღმ.?, ენ.?, წიგნ.?
- ა. 3,11 სიგლაბაკე (—სისაწყლე, სილარიბე), 3:0—აღმ.?, ენ. ტრად. წიგნ.
- ა. 2,2 სიკერაჲე (—ჭიურტობა), 16:7—აღმ. ენ. საუბ.
- ყ. 3,11 სისაწყლე (—სიგლაბაკე, სილარიბე), 7:4—აღმ. ენ. საუბ.
- ყ. 4,2 სორო (—ხერვლი), 28:10—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 5,7 სულს იბრუნებს (—ქასქასებს, სული ყელში ებჭინება, ძალიან აჩქარებით), 9:2—აღმ. ენ. საუბ.
- ა. 2,1 სულს მოიბრუნებს (—სულს მოითქვამს, სულამობერვით), 9:3—აღმ. ენ. საუბ.
- ყ. 4,7 ტაბტი (—მიზღანზებინან, მიჩანჩალებენ), 7:9 (XIX ს.—7:1)—აღმ. ენ. საუბ.
- მ. 2, 1 ტალავარი (—ხეივანი), 1:11 (1—გ. ლონიძე—დასავლური ყოფის ამსახველ პოემაში; ზღრ. საბა)—დას. ენ. ტრად. წიგნ.
- ყ. 4,6 ტალ-კვესი (—კვეს-აბელი, კვესი და კაჲი), 13:8—აღმ. ენ. წიგნ.?
- ყ. 1,6 ტუტუტი (—ტუკუო, სულელი), 14:7—აღმ. ენ.?, საუბ.
- ყ. 4,4 ტულაშუნი (—ტაკანი), 8:6 (ტულაშა-ტულუში—6:1)—აღმ. ენ.
- ყ. 2,2 უარშო, 2,5 შოიარშე (ჭიურტი, კერაბი; მოარჭული), (ეს ფუძე გეხვდება საბას და ვ. ბარნოვის ნაწერებშიაც)—აღმ. კუთხ?
- 1,2 უგვანო (—საძაგელი, დაწყველილი, საზოზლარი), უგვანი 10:0—აღმ. ენ.?, წიგნ.
- ყ. 1,1 დღის უკან (—... შემდეგ, დღეში) —აღმ. კუთხ?
- ა. 2,5 უმაქნისი (—ლაწირაკი, ბრიყვი), 2:1 (იხ. აგრეთვე ავალიშელი ღეიდრე ჰხვალა და ფრონისპირელი სკაპენის თინებია), —აღმ. ენ. წიგნ.
- მ. 3,4 უმჩატესი (—უმსუბუქესი, მსუბუქი), მჩატე 2:10—დას. ენ. ტრად.?, საუბ.?
- აჲ. 1,3 ურა (—უხედნი, გოჲი), 2:2 (დიალ. ფონდის მოწმობით გაერცელებულია რაკაში, იმერეთში)—დას.?, ენ. საუბ.
- ყ. 1,7 (ლოყებს) უტარუცავს (—უგრილვს?), —აღმ. ენ.?, საუბ.
- ყ. 2,5 უმოღავს (—მოველება თავს, გადაუჭრის გზას), 11:7—აღმ. ენ. საუბ.
- ყ. 1,6 (გული) უტაროღავს (—უცემს, ეუბნება), 9:3—აღმ. ენ.
- ყ. 2,10 უტარხლდება, (—უწითლდება, სისხლი მოერევა), 6:2—აღმ. ენ.
- ა. 5,5 უხიაკი (—გარეული, გაგარეულებული), 3:0—აღმ.?, კუთხ.
- ყ. 5,6 ფაჩი-ფუჩი (—შრიალი), 5:0—აღმ.?, საუბ.
- ა. 4,6 ფილთა (—პატრუქი), 3:0—აღმ. კუთხ.
- ყ. 4,2 ფიჭრი ნუ გაჭვს (—გჭეროდეს, მერწმუნე)—აღმ. ენ. საუბ.
- ა. 4,2 ფლაბე (—თხრილი), 8:5—აღმ. ენ. წიგნ.
- ყ. 2,2 ქანახით (—ქაქანი, გულამოუარნილი) —აღმ. კუთხ.
- ა. 2,2 ქანანი (—ქასქასი), 13:0 („ლაპარაკი“—0:11) —აღმ. ენ.?, საუბ.
- ა. 5,3 ქენჭნის (წიწწნის, აწამებს), 4:2—აღმ.?, ენ. ტრად. წიგნ.
- ა. 1,5 ქვაქობით (—ეჭვიანობით) —აღმ. კუთხ.
- აჲ. 3,4 ქიანობს (აქანაეებს, არყეეს)—დას. კუთხ.
- ა. 1,6 (ციხის) ქოკური (—კედელი, გალავანი)—აღმ.?, კუთხ.?
- ყ. 2,10 ღმეკს (—მანკავს), 9:3—აღმ. ენ. წიგნ?
- ა. 2,3 ყაფაზა (—გალია), 5:2—აღმ. ენ. წიგნ.
- ა. 1,5 ყელს გამოჭრის (—დაკლავს, სულს ამოხდის), 16:7—აღმ. ენ. საუბ.
- ა. 3,4 ყნოხვა (—სუნთქვა), 23:10—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.

- ა. 5,6 შამში (—ჩალიანი, ჩალამ-კალამი), 10:6—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 ე. 3,5 შედგება (—შეჩრდება), 5:4 (XIX ს.—5:0) აღმ.?, ენ. წიგნ.
 ა. 1,2 შირყუვა (—შეშოთლება, შედგება; კანკალით), 17:8—აღმ., ენ. წიგნ.
 მ. 3,11 შეკოქავს (—შებოქავს, შეახვეს, შეკრავს), 0,5—დახ. ენ.?, ხაუბ.
 ა. 3,1 შემოცოცოცება (—წააწყლება, შემოხლება, შეერხებ) 3:7—დახ.?, ენ.
 ა. 3,1 (გული) შეულონდება (—შეუწყობდება), 11:5—აღმ. ენ.
 ა. 2,2 შეფრფინდება, 2,8 შეფრფინვით (—შეფრთხილდება, შეკრთება), 6:3—აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 ე. 1,2 შევლა (—დახმარება), 26:18—აღმ.?, ენ.
 ა. 5,1 შუალა (—შუა), 3:0—აღმ. ენ. ხაუბ.
 ა. 3,9 შული (—ჩხუბი, მიწვე-მოწვეა), 12:0—აღმ. კუთხ.?
 ა. 5,3 (სულიმანის ფეხით) ჩაიკრფება (—ჩაუეარდება, ურკებს)—აღმ. ენ. ხაუბ.
 ა. 5,6 ჩალამ-კალამი (—ჩალიანი, შამში)—0:2—დახ. კუთხ.
 ე. 5,6 ჩალიანი, 3:1—აღმ. ენ. წიგნ.
 ნ. 3,9 ჩირქი მოხსებო (—შეარტყინა, სირცხელი მოახვია, შეურაცხყო). 12:4—აღმ. ენ. წიგნ.
 მ. 5,9 ჩხუბი (—ბრძოლა, ომი), 1:6—დახ. კუთხ.
 ე. 4,11 ცოცხალ-მკვდარი (—16:11—) აღმ.?, ენ.
 ე. 1,6 წიბო (—წიბწიბი), 2:1—აღმ.?, ენ. წიგნ.
 ა. 1,4 წყმობ (—წყმებუნებს), 4:2—აღმ. ენ. ხაუბ.
 მ. 1,3 (ჩემთვის) ხწხლდ? (—ზრუნავს), 1:2—დახ.?, ენ. ხაუბ.
 ა. 2,5 ჭროლა (—ნაერისფერი), 2:0—აღმ. ენ.
 ა. 2,2 ზვალზევით (—ზევ), 5:2—აღმ. ენ.?
 ა. 1,7 (ქვიშა და) ზინჯი (—ქვიშა და ქვები, სილა-ქვიშა, ქვა და ქვიშა), 2:0 (ზინჯ-ქა 0:3) აღმ. ენ. წიგნ.?
 ა. 1,4 ხმაშეკრული (—ყრუ ხმა)—აღმ.?, ენ.?
 ა. 4,2 ჭაჭა (—ტანჯვა, წამება, წვალვა) —აღმ. ენ. ტრად. წიგნ.
 ა. 2,2 ჭირი (—უნძი), 2:14 (უნძი—21:14)—დახ.?, ენ. ხაუბ.

9. თუ ამ ცნობებს დავაჯამებთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

	საერთო რაოდენობა	საერთო-ენობრივი	კუთხური	ტრადიციული	წიგნური	საუბრული
„აღმოსავლური“	157(17)	129(14)	28(4)	19	57(12)	42(4)
„დასავლური“	37(9)	25(8)	12(1)	4(1)	4	16(1)

შენიშვნა: ფრჩხილებში მოთავსებული ციფრი აღნიშნავს საყოყმანო შემთხვევების რაოდენობას.

მიუხედავად იმისა, რომ გაანალიზებული მასალა მცირერიცხოვანია და ანალიზიც მხოლოდ წინასწარი ნიადაგის მოსინჯვის ხასიათს ატარებს, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება გავიზაროთ და შევაფასოთ მრღებელი რიცხობრივი შედეგები.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ორასამდე სიტყვიდან. (და გამოთქმიდან) მხოლოდ ორმოციოდე სიტყვა აღ-

მოჩნდა „დასავლური“ (ე. ი. დასავლეთ ჰაქართველოდან გამოსულ მწერალთა — მთარგმნელთა — სიტყვახმარებაში გამოვლინდა როგორც თავისებური — საერთო-სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით). ეს ციფრი არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ახალი სალიტერატურო ქართულის, ყოველ შემთხვევაში, მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულის ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში წამყვანი იყო „აღმოსავლური“ დიალექტები.

იმ შემთხვევისათვის, როდესაც შეინიშნებოდა ტრადიციული ლიტერატურული სიტყვის უპირატესი ხმარება „დასავლელ“ მწერლებთან ან „აღმოსავლელ“ მწერლებთან, შემოვიღეთ გამოთქმები „ტრადიციულ-დასავლური“ და „ტრადიციულ-აღმოსავლური“. ჩვენს მასალაში ამ შემთხვევაშიც „აღმოსავლურის“ უპირატესობა დადასტურდა: აღმოჩნდა, რომ „ტრადიციულ-აღმოსავლურის“ ხვედრი წონა მნიშვნელოვნად აღემატება „ტრადიციულ-დასავლურისას“ (19:4).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საერთოენობელური“ და „დასავლური“ კილოებიდან შემოსულ სიტყვებში: საერთო-ქართულში დამკვიდრებულად შეიძლება მივიჩნიოთ „აღმოსავლურიდან“ შემოსული სიტყვების ოთხი მეხუთედი; რაც შეეხება „დასავლელ“ მთარგმნელთა ლექსიკიდან შერჩეულ მასალას, იქ საერთოქართულობა ორ მესამედს თუ მიეწერება, დანარჩენი ჯერ ისევ კუთხური სიტყვებია.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საერთო ენაში შესულ სიტყვათაგან წიგნურ ელფერს ატარებს „აღმოსავლელ“ მთარგმნელთა მიერ გამოყენებულის მესამედზე მეტი, „დასავლელებისა“ და დაახლოებით მეთათედი.

პირიქით, საუბრულია აღმოსავლურის მხოლოდ მეოთხედი, დასავლურისა კი — ნახევარი.

ეს ცნობები მიგვანიშნებს „აღმოსავლური“ (ძირითადად ქართული — ჩვენი მასალები მისხედვით) და „დასავლური“ (ჩვენი მასალებით — იმერული) დიალექტობების ხვედრით წონაზე საერთო სალიტერატურო ქართულში.

10. საგანგებო მოხსენიების ღირსია ზოგიერთი სხვა ცნობაც. რომელიც დაჯამებითს ცხრილში არ შესულა.

ბევრი სიტყვა საერთოენობრივ ხმარებაში თითქმის ჩვენ თვალწინ არის შემოსული. დავასახელებთ ზოგიერთს:

გ ა თ ა ნ გ უ ლ ი: განმარტებითი ლექსიკონის სადოკუმენტაციო ფონდის ჩვენებით ამ სიტყვის ხმარება დადასტურებულია ათ „აღმო-

სავლელ“ და შეიდ „დასავლელ“ ავტორთან; შეიდივე „დასავლელი“ თანამედროვეა, ე. ი. მეოცე საუკუნეში («ლალატის» თარგმნის შემდეგ) არის გამოსული სამწერლო ასპარეზზე. გათანგული, ამრიგად, მკაფიოდ „აღმოსავლური“ სიტყვა იყო მეოცე საუკუნის დასაწყისამდე; მეოცე საუკუნეში მისი ხმარება დასავლელ მწერალთა შორის ფართოდ გავრცელდა და, ამრიგად, სიტყვამ სპეციფიკური აღმოსავლური იერი დაკარგა — ქვემარატი საერთოქართულ სიტყვად იქცა.

ფლატე: 8 : 5 — ხუთივე „დასავლელი“ მწერალი თანამედროვეა.

გოროზი: 7 : 7 — „დასავლელები“ ყველანი თანამედროვენი არიან.

ზოზინობს შეფარდება „დასავლელთა“ სასარგებლოა 4 9, მაგრამ ცხრიდან მეცხრამეტე საუკუნის მწერალი მხოლოდ ერთია — გ. წერეთელი და მასაც ეს სიტყვა ზოზმანის სახით აქვს გადმოცემული.

ტაატით: 7 9 შეფარდებაში „ძველი“ დასავლელი მწერალი მხოლოდ ერთია — აკაკი.

ბუნაგი: შეფარდება 19:15 არსებითად შესწორდება, თუ მეცხრამეტე საუკუნის მწერლებით შემოვიფარგლებით: 13:1.

დასთმობს (თავს მიანებებს). საერთო შეფარდებაა 22:19, მეცხრამეტე საუკუნის მწერლებში — 14:4.

დაკოდილი: 17:12, ხოლო თანამედროვე მწერლების გამოკლებით — 14:3.

დაინდობს: 19:14. შეფარდება წინათ — 15:2.

თავჩაქინდრული: ეს კომპოზიტი „დასავლელთა“ აშკარა უპირატესობას ამჟღავნებს: 10:20, მაგრამ ზმნა ჩაქინდრავს არსებითად განსხვავებულ სურათს ავლენს: 8:6.

ბევრი სიტყვა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ფანჯარაში თითქოს დაკნინდა და საერთო ხმარებისად დღეს აღარ შეიგრძნობა. აი, ზოგიერთი მათგანი: თამაშა, კახკასი, ჭაჭა, ფილთა, სალტად...

საგანგებო შესწავლის ღირსია ზოგი სიტყვის ძველი საგნობრივი მნიშვნელობის გაბუნდოვანება სიტყვის საყოველთაო გავრცელებასთან ერთად. ჩვენი მასალიდან დავასახელებთ შემდეგ სიტყვებს: ამცნევს, ერდო, დაყურასული, გათანგული, პიტალო აგრეთვე: აოსებს, ბანი, ბოხჩა.

დაბოლოს, ჩამოვთვლით იმ სიტყვებს, რომლებიც ადრე შედარებით იშვიათი ხმარებისა იყო, ან ძლიერ დიალექტურ ელფერს ატარებდა; დღეს ტერმინული ხმარების გამო მათ მკვიდრად აქვთ გადგმული ფესვები სალიტერატურო ქართულში: მ უ მ ლ ი, მ ჩ ა ტ ე, ხ ე ი ნ კ ი... ერთხანს სწორედ ტერმინული ხმარების გამო გავრცელდა საყოველთაოდ ო ნ ა ვ ა რ ი და ყ ა ფ ა ზ ა.

უნდა მოვიხსენიოთ თ ო ჯ ი ნ ა ც ეს სიტყვა ნელ-ნელა კარგავს საყოველთაოდ მნიშვნელობას და ტერმინობისაყენ მიისწრაფვის: შღრ. თ ო ჯ ი ნ ე ბ ი ს თ ე ა ტ რ ი.

11. «ლალატის» ქართულ თარგმანთა ლექსიკის აქ წარმოდგენილ ანალიზში ყურადღების ცენტრში იდგა ლექსიკური დუბლეტები. ამა-სთან დაკავშირებით ასეთი საკითხი ჩნდება: ცნობილია, რომ ენებში, ჩვეულებრივ, „ნამდვილი სინონიმები“¹³ არ არსებობს; დუბლეტები კი სწორედ „ნამდვილი სინონიმებია“. როგორ შევეუთანხმოთ ერთმანეთს ეს ორი, თითქოს ურთიერთგამომრიცხველი ფაქტი?

საქმე ისაა, რომ თუ ბუნებრივი ენის სოციალურ-ისტორიულ შეპირობებულობას უგულებელვყოფთ, მას როგორც ნიშანთა სისტემას უნდა ახასიათებდეს „ურთიერთცალსახა“ დამოკიდებულება აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის: ერთი აღსანიშნისათვის უნდა მოიპოვებოდეს ერთი და მხოლოდ ერთი აღმნიშვნელი; ერთი აღმნიშვნელი უნდა გადმოსცემდეს ერთსა და მხოლოდ ერთს აღსანიშნს (სხვა სიტყვებით, სავალდებულო ჩანს „ფორმის პლანისა და შინაარსის პლანის იზომორფულობა“). მაგრამ ფაქტობრივ ასეთი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელოვნური სემიოტიკური სისტემის ელემენტთა შორის. ბუნებრივ ენაში ყოველ ნაბიჯზე, მის ყოველ რგოლში ვხვდებით ამგვარი მიმართების დარღვევას.

დარღვევა იწყება უკვე ფონოლოგიურ დონეზე: ამა თუ იმ ენისათვის აუცილებელი ნიშნების — მორფემების თუ სიტყვების წარმოქმნისათვის გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობის ფონემებია საჭირო, ვიდრე ენას ფაქტობრივ აქვს: ათიოდე ფონემა და მათი კომბინაციები (თუნდ მოცემული ენის ტრადიციით შეპირობებული) მილიონობით სიტყვას (მორფემას) წარმოქმნის. ფაქტობრივ არ არსებობს ენა, რომელსაც, ერთი მხრით, ასე ბევრი სიტყვა მოეპოვებოდეს და, მეორე მხრით, ასე მცირე რაოდენობის ფონემები ქმნიდეს მის ფონემათა სისტემას. ინფორმაციის თეორიის ენაზე ეს „სიჭარბეა“. ასეთი სახე-

¹³ ამ ტერმინის უხერხულობის შესახებ იხ. *Л. И. Бараникова, К вопросу о диалектной синонимии: „Вопросы стилистики“, 1, издание Саратовского университета, 1962, гл. 101 შპდ.*

ლის დარქმევით ხდება ცნობილი ფაქტობრივი ვითარების დადასტურება; ენათმეცნიერებისათვის — ბუნებრივი ენის თეორიისათვის — მისი შემეცნებითი ღირებულება ფრიად შეზღუდულია.

რაც ფონემებისა და სიტყვების რაოდენობრივი ურთიერთობის შესახებ ითქვა, შეიძლება გავიმეოროთ იმ ურთიერთობათა შესახებ, რომელიც არსებობს, ერთი მხრით, სიტყვების ბგერითი გარსების როგორც აღმნიშვნელთა და სიტყვებით გადმოცემული შინაარსების, აღსანიშნათა, ურთიერთობის შესახებ. ე. წ. „ნიშნის კანონის“, ე. ი. — ფაქტობრივ — ხელოვნური ენის საჭიროებთა თვალსაზრისით არაკანონზომიერია ისეთი აღმნიშვნელების არსებობა, რომლებიც რამდენიმე აღსანიშნთან არიან მიმართებაში, ე. ი. გაუმართლებელი ჩანს პოლისემია. და მანც პოლისემია არსებობს, არსებობს როგორც თითოეული მოცემული ენის (ბუნებრივი ენის) ისტორიული განვითარების შედეგი: სწორედ ამიტომ პოლისემია თითოეულ ენაში თავისებურად არსებობს — პოლისემიური სიტყვების სემანტიკური აგებულება ენებში ერთმანეთს არ ემთხვევა (თუ, რა თქმა უნდა, კალკთან არ გვაქვს საქმე. კალკი კი თავისი ბუნებით სესხების შედეგია და ამა თუ იმ ენის ლექსიკის დამოუკიდებელ ცვლა-განვითარებას არ მოუცია). და ეს გასაგებიცაა: პოლისემიის წარმოქმნაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოცემული ენობრივი კოლექტივის როგორც საზოგადოებრივი ორგანიზმის აგებულება — დიფერენციაცია და სხვადასხვა სოციალური ფენის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში¹⁴.

ასევე გასათვალისწინებელია ენის ლექსიკური ფონდის აგებულების კავშირი სათანადო საზოგადოების (ენობრივი კოლექტივის) სტრუქტურასთან. ენობრივ კოლექტივში სხვადასხვა ლოკალური ჯგუფების მონაწილეობა და თითოეული მათგანის გავლენა მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე მისი არსებობის ამა თუ იმ მონაკვეთში მეტ-ნაკლებად აისახება საერთო ენაში სხვადასხვა დიალექტის მონაწილეობის თავისებურებებით. ამ პირობებში ხდება დიალექტური ლექსიკის შემოსვლა საერთო ლექსიკურ ფონდში და, ბუნებრივია, ადგილი აქვს ხოლმე თავისებურ კოლიზიას სხვადასხვა დიალექტური წარმოშავლობის იმ სიტყვებს შორის, რომელთაც ერთგვარი საგნობრივი მიმართება (და ერთგვარი სუბიექტური იერი) აქვთ. შემდეგ ნელ-ნელა ხდება საერთო ლექსიკურ ფონდში ასეთ სიტყვათა ადაპტაცია: ღუბ-

¹⁴ იხ. H. P a u l, *Prinzipien der Sprachgeschichte*, 1920, გვ. 89, M. B r e a l, *Essai de sémantique*, 1924, გვ. 144, A. M e i l l e t, *Linguistique historique et linguistique générale*, 1921, გვ. 230.

ლეტაგან ზოგიერთი გაიდევნება, ზოგი იცვლის მნიშვნელობის ნიუ-ანსს ან კიდევ მკვიდრდება თავდაპირველისაგან განსხვავებული ემოციური იერით. მაგრამ იმის გამო, რომ ლექსიკური ფონდი ელემენტთა (ლექსემათა, სიტყვათა) მეტად დიდ რაოდენობას მოიცავს, იმდენად დიდს, რომ ცალკე მოლაპარაკებებს არ შეუძლიათ ერთდროულად აქტიურად ფლობდნენ და იყენებდნენ თითოეულ მათგანს, — შესაძლებელია ენაში, მისი არსებობის, ე. ი. ცვლა-განვითარების თითოეულ მომენტში, ობიექტურად არსებობდეს ლექსიკური დუბლეტები — რამდენიმე აღმნიშვნელი ერთი აღსანიშნისათვის. „ღალატის“ თარგმანთა ლექსიკის აქ წარმოდგენილი განხილვა, ვფიქრობთ, საინტერესო მაასალას იძლევა საერთო ენაში დუბლეტთა თანაარსებობის პირობებისა და მათი დამკვიდრების თუ ქრობის ტენდენციების საკვლევად.

Б. А. ПОЧХУА

ЛЕКСИЧЕСКИЕ ДУБЛЕТЫ В ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДАХ ПЬЕСЫ
А. И. СУМБАТОВА-ЮЖИНА «ИЗМЕНА»

Резюме

1. Изучение строя лексического фонда одна из основных задач лексикологии; для решения этой задачи необходимо выяснить историю развития его компонентов, исследовать пути и причины, объединяющие в одно целое эти компоненты — отдельные слова и группы слов, — учесть те культурно-исторические факторы, которые обуславливают системность словаря.

2. В данной работе представлены итоги наблюдений над проникновением диалектной лексики в общегрузинский литературный язык.

В статье проанализированы лексические дублеты, выявленные путем сопоставления разных переводов пьесы А. И. Сумбатова-Южина «Измена».

Обзор лексических дублетов дан по следующим показателям: частотность употребления, диалектное происхождение, стилистический оттенок, общезыковая распространенность, традиционность.

3. В заключении указывается, что распространенное мнение о невозможности существования абсолютных синонимов несовместимо с фактом наличия лексических дублетов.

Однозначное отношение между обозначаемым и обозначающим характерно для искусственных семиотических систем, в естественных же языках нарушения этого т. н. «закона знака» встречаются в каждом звене, на каждом уровне его системы; та-

кие нарушения находят свое объяснение в строе языкового коллектива как общественного организма.

Удельный вес различных локальных групп на разных отрезках истории данного общества находит свое отражение в обогащении общего языка различными диалектами. Диалектное слово, вошедшее в общий словарный фонд, и наличное в общем языке слово той же семантики создают своеобразную коллизию; с течением времени диалектное слово постепенно адаптируется — меняет стилистическую окраску или предметное значение.

Лексический фонд содержит большое количество элементов, а отдельные говорящие не в состоянии одновременно активно владеть всеми ими, поэтому в языке, в любой момент его существования, возможно наличие лексических дублетов — несколько обозначающих для одного обозначаемого.

მ. მახავარიანი

ბერკლის ნააზრევნი ენის შესახებ შესავალი

ბერკლის თავისი შეხედულებები ენაზე, სიტყვაზე არა აქვს გადმოცემული რაიმე სპეციალურ ნაშრომში. გამონათქვამები ენის შესახებ გვხვდება მის ყველა ნაშრომში და უშუალოდ ჩართულია მსჯელობაში ფილოსოფიური საკითხების შესახებ. ამიტომ ბერკლის ნააზრევის სისტემატიზაცია ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც საკითხის ისტორიკოსი ასეთ შემთხვევაში არ არის დაცული გარკვეული 'სუბიექტივიზმისაგან'.

ბერკლისეულ ნიშანთა თეორიას ძირითადად ცვლილება არ განუცდია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის აღრინდელ ნაშრომს „Commonplace Book“ (1705—8), სადაც უკიდურეს სენსუალიზმთან გვაქვს საქმე. გვიანდელ ნაშრომებში უფრო გაშლილად არის წარმოდგენილი ობიექტური იდეალიზმის ელემენტები. ამიტომ ჩვენ განვიხილავთ გამოყოფილ საკითხებს ქრონოლოგიური დახასიათების გარეშე.

შევჩერდებით ორ საკითხზე: 1. სიტყვის ზოგადობის პრობლემა და 2. ნიშანთა ზოგადი თეორია.

I სიტყვის ზოგადი ბუნება

ბერკლის აზრით, სიტყვა ზოგადია, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორც ეს ესმოდა ლოკს. ლოკისთვის სიტყვები ზოგადის თვისებას იძენენ მას შემდეგ, რაც გადაიქცევიან განყენებული იდეის ნიშნებად.

¹ ძირითადი შეხედულებები ენის შესახებ გვხვდება ბერკლის შემდეგ ფილოსოფიურ ნაშრომებში: 1. An Essay towards a New Theory of Vision, 1709. 2. A Treatise concerning the Principles of Human Knowledge. 1710. 3. Three Dialogues between Hylas and Philonus. 1713. 4. De Motu, 1721. 5. Alciphron, or The Minute Philosophers, 1732. 6. The Theory of Vision, or Visual Language. 1733. 7. Sira; 1744. სხვაგან დებულებები შეიკრება უცვლელი სახით. ესარგებლობთ შემდეგი გამოცემით: The Works of George Berkeley, ed. A. C. Fraser, Oxford. mdcccxi. In Four Volumes.

ლოკი, როგორც ცნობილია, ავითარებდა ზოგადობის კონცეპტუ-
ალისტურ თეორიას. ბერკლი ამ თეორიას არ იზიარებს. იმისათვის,
რომ გასაგები გახდეს ბერკლის თვალსაზრისი სიტყვის ზოგადი ბუნე-
ბის შესახებ, საჭიროა გავითვალისწინოთ მისი შეხედულებები განყე-
ნებაზე.

თავის ნაშრომში „გამოკვლევა ადამიანის ცოდნის პრინციპების
შესახებ“² ბერკლი აღნიშნავს, რომ ფილოსოფოსთა შორის ფართოდ
არის გავრცელებული თეორია განყენებული, აბსტრაქტული იდეებ-
ის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფილოსოფოსი იზიარებს აზრს,
რომ საგანთა თვისებები და მდგომარეობანი რეალურად არასოდეს არ
არსებობენ ცალ-ცალკე, თავისთავად, სხვა-გვისებებისაგან განცალკე-
ვებულად, არამედ ყოველთვის დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან
და, ასე ვთქვათ, არეულნი ერთსა და იმავე საგანში, რიგი ფილოსოფო-
სები ამტკიცებდნენ, რომ, რადგანაც გონებას შეუძლია განიხილოს
ყოველი თვისება ცალ-ცალკე, ანდა სხვანაირად რომ ვთქვათ, განყენე-
ლით ყველა იმ სხვა თვისებისაგან, რომლებთანაც ისინი დაკავშირე-
ბულნი არიან, ამიტომ გონება ქმნის განყენებულ იდეებს. მაგალით-
ად, მხედველობა აღიქვამს საგანს, რომელიც განფენილია, მოძრავია
და გარკვეული ფერი აქვს. თუ გონება დაშლის ამ რთულ იდეას მის
შემადგენელ მარტივ ნაწილებად და განიხილავს თითოეულს ისე, რომ
უკუაგდებს სხვებს, მაშინ შეიქმნება განფენილობის, ფერისა და მოძ-
რაობის განყენებული იდეები. იმის გამო, რომ გონება აღმოაჩენს შე-
გრძნებების საშუალებით აღქმულ ცალკეულ საგნებში რალაცას მსგა-
ვისსა და საერთოს და განარჩევს მას კერძოსაგან (მაგ., ამა თუ იმ გან-
სხვავებული ფიგურისაგან ან სიღრმისაგან), გონებას შეეძლება ცალ-
კე განიხილოს და გამოყოს ის, რაც საერთოა და ამის შედეგად შექმნ-
ას განყენებული იდეა, რომელიც არც ხაზია, არც ზედაპირი, არც
სხეული. მას არა აქვს ფორმა, არც ფერი, ის არის იდეა, რომელიც
სრულიად გამოცალკევებულია ყველა ამათგან. ეს არის განფენილობის
განყენებული იდეა.

ზუსტად ამგვარადვე, აკვირდება რა სხვადასხვა შეგრძნებებით
აღქმულ ფერებს, გონება უკუაგდებს ყველაფერს, რაც განასხვავებს
მათ ერთმანეთისაგან და შეინარჩუნებს მხოლოდ იმას, რაც საერთოა
მათთვის და ამგვარად ქმნის ფერის ზოგად იდეას, რომელიც არც წი-
თელია, არც ლურჯი, არც თეთრი და საერთოდ არა აქვს რაიმე გარკ-
ვეული ფერი.

² A Treatise concerning the Principles of Human Knowledge. Part I. გვ. 35.

ამავე გზით გონებამ შეიძლება მიადწიოს უფრო რთული საგნების განყენებულ იდეებს, რომელნიც თავის თავში შეიცავენ თანაარსებულ მარტივ განყენებულ იდეებს. ასეა მრღებელი ადამიანის, ცხოველისა და სხვა მსგავსი განყენებული იდეები. ცხოველის განყენებული იდეა, მაგ., შედგება სხეულის, სიცოცხლის, შეგრძნებებისა და ნებისმიერი მოქმედების განყენებულ იდეათაგან.

ასე ახასიათებენ ბერკლი ფილოსოფიაში მოარულ თეორიას განყენებულ იდეათა შესახებ და მათი მიღების ლოგიკურ გზას. ცნობილია, რომ განყენების ამგვარი თეორიის შემქმნელია ჯონ ლოკი. ლოკის მოძღვრებაში ტერმინი იდეა ძირითადად თვალსაჩინო წარმოდგენას, გრძობად თვისებას, შეგრძნებით მიღებულ შთაბეჭდილებას უდრიდა. განყენებული იდეაც ამავე ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

განზოგადების შესახებ ლოკის თეორიაში არ იყო გარჩეული შემეცნებაში ფსიქოლოგიური და ლოგიკური მომენტები. ამიტომ ლოკისთვის არ არსებობდა პრინციპული სხვაობა ცნებასა (ლოგიკურ კატეგორიას) და ზოგად წარმოდგენას (ფსიქოლოგიურ კატეგორიას) შორის.

ლოკი, მაგალითად, სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს გარკვეული განსხვავებული იდეები ათასკუთხედისა და 999 კუთხედისა, რადგანაც შეუძლებელია ერთდროულად და გარკვევით წარმოვიდგინოთ ათასი კუთხე.

ბერკლის წინაშე, ამრიგად, იდგა ამოცანა კრიტიკულად განეხილა განყენების ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგისტური თეორია.

რადგანაც ლოკისეული განყენებული იდეები ფსიქოლოგიური ბუნების ფენომენებს წარმოადგენდნენ, ამიტომ ბუნებრივია, ბერკლი თავის კრიტიკას იწყებს იმ შინაგანი, ფსიქიკური პირობების განხილვით, რომელნიც თითქოს შესაძლებელს ხდიან განყენებული იდეების მიღებას.

ბერკლის ამის უფლება ჰქონდა მით უფრო, რომ, ლოკის თვალსაზრისით, ზოგადი — ადამიანის მიერ არის შექმნილი, მისი გონების ნაყოფს წარმოადგენს და ობიექტურად არ არსებობს.

ბერკლი აღნიშნავს: „აქეთ თუ არა სხვა ადამიანებს განყენების ასეთი შესანიშნავი ნიჭი, ეს მათ თვითონ უნდა აღიარონ, მე კი უნდა გამოტყდე, რომ მე იგი არა მაქვს“³. ადამიანს აქვს შესაძლებლობა წარმოვიდგინოს, წარმოასახოს საგანთა ცალკეული ნაწილები მთელი საგნისაგან განცალკევებულად. მაგ., წარმოვიდგინოთ ცალკე ცხვირი, ფეხი, თავი, მაგრამ რა ხელი ან თავიც არ უნდა წარმოვიდგინოთ, მათ აუცი-

³ დასახ. ნაშრ., გვ. 38.

ლებლად უნდა ჰქონდეთ რაღაც გარკვეული სახე და ფერი. ასევე, მაგ., ადამიანის იდეა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგება, აუცილებლად უნდა იყოს ან თეთრ- ან შავ- ან წითელკანიანი, ან მძალი ან დაბალი და ა. შ. ასევე შეუძლებელია გვექონდეს ისეთი მოძრაობის წარმოდგენა, რომელიც იქნება არც სწრაფი, არც ნელი, არც სწორხაზოვანი და ა. შ. \

ბერკლი ასკვნის, რომ იგივე შეიძლება ითქვას ყველა დანარჩენი განყენებული იდეის შესახებ.

ბერკლი აღნიშნავს, რომ ამბობენ, განყენებული იდეის წარმოქმნა ძალიან ძნელია და არ მიიღწევა ცოდნისა და გარკვეული გონებრივი დაძაბვის გარეშეო. აქედან თითქოს ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ასეთ განყენებულ იდეებს მეცნიერთა შორის თუ შევხვდებით. მაგრამ მაშინ გაუგებარია, როგორღა აზროვნებენ ბავშვები და უმეცარნი, თუკი ზოგადი იდეები ასე ძნელი მისაღწევია.

ბერკლი ასკვნის, რომ ეს მოძღვრება აშკარად ეწინააღმდეგება საღ აზროვნებას. ამიტომ გასარკვევია, რა უდევს მას საფუძვლად. თუკი ადამიანის შინაგან ფსიქიკურ მოქმედებებზე დაკვირვება არ გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ ასეთი სახის განყენებული წარმოდგენების არსებობაზე, მაშ რით უნდა აიხსნას ამგვარი თეორიის გაჩენა.

ამას მით უმეტეს სჭირდება გამორკვევა, რომ ზოგი მკვლევრის აზრით (მაგ., ლოკის აზრით) განყენების უნარი წარმოადგენს ადამიანის ყველაზე ნიშანდობლივ თვისებას და განასხვავებს მას ცხოველისაგან.

ბერკლი ირონიულად შენიშნავს, რომ, ცხადია, ცხოველს განყენების ნიჭი არა აქვს, მაგრამ თუ ეს არის ძირითადი განსხვავება ცხოველსა და ადამიანს შორის, მაშინ, უეჭველია, ადამიანთა უმრავლესობაც მოექცევა ცხოველთა გვარში.

მიზეზი, რომელიც ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ცხოველებს არა აქვთ განყენების უნარი, ის არის, რომ ჩვენ ვერ ვამჩნევთ ცხოველებში სიტყვის, ნიშნის ხმარების უნარს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამოვდივართ წინასწარი დაშვებიდან, რომ სიტყვები, ნიშნები უთუოდ განყენებულ, ზოგად იდეებს უნდა აღნიშნავდნენ, და გამოგვეყვას დასკვნა, რომ რაკი ადამიანებს ენა აქვთ, ცხოველისაგან განსხვავებით მათ განყენების უნარიც უნდა ჰქონდეთ.

ბერკლის აზრით, განყენებულ იდეათა თეორიის წყარო მეტყველების, სიტყვის ბუნების არასწორ გაგებაში უნდა ვეძიოთ. განყენებული იდეების დამკველები აღიარებენ, რომ ეს იდეები წარმოიშვა სახელდების პროცესთან დაკავშირებით, ენის უკეთ, ეკონომიურად გამოყენების მიზნით⁴.

⁴ შტრ. ლოკი, ცდა ადამიანის გონების შესახებ, ტ. III, თ. 6, § 39.

ადამიანებს არ ძალუძთ აზრების უშუალო გადაცემა. აზრს გრძნობადი ნიშანი, სიტყვა გამოხატავს; ამიტომ უკეთ რომ ჩაეწვდეთ აზრების ბუნებას, ენას უნდა დავაკვირდეთ (ლოკი).

ა) სიტყვების ხმარებას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ სიტყვა ზოგადია. ამდენად მას არ შეიძლება შეესატყვისებოდეს ადამიანის გონებაში კერძო იდეა.

ბ) აქედან გამოვძინარეობს, რომ ყოველი სიტყვა აუცილებლობით უნდა გამოხატავდეს ერთ განსხვავებულ განყენებულ იდეას, ე. ი. სიტყვის ერთადერთ და კეშმარიტ მნიშვნელობას უნდა შეადგენდნენ მოლაპარაკის განყენებული, ზოგადი იდეები (ლოკი).

გ) ამ დაშვებას თითქოს ხელს უწყობს ისიც, რომ სახელის მნიშვნელობა ყოველთვის შემოფარგლულია ერთი გარკვეული ზოგადი განსაზღვრით. მაგ., სამკუთხედს განსაზღვრავენ, როგორც „ბრტყელ ზედაპირს, რომელიც შემოსაზღვრულია სამი სწორი ხაზით“.

დ) სიტყვების მნიშვნელობას რომ ზოგადი, განყენებული იდეები უნდა შეადგენდნენ, მტკიცდება თითქოს იმიტაც, რომ ენის ძირითადი დანიშნულებაა მოლაპარაკის იდეების შეტყობინება და ამდენად სიტყვა, რომელსაც ზოგადი იდეა არ შეესაბამება, გადაიქცევა ცარიელ, მნიშვნელობას მოკლებულ ბგერად.

ეს არის ის ძირითადი დებულებები, რომელსაც განყენების თეორია ეყრდნობა. ამდენად თუ ამ დებულებებს დავარღვევთ, დაირღვევა განყენებულ იდეათა თეორიაც. ბერკლი სწორედ ასე იქცევა. განყენებულ იდეათა თეორიის კრიტიკა მის მოძღვრებაში უდრის ლოკის ენის ფილოსოფიის კრიტიკას. ბერკლი იწყებს დებულებით, რომ სიტყვა ზოგადი ხდება არა იმიტომ, რომ აღნიშნავს რაღაც განყენებულ იდეას, არამედ იმიტომ, რომ ერთდროულად აღნიშნავს საგანთა კლასს. ზოგადი ნიშანი — სახელია მრავალი, მსგავსი კერძობითი საგნისა, ე. ი. სახელის ზოგადობა იმაშია, რომ იგი მსგავს საგნებს აღნიშნავს. ეს მსგავსი საგნები კი რეალურად არსებობენ და აღიქმებიან ადამიანის მიერ⁵.

მაგ., თუ ვამბობთ ზოგად წინადადებას: „განფენილი ყოველთვის გაყოფადია და მისი მოძრაობა პროპორციულია მიყენებული ძალისა“, ამ წინადადებაში მართლაც იგულისხმება მოძრაობა და განფენილობა საერთოდ. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამოვძინარეობს, რომ ეს წინადადება ადამიანის გონებაში აღძრავს მოძრაობის წარმოდგენას

⁵ But may not words become general by being made to stand indiscriminately for all particular ideas, which, from a mutual resemblance belong to the same kind, without the intervention of any abstract general idea? Alciphron, გვ. 326.

მოდრავი სხეულის გარეშე ან განფენილობის წარმოდგენას, რომელიც არ იქნება არც ხაზი, არც ზედაპირი, არც სხეული და ა. შ. იგულისხმება მხოლოდ, რომ რა გინდა რა კერძო განფენილობა არ უნდა ავიღოთ, იქნება ის ხაზი, ზედაპირი, თუ სხეული, რა სიდიდეს და ფიგურაც არ უნდა ჰქონდეს მას, ეს აქსიომა განურჩევლად ქვეშაირი იქნება მის მიმართ, რადგანაც საერთოა ყველა კერძო განფენილობისათვის⁶.

1 ბერკლი ასკვნის, რომ იგი უარყოფს არა ზოგადი იდეების, საერთოდ ზოგადობის არსებობას, არამედ ე. წ. ზოგადი განყენებული იდეების არსებობას.

ე. ი. ზოგადობა კერძობით საგანთა მსგავსებაშია და აღინიშნება გარკვეული სახელით. გამოდის, რომ ბერკლის ზოგადობის თეორიაში, ლოკსაგან განსხვავებით, მთავარი ის არის, რომ მან უარი თქვა, ამ ფსიქოლოგიურ მონაცემზე, რომელსაც ლოკი განყენებულ იდეას უწოდებს და რომელიც ადამიანის გონების ნაყოფად მიაჩნია მხოლოდ.

მაგრამ კითხვა ისმის, რა სახით არის წარმოდგენილი ბერკლისეული ზოგადი ადამიანის გონებაში? ობიექტურად ის წარმოდგენს საგანთა შორის მსგავსებას, სიტყვით აღნიშნულს, მაგრამ სუბიექტურად, ფსიქიკური განცდის თვალსაზრისით შეესატყვისება თუ არა მას. რაიმე?

ბერკლი ამ საკითხს სათანადო ყურადღებას აქცევს და სრულიად გარკვეულ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. ამ საკითხთან დაკავშირებულია სიტყვის ბუნების გაგებისათვის მნიშვნელოვანი მეორე საკითხი. ლოკთან სიტყვა აღნიშნავდა და გამოხატავდა ადამიანის მიერ შექმნილ განყენებულ იდეას. ბერკლისთან სიტყვა აღნიშნავს ობიექტურად საგანთა მსგავს კლასს. მაგრამ რას აღძრავს სიტყვა ადამიანის გონებაში, რას გამოხატავს სიტყვა?

ბერკლი წერს: თუ ჩვენ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა აზრი დევს ჩვენ სიტყვებში, რისი მოაზრება შეგვიძლია სიტყვების საშუალებით, უნდა ვალიაოთ, რომ გარკვეული იდეა, რომელიც თავისთავად კერძოა, გადაიქცევა ხოლმე ზოგად იდეად, როდესაც

წარმოგვიდგენს (represents) ან შეენაცვლება (stands for) ყველა სხვა კერძო იდეებს აღებული გვარიდან. რომ ეს ცხადი ვახდეს, წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ გეომეტრიის სპეციალური გვიჩვენებს ხაზის გაყოფას ორ ერთნაირ ნაწილად. ის ხაზავს 10 სმ-იან შავ ხაზს. ეს ხაზი, რომელიც თავისთავად კერძო ხაზია, მაინც ზოგადია

⁶ A particular idea may become general by being used to stand for or represent other ideas. Alciphron, გვ. 326.

თავისი დანიშნულების მხრივ, გამოყენების ამ შემთხვევაში, რადგანაც წარმოგვიდგენს ყველა არსებულ კერძო ხაზებს. ასე რომ, რაც დამტკიცებული იქნება მის შესახებ, დამტკიცებული აღმოჩნდება ყველა სხვა ხაზის მიმართ. ანდა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამტკიცებული იქნება საერთოდ ზოგადად ხაზის მიმართ. ე. ი. ეს კერძო ხაზი გახდა ზოგადი, რადგანაც ის გამოიყენეს რეპრეზენტანტად, ნიშნად ყველა სხვა ხაზისათვის. სწორედ ასეთი ხასიათისაა ის კერძო იდეა, რომელსაც აღძრავს ადამიანის სულში მოლაპარაკის მიერ ხმარებული სიტყვა. ის კერძოა წარმოდგენის თვალსაზრისით, მაგრამ ზოგადია თავისი ფუნქციით.

ბერკლი აღნიშნავს, როგორც ეს კერძო ხაზი გახდა ზოგადი, გამოიყენეს რა ის ნიშნად, ისევე სახელწოდება „ხაზი“, რომელიც თავისთავად კერძოა, გადაიქცა ზოგადად, იმიტომ, რომ ის გამოიყენეს საგანთა კლასის ნიშნად. აქედან ბერკლი აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას: ისევე, როგორც ხაზის კერძო იდეა გახდა ზოგადი არა იმიტომ, რომ იგი ნიშანია განზოგადებული ან ზოგადი ხაზისა, არამედ იმიტომ, რომ ის არის ყველა კერძო სწორი ხაზის წარმომადგენელი, ისევე სიტყვის ზოგადობა წარმოშობილია არა ზოგადი განყენებული იდეისაგან, არამედ ისევ დამოკიდებულია ამ კერძო ცალკეული ხაზების ერთობლიობაზე, რომელთაც სიტყვა განუჩრჩველად აღნიშნავს⁷.

ამ კონტექსტში ფაქტები ხდება იმ არგუმენტის უსაფუძვლობა, რომელიც ეყრდნობა დებულებას, რომ სიტყვა ერთ განყენებულ იდეას აღნიშნავს, თუ კი მისი მნიშვნელობა შემოფარგლულია ერთი ზოგადი განსაზღვრებით. მაგ., რომ ავიღოთ სამკუთხედის განსაზღვრება: „ბრტყელი ზედაპირი, რომელიც შემოსაზღვრულია სამი სწორი ხაზით“, დავინახავთ, რომ აქ არ არის აღნიშნული დიდია თუ პატარა ზედაპირი, შავია ის თუ თეთრი, გრძელია თუ მოკლე გვერდები, ტოლია ისინი თუ არა, როგორია კუთხეების დაქანება. ყველა აღნიშნული თვისებების მიხედვით სამკუთხედებს შორის შეიძლება იყოს დიდი განსხვავება და, მაშასადამე, ამ განსაზღვრებაში არ არის მოცემული ერთი რომელიმე დადგენილი იდეა, რომელიც ზუსტად შემოსაზღვრავდა „სამკუთხედის“ მნიშვნელობას.

აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს არც რაიმე ერთი აბსტრაქტული წარმოდგენა, რადგანაც შეუძლებელია ისეთი სამკუთხედის წარმო-

⁷ A black line, for instance, an inch long, though in itself particular, may yet become universal being used as a sign to stand for any line whatsoever Alciphron. გვ. 326.

გენა, რომელიც არც დიდი იყოს, არც პატარა, არც დაქანებული ჰქონდეს გვერდები, არც სწორი და სხვა. უბრალოდ, ამ განსაზღვრებით აღნიშნულია ისეთი საერთო თვისებები, რომელიც ყველა კერძო სამკუთხედს ახასიათებს ცალ-ცალკე. ამიტომ უნდა გაეარჩიოთ ორი რამ: ერთსა და იმავე სახელწოდებასთან ერთი და იმავე მნიშვნელობის დაკავშირება და იმის მოთხოვნა, რომ ერთმა და იმავე სახელწოდებამ ერთი და იგივე იდეა აღძრას მოლაპარაკეში. პირველი აუცილებელია, მეორე კი უსარგებლო და განუხორციელებელი.

ბერკლი ასკვნის, რომ იგი სავესებით ეთანხმება იმ აზრს, რომ ყოველი შემეცნება და დასაბუთება ეხება ზოგად იდეებს, ოღონდ დასძენს, რომ ეს ზოგადობა არ უდრის იმ განყენებულ იდეებს, რომელიც მხედველობაში ჰქონდა ლოკს.

ზოგადობა, ამრიგად, ბერკლის თქმით, არის არა რაიმეს უცილობელი დადებითი ბუნება, ან ცნება, არამედ მიმართება, რომელიც მას შეაქვს აღსანიშნავ კერძობით მოკლენებში, რის შედეგადაც საგნები, სახელები ან ცნებები, არიან რა თავიანთი ბუნებით კერძობითნი, ხდებიან ზოგადნი.

რომ ზოგადობა მართლაც არსებითად განისაზღვრება არა ადამიანის სულში მყოფი ფსიქიკური მოვლენის ბუნებით (იქნება ეს კერძო წარმოდგენა, თუ განყენებული იდეა), არამედ მიმართებით, რომელიც არსებობს კერძო საგნების კლასსა და მათ ნიშანს შორის, ყველაზე კარგად ჩანს იმ მაგალითიდან, როცა ადამიანს მშვენივრად ესმის ნიშნის მნიშვნელობა (იგულისხმება, რომ ნიშანი ზოგადია), მაგრამ თავის გონებაში ვერ ადასტურებს მის შესატყვის ვერავითარ იდეას. ბერკლი საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს ასეთ შემთხვევებს.

1. ადამიანს სიტყვა „კაცის“ გაგონებაზე ყოველთვის არ აღეძვრის „კაცის“ გარკვეული იდეა, როცა ვკითხულობთ წმინდა პავლეს ეპისტოლეს გალატელებთან: „თუ ადამიანს ჰგონია, რომ ის რალაციას წარმოადგენს, მაშინ როცა ის არარაობაა, ის იტყუებს თავს“. ჩვენ კარგად გვესმის ამ წინადადების მნიშვნელობა და ძალა, თუმცა ვერ ვაყალიბებთ გონებაში „ადამიანის“ გარკვეულ იდეას⁶.

2) ჩვენ ხშირად გვესმის სიტყვის მნიშვნელობა, ჩინებულად ვხმარობთ მას, მაგრამ არ ვიცით, თუ რა კონკრეტულ გარკვეულ იდეას აღნიშნავს, გამოხატავს ეს სიტყვა. ვთქვათ, ხშირად და მეცნიერებიანთვის შედეგიანად ხმარობენ სიტყვებს „ძალა“, „რიცხვი“. ყველასათვის ცნობილია ამ სიტყვების მნიშვნელობა, ე. ი. ის, თუ რა ობიექტზე მიუთითებენ, როგორ იხმარებიან ისინი, მაგრამ თუ ჩვენ კონკრეტულ-

⁶ Alciphron, გვ. 326.

ად განვიხილავთ, თუ რა აბსტრაქტულ იდეას აღძრავენ ისინი ადამიანის გონებაში, ძნელად თუ ეინმემ გასცეს ამ კითხვაზე პასუხი⁹.

3) სიტყვები, როგორც აღნიშნავს ბერკლი, ნიშნებია: ამიტომ უსარგებლო არ იქნებოდა განგვეხილა, როგორ იქცევიან მსგავს ვითარებაში სხვა ნიშნები, ეს უფრო გაგვიადვილებდა სიტყვის ზემოაღნიშნული თვისების გარკვევას. ავიღოთ მაგ., ფიში (mark) ბანქოს თამაშის დროს. ის ნიშანია, რომელიც ფულის ადგილს იკავებს. განა საჭიროა მთელი თამაშის განმავლობაში მოთამაშეებს მისი მოხმარების მომენტში ყოველთვის უჩნდებოდეს იმ თანხის გარკვეული იდეა, რომელსაც ეს ფიში აღნიშნავს და ენაცვლება? სრულიადაც არა. საკმარისია მოთამაშეები წინასწარ შეთანხმდნენ მისი მნიშვნელობის შესახებ, რომ საჭირო მომენტში გაცვალონ ფიშები ფულზე. ანდა მაგ., მთელი თანხის გამოთვლის დროს, სადაც ეს ნიშნები აღნიშნავენ პენსებს, შილინგებს, გირვანქას, განა საჭიროა ყოველი შილინგის დათვლისას გვეყონდეს გონებაში მისი გარკვეული იდეა? აქაც პასუხი უარყოფითი უნდა იყოს. სრულიად საკმარისია, თუ საბოლოოდ ასეთი ნიშნები წარმართავენ ჩვენს მოქმედებას საქმის ვითარების შესაბამისად¹⁰.

ჩამოთვლილ სამ შემთხვევას აერთიანებს ერთი რამ. აქ ნიშნები იხმარება ისე, რომ გონებაში მათი ხმარებისას არ ჩნდება არავითარი იდეა და ამისდა მიუხედავად ნიშნები არ კარგავენ არც თავიანთ ზოგადობას, არც თავიანთ ნიშნადობას.

განასხვავებს მათ ის, რომ პირველ შემთხვევაში მოლაპარაკეს საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული, კონკრეტული იდეა „ადამიანისა“. მეორე შემთხვევაში მან იცის მხოლოდ მიმართება, ამიტომ კონკრეტული იდეის გამოწვევა გაუჭირდება, ხოლო მესამე შემთხვევაში ეს მას არც სჭირდება, ნიშნის ფუნქცია აქ მდგომარეობს ადამიანის მოქმედების გარკვეულ წარმართვაში, რაც სრულიად არ საჭიროებს კონკრეტული იდეის აღძვრას გონებაში.

ამ შემთხვევების განხილვის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელობა ისე, რომ მათი ხმარებისთანავე გონებაში არ ჩნდებოდეს არავითარი კონკრეტული იდეა. თუმცა ეს თავისთავად გამორიცხული არ არის. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადობა, ზოგადი საერთო კანონები მიიღწევა არა აბსტრაქტული, განყენებული იდეების ქონებით და არც კონკრეტული იდეის განხილვით, არამედ სწორი გამოყენებით ნიშნებისა, რომელნიც მიუხედავად მათი არაუნივერსალური ხასიათისა, აღნიშნავენ რა მსგავს საგ-

⁹ Alciphron, გვ. 341, 342.

¹⁰ იქვე, გვ. 327.

ნებს, ხლებიან ზოგადნი და გამოიყენებიან მეცნიერებაში უშუალო იარაღებად¹¹.

ამ მხრივ სიტყვების ხმარება მოგვაგონებს ასოების ხმარებას ალგებრაში, სადაც იმისდა მიუხედავად, რომ ყოველი ასო აღნიშნავს ვარკვეულ კერძო რაოდენობას, მაინც იმისათვის, რომ სწორი აღრიცხვა მოახდინო, არ არის აუცილებელი ყოველი ასო აღძრავდეს ადამიანის გონებაში იდეას იმ კერძო რაოდენობის შესახებ, რომლის აღნიშვნა მას ევალება.

ბერკლის აზრით, ენის ძირითადი დანიშნულებაა იყოს კომუნიკაციის საშუალება, იდეების შეტყობინების საშუალება. ადამიანებს არ ძალუძთ ერთმანეთს უშუალოდ გაუზიარონ თავიანთი შინაგანი იდეები, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან მიმართონ ამისათვის გრძობად ნიშნებს ანუ სიტყვებს. სიტყვების დანიშნულებაა, ამგვარად, აღძრან მსმენელს გონებაში ის იდეები, რომელნიც ჰქონდა მოლაპარაკეს. მას, ვინც ნამდვილად ფიქრობს, გონებაში უჩნდება იდეათა ჯაჭვი და როდესაც ის გამოხატავს თავის აზრებს მეტყველებაში, ყოველი სიტყვა აღძრავს მსმენელში შესაბამის გარკვეულ იდეებს და მის შედეგად მსმენელს გონებაში უჩნდება იდეათა ისეთივე ჯაჭვი, როგორც ჰქონდა მოლაპარაკეს. ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ გაგებიანებაზე იმ შემთხვევაში, როცა ეს შედეგი მიღწეულია, მაშინ გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ მეტყველებას ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა¹².

მაგრამ მოყვანილი მსჯელობიდან მაინც არ გამომდინარეობს, რომ სიტყვის, ნიშნის დანიშნულებაა უკლებლივ ყველა შემთხვევაში აუცილებლობით აღძრას მოლაპარაკის გონებაში გარკვეული იდეა. ბერკლის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ცხადი ხდება, რომ სიტყვის მნიშვნელობა გასაგები შეიძლება იყოს მსმენელისათვის იდეის არქონის შემთხვევაშიაც. სიტყვისათვის (და ზოგადად ნიშნისათვის), ბერკლის ოვალსაზრისით, ძირითადია არა ის, რომ მას შეუძლია გარკვეული იდეის აღძვრა, არამედ ის, რომ სიტყვა თავის ხმარებაში მიუთითებს საგანთა მიმართებაზე, პროპორციისაზე. ამ მიმართებას, პროპორციას ჩვენ ვერ ივაიგებდით ნიშანთა დახმარების გარეშე, მაგრამ რაჟი ის გამოიხატა და აღინიშნა ნიშნით, იგი შეადგენლობას გვაძლევს ვიმოქმედოთ საგანთა მიმართაც¹³.

¹¹ The Theory of Vision or Visual Language. გვ. 386.

¹² Alciphron. IV Dialogue, გვ. 319.

¹³ The signs indeed do in their use imply relations or proportions of things, which relations, habituated, or proportions as they cannot be by us understood without the help of signs, so being thereby expressed and corrected, they enable us to act with regard to things; Alciphron, გვ. 343.

ბოლოს და ბოლოს ის რეპრეზენტანტი იდეაც, რომლის აღძვრა შეუძლია სიტყვას, თავის მხრივ ისევ ნიშნის როლში გამოდის, რომელიც საგანთა მსგავსებაზე და მიმართებაზე მიუთითებს.

ასე აქვს გადაქრილი ბერკლის სიტყვის ზოგადობის პრობლემა. ის, რომ სიტყვის ძირითადი დანიშნულება არ არის მაინც და მაინც რაიმე იდეის (იქნება ეს რეპრეზენტანტი იდეა, თუ ლოკისეული განყენებული იდეა) აღძვრა მოლაპარაკის გონებაში, ჩანს იქიდანაც, რომ სიტყვამ შესანიშნავად შეიძლება განახორციელოს კომუნიკაცია ისე, რომ უშუალოდ მიმართოს მოლაპარაკის არა გონებას, არამედ გრძნობას, ემოციებს და გამოიწვიოს მოლაპარაკეში სიხარულის, ბედნიერების, შიშის და სხვა განწყობანი.

მეტიც შეიძლება ითქვას. ხანდახან საკუთარი სახელებიც კი, გარკვეული მიზეზების გამო, იწვევენ მოლაპარაკეში არა გარკვეული, მათ ნიერ აღნიშნული პიროვნების კონკრეტულ იდეას, არამედ რაიმე გრძნობას. მაგ., თუ მე არისტოტელეს სკოლის ფილოსოფოსი მეუბნება „არისტოტელემ თქვა“, ის სრულიადაც არ ცდილობს ჩემს გონებაში აღძრას „არისტოტელეს“ იდეა, არამედ მას სურს მაიძულოს მივიღო მისი აზრი მოწიწებითა და მორჩილებით. და მართლაც ასეთი მოწიწებისა და მორჩილების გრძნობა ისე სწრაფად იჩენს ხოლმე თავს იმათ სულში, ვინც შეჩვეულია საკუთარი მსჯელობა დაუქვემდებაროს არისტოტელეს ავტორიტეტს, რომ შეუძლებელიც იქნებოდა ამ სულიერ განწყობას წინ უსწრებდეს რაიმე იდეა ამ პიროვნების ანდა გამოთქმული აზრის შესახებ.

ე. ი. ამ შემთხვევაში სიტყვებს დაკისრებული აქვთ არა იდეების, არამედ განცდების გამოწვევა და მიუხედავად ამისა ისინი თავიანთ ზოგადობას მაინც არ კარგავენ.

სიტყვები შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე არა განცდების ან იდეების გამოსაწვევად, არამედ უშუალოდ რაიმე მოქმედების, აქტიური რეაქციის გასახორციელებლად. მაგ., ადამიანმა შეიძლება უშუალოდ შეასრულოს სიტყვიერი ბრძანება ისე, რომ წინასწარ არ აღეძრას გონებაში არც გარკვეული იდეა და არც განცდა.

ზემოთქმულიდან ავტორი ასკენის, რომ სიტყვებს, ენას მრავალმხრივი გამოყენება აქვს, მხოლოდ ერთის გაკეთება არ შეუძლიათ სიტყვებს, ისინი ვერ აღნიშნავენ რაღაც უჩვეულო განყენებულ იდეებს.

რომ ეს მართლაც ასეა, ამას, გარდა ზემომოყვანილი თეორიული მსჯელობისა, ამტკიცებს ენის გამოყენების პრაქტიკაც. თვითონ განყენებული იდეების თეორიის მომხრენი აცხადებენ, რომ ამ იდეების მიღება ხერხდება მხოლოდ რთული გონებრივი ოპერაციების შედეგად, გონების დიდი დაძაბვით. სიტყვების დანიშნულება მართლაც გან-

ყენებული იდეების აღნიშვნა რომ ყოფილიყო ან სიტყვის ზოგადობას მართლაც ეს იდეები რომ შეადგენდნენ, მაშინ სრულიად გაუგებარი იქნებოდა, როგორ იყენებენ ენას ბავშვები და გაუნათლებელი ადამიანები ყოველდღიური საუბრის დროს.

განა ძნელი წარმოსადგენია, აღნიშნავს ბერკლი, რომ ორ ბავშვს თავისუფლად შეუძლია ერთმანეთთან საუბარი თავიანთი სათამაშოების შესახებ, ისე რომ წინასწარ არ გადაწყვიტონ წინააღმდეგობათა უსასრულო რიცხვი, არ შექმნან თავიანთ გონებაში განყენებული იდეები და არ დააკავშირონ ისინი ყოველ ზოგად სახელთან, რომლის ხმარება მათ საუბარში დასჯირდებათ!

აქედან გამომდინარეობს, რომ სიტყვების ხმარების პრაქტიკაც არ გვაპარაულებინებს განყენებული იდეების არსებობას.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ, რომ არც გონების მოქმედების შინაგანი ფსიქიკური მონაცემები, არც მეტყველებისა და სიტყვის ზოგადი ბუნების განხილვა და არც ენის პრაქტიკული გამოყენება არ აღასტურებს განყენებული იდეების არსებობას. მაშასადამე, ეს თეორია ნცდარია.

სიტყვის ზოგადობა არ ყოფილა დამოკიდებული არც განყენებით მიღებულ აბსტრაქტულ იდეაზე, არც კერძო იდეაზე, არც ცალკე აღებულ ნიშანზე.

ზოგადობას ვიღებთ მსგავსს საგანთა შორის მიმართების დადგენით, რაც ნიშნის საშუალებით აღინიშნება¹³.

* * *

ბერკლის ენის ფილოსოფიურ ნააზრევში ისმის აგრეთვე რიგი სხვა საკითხები: სიტყვასა და საგანს შორის დამოკიდებულების სასიათის შესახებ, სიტყვის როლის შესახებ შემეცნებაში და სხვ.

მაგრამ ამ საკითხებზე ბერკლის თვალსაზრისის გაგება მოხერხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავითვალისწინებთ ბერკლის ზოგად თეორიას ნიშნის შესახებ. ბერკლის ფილოსოფიურ სისტემაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ნიშანთა ზოგად თეორიას. ბერკლის ენის ფილოსოფია მისი მეტაფიზიკური სისტემის ძირითადი შევადგენელი ნაწილია.

¹³ Alciphron, გვ. 381.

2. ნიშანთა ზოგადი თეორია

ერთ-ერთ თავის ფილოსოფიურ ნაშრომში¹⁴ ბერკლი ზოგადად განსაზღვრავს ენას: „ენას ქმნის მრავალფეროვან და დაპირისპირებულ ნებისმიერ ნიშანთა დიდობრიცხე“¹⁵.

თუ ასეთი ნებისმიერი დაკავშირება შექმნილია ადამიანთა მიერ, ჩვენ საქმე გვაქვს ადამიანების „ხელოვნურ“ ენებთან. როგორცაა ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვა. მაგრამ თუ ნიშანთა დაკავშირება დაფუძნებულია ბუნების შემოქმედის მიერ, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ბუნებრივ ენასთან ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, „ბუნების ენასთან“. ასეთია ვიზუალური ანუ ხედვის ენა. ადამიანური ენების მასალაა ბგერები, რომელნიც უშუალოდ აღიქმება სმენით, ბუნების ენის მასალაა სინათლე, რომელიც უშუალოდ აღიქმება მხედველობის მიერ. ორივე ენის ნიშნები გრძნობადი ხასიათისაა, უშუალო აღქმის შედეგად მიღებული გრძნობადი იდეები.

სინათლისა და ბგერების მოდიფიკაციები უსასრულოდ მრავალფეროვანია, ამიტომ ორივე მათგანს ძალუძს მოგვაწოდოს უსასრულოდ ბევრი ერთმანეთთან დაპირისპირებული ნიშანი და ამდენად ისინი გამოდგება ენის შესაქმნელად.

ენისადმი წარდგენილი მოთხოვნა რომ დააკმაყოფილონ, ეს ნიშნები ნებისმიერნი უნდა იყვნენ. რას ნიშნავს, რომ ნიშანი ნებისმიერია? რა სახის მიმართებას უწოდებს ბერკლი ნებისმიერს (arbitrary)?

როდესაც ორ ობიექტს ან ორ იდეას შორის არ არის მსგავსება, არც მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, არც რაიმე სხვა სახის აუცილებელი კავშირი, არამედ გვაქვს ობიექტთა უბრალო თანაარსებობა ან იდეათა უბრალოდ ერთდროული აღქმა, მაშინ საქმე გვაქვს ობიექტთა ან იდეათა ნებისმიერ მიმართებასთან¹⁶.

გონების მიერ ამ მიმართებების შემეცნება სხვადასხვა გზით ხდება. იდეათა ან ობიექტთა მსგავსებას ან თანაარსებობას ადამიანი შეიმეცნებს წარმოსახვით (imagination), ან უშუალო აღქმით (to perceive immediately), რის შედეგადაც სულში გაჩნდება გრძნობადი იდეები (ideas or senses); მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ ადამიანი ასკვნის ინტელექტის საშუალებით (we make judgement and inferences

¹⁴ The Theory of Vision or Visual Language. 1733.

¹⁵ „A great number of arbitrary signs, various and opposite, do constitute a language». The Theory of Vision or Visual Language. გვ. 398.

¹⁶ იქვე, გვ. 399—400.

by the understanding), რის შედეგადაც სულში ჩნდება ცნებები (notions)¹⁷.

მაგრამ ყველა ჩამოთვლილ მიმართებას აერთიანებს ერთი რამ. ოუკი ორი ობიექტი ან ორი იდეა ერთმანეთთან როგორღაც დაკავშირებულია (ზემოჩამოთვლილი მიმართებებიდან ერთ-ერთი მაინც გვაქვს), ისინი შეიძლება გამოიყენო ერთმანეთის ნიშნად. მაშ, როდის გვექნება საქმე ნიშანთან? როდესაც ერთი ობიექტის ან იდეის უშუალო აღქმა ან მოაზრება გონებაში გამოიწვევს მეორე ობიექტს ან იდეას, რომელიც საზოგადოდ მასთან დაკავშირებულია, მაგრამ აღქმის ან მოაზრების მომენტში უშუალოდ არ მონაწილეობს.

ასე მაგ., ბგერების აღქმა იწვევს საგნების იდეებს, ასობის აღქმა იწვევს ბგერების იდეებს და, საზოგადოდ, ნიშნის ფიზიკურ ბუნებას თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, ყველა ნიშანი იწვევს თავის კორელატ ალსანიშნს. არ არსებობს ისეთი იდეა, რომელსაც არ შეეძლოს სხვა იდეის გამოწვევა, რომელიც მასთან კავშირში იმყოფებოდა.

გარკვეულ კონკრეტულ შემთხვევებში, ნიშანმა შეიძლება გამოიწვიოს თავისი კორელატი ალსანიშნი — როგორც სახე (image), სხვა შემთხვევაში — თუ ნიშანი მიზეზია — მისი კორელატი ალსანიშნი იქნება შედეგი და პირიქით.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა გასაგებს ხდის, თუ რას გულისხმობს ბერკლი საზოგადოდ ნიშნის ქვეშ. კითხვა ისმის, რომელი ნიშანია ნებისმიერი ნიშანი? ჩატარებული მსჯელობა გვაძლევს საშუალებას გავცეთ ამ კითხვას ლოგიკური პასუხი. ნებისმიერი იქნება ის ნიშანი, რომელიც იწვევს მასთან ნებისმიერ მიმართებაში მყოფ ალსანიშნს¹⁸. სწორედ ასეთი ნებისმიერი ნიშნები ქმნიან, ბერკლის გაგებით, ენას. სხვა შემთხვევაში ენის არსებობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ ნიშნებთან შეიძლება გვეკონდეს საქმე. ბუნებრივი, აუცილებელი კავშირის დროს ნიშანს ეკარგება თავისი ფუნქციური ღირებულება. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ნიშნების გამოყენება შეუზღუდველია, რადგანაც ნიშანსა და ალსანიშნს შორის აუცილებელი კავშირი არ არის, ჩვენ ნიშნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ რა გინდა რა ობიექტი, ეს უკვე შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული და სწორედ ეს არის ენის უდიდესი ფუნქციური პრიორიტეტი სხვა ნიშნებთან შედარებით, სადაც კავშირი ნაკარანხევია და შეზღუდული. ბგერამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ მხოლოდ სმენით აღიქმება, ადამიანის გონებაში შეიძლება გამოაწი-

¹⁷ The Theory of Vision or Visual Language, გვ. 400.

¹⁸ იქვე, გვ. 402—403.

ვიოს ნებისმიერი ობიექტი იმისდა განურჩევლად ეს ობიექტები უშუალოდ სმენის, მხედველობის, შეხების, ყნოსვის საშუალებით აღიქმება თუ ინტელექტუალური წვდომით მიიღწევა (მაგ., ღმერთის, სულის აქტივობის ცნებები). და ეს იმითომ, რომ ბგერას, როგორც ნიშანსა, და ბგერით აღნიშნულ კორელატ ალსანიშნებს შორის არავითარი აუცილებელი კავშირი არ არის გარდა იმისა, რაც დადგენილია ტრადიციით (custom) და შეთვისებულია გამოცდილებით.

როგორ ახასიათებს ბერკლი იმ ფსიქიკურ აქტს, რომლის შედეგადაც ადამიანი შეიცნობს ნიშანსა და ალსანიშნს შორის არსებულ მიმართებას, არის ეს აღქმა, შეგრძნება, ინტელექტუალური წვდომა თუ სხვა რამ? ამ საკითხს ბერკლი ძალიან დაწვრილებით განიხილავს და მის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს ბერკლის ფილოსოფიური სისტემის აგების თვალსაზრისით.

იმთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ინტელექტუალური წვდომა, რადგანაც ასე, ბერკლის აზრით, შეიმეცნება მხოლოდ აუცილებელი კავშირები, ე. ი. ეს ფსიქიკური აქტი გრძნობადის სფეროში უნდა ექმებოდეს. არის თუ არა ეს აღქმა ან შეგრძნება? ბერკლი ამას უარყოფითად უპასუხებს. საქმე ისაა, რომ უშუალო აღქმით ან შეგრძნებით ადამიანი შეიმეცნებს ნიშნის გრძნობად ბუნებას. მაგ., თუ ნიშანი ბგერაა, სმენა უშუალო აღქმით შეიმეცნებს მხოლოდ მის ბეკრით, აკუსტიკურ თვისებებს, თუ ნიშანი სინათლეა, მაშინ მხედველობა უშუალოდ აღიქვამს ფერს და სხვას არაფერს, ე. ი. მიმართების წვდომა არ არის უშუალო აღქმა.

იმ ფსიქიკურ აქტს, რომლის შედეგადაც ადამიანი ნიშნის მიხედვით წვდება ალსანიშნს, ბერკლი უწოდებს suggestion-ს¹⁰ (აღძვრა, გამოწვევა).

ეს suggestion ე. ი. გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც მიმართება ობიექტებს შორის სავსებით ნებისმიერია და ცნობილია ადამიანისათვის წინა გამოცდილებიდან, ჩვევიდან. როგორ ესმის ავტორს ამ ტერმინის ფსიქოლოგიური შინაარსი? ბერკლი აღნიშნავს, რომ ადამიანს აქვს შეგრძნების ორგანოები. იმ ობიექტებს, რომელნიც მხოლოდ გარკვეული შეგრძნების ორგანოთი აღიქმება, ეწოდება გრძნობადი ობიექტები. გარკვეული ორგანოთი საკუთრივ აღქმული საგნები არიან

¹⁰ სხვათა შორის ამ ტერმინს არ თარგმნიან. მაგ., ერნსტ კასირერი ტოვებს მას უთარგმნელად გერმანულ ტექსტში. რუსულ თარგმანებში ვხვდებით კორელატად: ВНУ-ШАЕТ, ВНАУШАЕТ. ტერმინი პირველად კანტიანტად ვხვდებით ლოკთან და ჰობსთან. მაგრამ იქ მისი შინაარსი განუმარტავი რჩება. ამიტომ როგორც მეცნიერული ტერმინი იგი შემოტანილია ბერკლის მიერ.

უშუალოდ აღქმულნი. გარდა იმ საგნებისა, რომელნიც საკუთრივ და უშუალოდ აღიქმებიან გონების მიერ, არსებობენ კიდევ სხვა საგნები, რომელნიც გამოწვეულნი არიან გონებაში²⁰ ამ საკუთრივი და უშუალო ობიექტების (ე. ი. ნიშნების) მეშვეობით. ასეთ საგნებს ვერ დავახსიათებთ როგორც გარკვეულ უშუალო ობიექტებს. ისინი არაან მხოლოდ წარმოსახვის ობიექტები (objects of imagination) და წარმოშობით ეკუთვნიან სულ სხვა გრძნობის ორგანოთა რიგს, ვიდრე საკუთრივი ობიექტები (მაგ., ბგერა, როგორც ნიშანი და წითელი, როგორც აღსანიშნი ფერი). ამდენად ბერკლი ობიექტებში გამოყოფს პირველად და მეორეულ ობიექტებს, ხოლო მათ შემეცნებელ ფსიქიკურ აქტებში უშუალო აღქმას და წარმოსახვას. წარმოსახვა ხორციელდება იმ ასოციაციური კავშირის გამო, რომელიც არის ნიშანსა და აღსანიშნს შორის. უშუალოდ აღქმულ გრძნობად ობიექტს ბერკლი ჩვეულებრივ პირველად იღებს უწოდებს, ხოლო წარმოსახვაში გამოწვეულ ობიექტს — სახეს.

იმისათვის, რომ ჩვენთვის საესებით ნათელი იყოს ბერკლის ნიშანთა ზოგადი თეორიის არსი, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ფილოსოფიური კონტექსტი, რომელშიც ადგილს პოულობს მისი ენობრივი თეორია²¹.

რად დასჭირდა ბერკლის ნიშანთა ზოგადი თეორიის ჩამოყალიბება? ბერკლის, როგორც ფილოსოფოსს, უთუოდ ნიშანი თავისთავად კი არ აინტერესებდა, არამედ შემეცნების თეორიისა და ონტოლოგიის ძირითადი პრობლემების გადასაწყვეტად. ეს მართლაც ასეა. ბერკლიმ ნიშანთა თეორია ააგო იმისათვის, რომ თავისი ფილოსოფიური საფუძვლებიდან ამოსვლით, ამ თეორიის მეშვეობით აეხსნა ადამიანის მიერ ობიექტური სამყაროს შემეცნების შესაძლებლობა და ამ შემეცნების წესი დაეხსიათებინა.

ბერკლის ფილოსოფიის საფუძველი არის სენსუალიზმი. მისი ძირითადი დებულებაა esse—percipi: ადამიანს არა აქვს შემეცნების არავითარი სხვა წყარო თუ არა მისი შეგრძნებები.

²⁰ «Suggested to the minds...» «The New Theory of Vision», გვ. 397.

²¹ ამ წერილის ფარგლებში ჩვენს მიზანს არ შეადგენს ბერკლის ფილოსოფიური და გნოსოლოგიური ნააზრვეის სრული ანალიზი და კრიტიკა. ამის შესახებ იხ. В. И. Ленин, Материализм и эмпириокритицизм, Сочинения, т. XIII, Государственное издательство, Москва-Ленинград, 1928; В. Э. Быховский, Джордж Беркли: ретроградный новатор. В. Ф. № 10, 1968; И. С. Нарский, О некоторых уроках критики В. И. Лениным Берклианства. Вестн. Моск. Унив., № 1, 1966. კრ.: George Berkeley. Los Angeles. 1957. კრ.: Berkeley and Modern Problems. Aristotelian Society. S. V. XXVII. London, 1953. კრ.: New Studies in Berkeley's Philosophy, ed. by W. E. Steinkraus, N. Y. 1966. და სხვა.

შეგრძნებების ორგანოებით ადამიანი აღიქვამს იდეებს და სხვას არათერს. ძალიანაც რომ ეცადოს, ადამიანი ვერ გადაახტება თავის თავს, ე. ი. ვერ მოიპოვებს ვერათერს გარდა იდეებისა. ამდენად შემეცნების ობიექტებს მხოლოდ და მხოლოდ იდეები ქმნიან. ბერკლი არ უარყოფს იმას, რომ ადამიანს გარდა აღქმებისა აქვს სხვა გონებრივი შესაძლებლობებიც. მაგ., წარმოსახვა და ინტელექტი, განსჯის უნარი. მაგრამ ყველა ეს შესაძლებლობები მაინც მიწართულია მხოლოდ და მხოლოდ პასიური, ცალკეული იდეების შესასწავლად და მათ შორის მიმართებების დასადგენად. ვთქვათ, უშუალოდ, მართლაც, მხოლოდ იდეებია მოცემული. მაგრამ ეგებ მოხერხდეს ადამიანის ინტელექტის დომარჩევებით, განზოგადებით მივწვდეთ რამე სხვას გარდა იდეებისა. განზოგადებამ, ბერკლის მიხედვით, შეიძლება დაგვადგენინოს იდეათა შორის მიმართებები და დაგვადგენინოს იდეათა საერთო ნიშნები, მაგრამ ეს ზოგადიც არათერია თუ არა გრძნობადი იდეების, გრძნობადის საერთო ნიშნები. ამდენად, ბერკლისათვის, თუ ის ლოგიკურად განავითარებს თავისი ფილოსოფიის საფუძვლებს, სრულიად დაუშვებელია იდეებისაგან განსხვავებული, თვისობრივად სხვაგვარი ობიექტის დაშვება.

ბერკლი ამბობს: მე უარყოფ მატერიალური სუბსტანციის არსებობას იმიტომ კი არა, რომ არ გამაჩნია მის შესახებ ცნება, არამედ იმიტომ რომ ეს ცნება წინააღმდეგობას, შეიცავს. იქნებოდა არათანმიმდევრული, მე რომ ეს ცნება დამეშვა. ის, რომ წარმოდგენები, იდეები, არსებობენ იმაში, რაც არ აღიქვამს, ანდა წარმოიქმნებიან იმისგან, რაც არ მოქმედებს, რაც აქტიური არ არის, — წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. წინააღმდეგობას შეიცავს იმის მტკიცებაც. რომ იდეა ჰგავს ისეთ რაშეს, რაც აბსოლუტურად, თვისობრივად განსხვავებულია მისგან. ამიტომ ბერკლი ასკენის, რომ თუკი ჩვენ აუცილებლობით უნდა მივიდეთ იდეების მატარებელი სუბსტანციის ცნებამდე, ეს სუბსტანცია უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც აქტიური რამ, იდეების აღქმის უნარის მქონედ და თავის არსებაში იდეების მსგავს რამედ. ასეთი სუბსტანცია კი შეიძლება იყოს მხოლოდ ღ ღ ღ. ე. ი. ბერკლის ფილოსოფიის ძირითადი დებულებებია, რომ ობიექტურად არსებობენ იდეები, რომელნიც აღიქმებიან სასრული სულების მიერ, ხოლო ამ იდეების წყარო და მიზეზი არის უსასრულო, ყოვლისშემძლე სული — ღ ღ ღ²².

²² სხვათა შორის, იუმმა თქვა ბერკლის ფილოსოფიის შესახებ: His sceptical arguments produce no conviction and yet seem to admit of no refutation.

აი, სწორედ ეს დებულება შეიცავს ბერკლის ნიშანთა თეორიის საწყისებს. თუკი იდეები პასიურნი არიან და მხოლოდ აღიქმებიან სულების მიერ, მაშინ ცხადია, იდეა არ შეიძლება იყოს უშუალოდ იდეის მიზეზი. იდეებს შორის დაუშვებელია მიზეზ-შედეგობრივი, აუცილებელი კავშირი. იდეების მიზეზი არის აქტიური სული და არა თვითონ იდეები. აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ იდეებს შორის მართება შეიძლება ეყრდნობოდეს მსგავსებას, ან იყოს ნებისმიერი. ბერკლის მიხედვით, ეს მართლაც ასეა. ობიექტები შეიძლება გავდნენ ერთმანეთს ფერით, სუნით, მოყვანილობით და სხვ. მაგრამ არსებობენ ისეთი იდეები, რომელნიც თანაარსებობენ. შეგვჩვენებს ორგანოების მიერ ერთად აღიქმებიან, მაგრამ არავითარი მსგავსება მათ შორის არ დასტურდება. ასეთია, მაგ., ფერისა და შეხების იდეები. სმენისა და ყნოსვის იდეები. ეს იდეები მხოლოდ თანაარსებობენ და ამდენად ჩვენ მათ ერთი ობიექტის დამახასიათებლად მივიჩნევთ და ვარქმევთ მათ ერთ სახელს. მაშ, რა მიმართება შეიძლება არსებობდეს ამ იდეებს შორის, თუკი აუცილებელი კავშირი და მსგავსება გამორიცხულია? ლოგიკური პასუხი ბერკლის თვალსაზრისიდან ამოსვლით იქნებოდა: ეს იდეები ერთმანეთის ნიშნები შეიძლება იყვნენ მხოლოდ. რადგანაც ამ შეგვჩვენებათაგან ყველაზე მკვიდრი ფართოდ გაგებული შეხების იდეებია, უნდა ვიფიქროთ, რომ სინათლის და ფერების იდეები, აღქმულნი მხედველობის ორგანოს მიერ, ქმნიან ბუნების ენას, რომელიც აღძრავს წარმოსახვაში შეხებისა და სხვა იდეებს და აპირობებს ადამიანის მოქმედებას საგნების მიმართ. მაგ., აფრთხილებს საშიშროების შემთხვევაში და სხვ. (ბრემბისა და უფსკრულის მაგალითი). ვინაიდან ობიექტურად იდეებს ქმნის და აკავშირებს ერთმანეთთან უზენაესი სული-ღვთაება, ამიტომ სინათლის ან ხედვის ენა შეიძლება დავახასიათოთ როგორც ღვთაებრივი ენა. რომლითაც ღმერთი ესაუბრება თავის ქვეშევრდომებს. ამ პუნქტში ერთმანეთს დაემთხვა ბერკლის გნოსეოლოგიისა და თეოლოგიის ძირითადი დებულებები (სხვათა შორის, ვინდელბანდი თავის ფოლოსოფიის ისტორიაში აღნიშნავს, რომ ძნელად თუ მოიძებნება ფალოსოფიის ისტორიაში კიდეც სხვა მოაზროვნე, რომელთანაც ერთმანეთს ასე ბუნებრივად ერწყმოდნენ მეტაფიზიკა და თეოლოგია).

თავისი ფილოსოფიური სისტემიდან ამოსვლით ბერკლი დაასკვნის, რომ მეცნიერების ამოცანას უნდა შეადგენდეს არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, არამედ იდეათა შორის მიმართებების დადგენა, ე. ი. ბუნებრივი და ადამიანის ენის ნიშანთა და აღსანიშნთა შორის კანონზომიერი მიმართებების აღმოჩენა და დადგენა. ამდენად, თუკი ლოკს სემიოტიკისათვის მხოლოდ ერთი გარკვეული უბანი ჰქონ-

და მიკუთვნებული, ბერკლიმ ნიშანთა თეორია აქცია სამყაროს შემსწავლელ უნივერსალურ მეთოდად²².

* * *

ასეთნაირად შეიძლება დახასიათდეს ბერკლის ენის ფილოსოფიის ძირითადი პრობლემები და მათი ფილოსოფიური საფუძველი.

რა შეიძლება ითქვას ბერკლის ენის ფილოსოფიის შესახებ.

1. პირველი, რაც იქცევს ყურადღებას არის ის, რომ ბერკლის სრულიად არ აინტერესებს ენა თავისთავად, ან ენის ისეთი მხარეები. რომელნიც არ არიან უშუალო კავშირში მის მიერ დასმულ ფილოსოფიურ პრობლემასთან. ძირითად საკითხებად ბერკლის გამოყოფილი აქვს სიტყვის ზოგადობის და ნიშნადობის პრობლემა. ორივე ეს საკითხი უშუალოდ არის დაკავშირებული შემეცნების თეორიის ქვაკუთხედ პრობლემასთან, როგორც, რა გზით ხდება ადამიანის მიერ ობიექტური სამყაროს შემეცნება, რა როლს თამაშობს ენა და სიტყვა შემეცნების პროცესში, სიტყვა ხომ ზოგადის გამომხატველია და საგანთა და მათი მიმართებების ნებისმიერა ნიშანი. თუ განვიხილავთ ენის ფილოსოფიისა და ზოგადი ენათმეცნიერების დამოკიდებულებას ამ კონკრეტულ საკითხში, უნდა დავასკვნათ, რომ მათ შორის უპირველესად ყოვლისა განსხვავებაა თვალაზრისში. ზოგად ენათმეცნიერებას როგორც სპეციალურ დარგს არ შეიძლება აინტერესებდეს შემეცნების პრობლემები ზოგადად. ზოგად ენათმეცნიერება არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია გადაწყვიტოს პრობლემა, თუ რა როლს თამაშობს ენა შემეცნების პროცესში²³.

თვალაზრისების და პრობლემატიკის განსხვავებული ხასიათი განპირობებს მეთოდის თავისებურებასაც. ამ მხრივ ბერკლის ენის ფილოსოფიას გარკვეული სპეციფიკა ახლავს. რადგანაც ბერკლის თვალ-

²² Alciphron, გვ. 343. ბერკლის ხედვის თეორია დაწვრილებით დახასიათებულია შემდეგ ნაშრომში: D. M. Armstrong. «Berkeley's Theory of Vision». A critical examination of Bishop Berkeley's «Essay towards a New Theory of Vision». McIlhounne. 1960. აქ არა გვაქვს შესაძლებლობა დაწვრილებით განვიხილოთ ბერკლის ხედვის თეორია. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს. ეს თეორია არ გამოდგება სამყაროს შემეცნების ზოგად იარაღად, მაგრამ იმ ვიწრო სფეროში, რომელიც თვით ხედვის შეეხება, ის უთუოდ შეიცავს რაციონალურ მარცვალს. ბერკლი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც დაინახა, რომ ხედვის პრობლემა არ გადაიჭრება ოდენ ოპტიკური, ფიზიოლოგიური, თუ ფსიქიკური მხარეების აღწერით. ხედვის სემოტიური პრობლემატიკა ამჟამადაც მეტად აქტუალურია.

²³ დაწვრილებით ამის შესახებ ის, ჩვენი წერილი: მნიშვნელობის პრობლემის დასმისათვის ფილოსოფიისა და ენათმეცნიერების ზოგიერთ მიმდინარეობაში. კრებ. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, I, თბილისი, 1966.

საზრისის ამოსავალი სენსუალიზმია, ამდენად ბერკლი, შესაძლებელია ხშირად შეუცნობლადაც, ცდილობს განიხილოს საკითხის არა მხოლოდ ზოგად — ფილოსოფიური მხარე, არამედ მოიშველიოს ადამიანის ფსიქიკაზე დაკვირვების შედეგებიც. ბერკლის დროს მეცნიერება „ფსიქოლოგია“ რომ არსებულებო, ჩვენ ვიტყვით, რომ ენის საკითხების ფილოსოფიური კვლევისას ფილოსოფოსი იშველიებს ენის ფსიქოლოგიისა და აზროვნების ფსიქოლოგიის მონაცემებს. ბერკლის ნააზრევადან თითქოს აშკარა ხდება, თუ რა ადგილი უჭირავს ენის ფსიქოლოგიას ენის ფილოსოფიურ საკითხთა კვლევაში. მხოლოდ ენის ფსიქოლოგიის მონაცემები არსებითად, პოზიტიურად ვერ გადაგვაწყვეტინებენ სიტყვის ზოგადობის პრობლემას, მაგრამ შესაძლებლობას მოგვცემენ დაეასკვნათ, რომ სიტყვის ზოგადობის არსი არ განისაზღვრება იმ ფსიქიკური პროცესებით, რომლებიც სიტყვის გააზრებას თან სდევნენ. ამდენად, ენის ფილოსოფია უნდა აზოგადდებდეს არა კონკრეტული ენების შესწავლის შედეგებს, არამედ ენის შემსწავლელი მეცნიერული დარგების: ენის ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის და სხვ. მონაცემებს, რადგანაც ფილოსოფიური თვალსაზრისი ყველაზე ზოგადი თვალსაზრისია.

ამრიგად საკითხების დასმისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით ბერკლის შეხედულებები ენის შესახებ ტიპობრივი ენის ფილოსოფიური ნააზრევია.

2. არის თუ არა ბერკლის ენის ფილოსოფიაში გადაკრილი სიტყვის ზოგადობის, სიტყვის ნიშნადობისა და სიტყვის შემეცნების პროცესში გამოყენების საკითხები? მიაღწია თუ არა ბერკლიმ დასახულ მიზანს? სიტყვის ზოგადობის კვლევისას ბერკლის მიზანი იყო, როგორც ვნახეთ, დაერღვია ლოკის თეორიის სუსტი მხარეები, რომლებიც გამომდინარეობდნენ ფსიქოლოგიზმიდან და ინდივიდუალიზმიდან. ბერკლის ამოცანა იყო დაედგინა ზოგადობის ისეთი ცნება, რომელიც არ იქნებოდა დამოკიდებული ფსიქოლოგიურ, ინდივიდუალურ მონაცემებზე და გადმოსცემდა ზოგადობის ობიექტურ არსს. ეს ბერკლიმ სცადა რეპრეზენტაციის, ნიშნის თეორიის მეშვეობით. უნდა ითქვას, რომ ბერკლის მიერ წარმოდგენილი თეორია მიზანს ვერ აღწევს. ბერკლის მიერ დახასიათებული ზოგადი ისევე ფსიქიკურის სფეროში რჩება და აუხსნელს ტოვებს სიტყვის ზოგად ბუნებას. გარეგნულად ბერკლის თეორიაში ყველაფერი რიგზეა. ზოგადობა მსგავსებაშია, მიმართებაშია და არ არის უშუალოდ დამოკიდებული ინდივიდუალურ თუ ზოგად წარმოდგენაზე. სხვათა შორის, ბერკლიმ აქ იწინასწარმეტყველა აზროვნების ფსიქოლოგიის მონაცემები. ვიურტებურგოს სკოლამ

(კიულპე, საფრანგეთში—ბინე) დაამტკიცა, რომ სიტყვის გამოყენებისას არ არის აუცილებელი მას რაიმე წარმოდგენა სდევდეს თან. მაგრამ კითხვა ისმის, რა უდევს საფუძვლად ბერკლისთან ზოგადის გამოყოფას, რა სახის მიმართებაა მასთან საუბარი? მსგავსება გამოიყოფა ასოციაციის საფუძველზე, ხოლო მიმართებებიც ან უშუალო აღქმით შეიმეცნებიან, ან ისევ ასოციაციას ემყარებიან, როგორც ეს suggestion-ის ცნებიდან ჩანს. ასეთი სახის ზოგადი შეესაბამება ხატოვანი ან პრაქტიკული აზროვნების დონეს. სიტყვის ზოგადობა რომ მართლაც მხოლოდ ამით განისაზღვრებოდეს, მაშინ სიტყვა შესაძლებელია გამოდგეზოდა საკომუნიკაციო ნიშნად პრაქტიკული ქცევისას ზოგიერთი პრიმიტიული სახეების წარმოსახვაში, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებდა აზროვნების იარაღის როლს. ბერკლის თეორია არკვევს ზოგადობის პირველი საფეხურის გაჩენის ფსიქოლოგიურ გზებს, მაგრამ არაფერს გვეუბნება ცნებით, რაციონალურ აზროვნებაზე. ამიტომ მის თეორიაში გაუთვალისწინებელი რჩება ენის დამოკიდებულება ცნებით აზროვნებასთან და, რა თქმა უნდა, ბოლომდე არ არის დახასიათებული ენის როლი სამყაროს შემეცნებაში.

3. ბერკლის თეორიაში „ნიშნის ბუნების შესახებ“ გადაჭარბებულია ნიშანთა შესწავლის როლი მეცნიერულ მეთოდოლოგიაში. ასეთ უკიდურეს დასკვნამდე ბერკლი მიიყვანა მისი ფილოსოფიის იდეალისტურმა საფუძვლებმა. ბერკლის სენსუალიზმმა ვერ გადააქრევინა მას ზოგადის, ლოგიკურის პრობლემა, ამიტომ სამყაროში აუცილებელი ობიექტური კანონზომიერების პრობლემა ბერკლის ფილოსოფიაში შემოსაზღვრა სულის ცნების ქვრეტით, ხოლო რეალური ბუნების მეცნიერული შესწავლა შემოიფარგლა ასოციაციის კანონის არასრული დადგენით. ბერკლის ფილოსოფიური სისტემა წინააღმდეგობის შემცველია, ერთი მხრივ, ბერკლი ამტკიცებს, რომ იდეებს აქვთ ობიექტური, აუცილებელი ხასიათი, რომელსაც მათ აქტიური სული ანიჭებს, ხოლო, მეორე მხრივ, როცა საქმე მიდგება ამ იდეების მეცნიერულ შესწავლაზე, აღმოჩნდება რომ კავშირი მათ შორის ნებისმიერია და უბრალო ასოციაციაზეა დამყარებული. ფილოსოფიური სისტემის ამ წინააღმდეგობამ თავი იჩინა ნიშნის თეორიაშიც. ერთი მხრივ, ბერკლი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ნიშნის ზოგადობა ობიექტურად არსებულ საგანთა მსგავსებას ემყარება, მეორე მხრივ, კი თვითონ საგანი გამოაცხადა იდეათა ნებისმიერ კავშირად, რომელსაც ნიშანი აერთიანებს.

4. რა ადგილი უჭირავს ბერკლის ენის ფილოსოფიის ისტორიაში? ფილოსოფიის ისტორიის მკვლევართა უმრავლესობა (კასირერი, ვინდელბანდი, ფიშერი) ბერკლის ნიშნის თეორიას „ნომინალიზმად“ ახა-

სიათებს. მართლაც გარეგნულად დიდი მსგავსებაა საშუალო საუკუნეების „ტერმინიზმსა“ და ბერკლის თეორიას შორის. ოღონდ როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს კასირერი²⁴, ბერკლის თეორია ახალ შინაარსს იძენს საშუალო საუკუნეების ნომინალიზმთან შედარებით, თუ გავითვალისწინებთ მის ადგილს ბერკლის ნიშანთა ზოგად თეორიაში. რეპრეზენტაციის ცნება აქ, როგორც ვნახეთ, უფრო ზოგად, უნივერსალურ ხასიათს ატარებს.

М. В. МАЧАВАРИАНИ

ВОЗЗРЕНИЯ БЕРКЛИ НА ЯЗЫК

Резюме

Теория языка Беркли концентрируется вокруг двух вопросов: а) проблема общности слова и б) общая теория знаков.

По мнению Беркли, общность слова не зависит от общности идей и представлений. Слово абстрактно, так как оно является именем класса схожих конкретных вещей. По Беркли общность не есть нечто позитивное, например понятие, или представление. Общность не объект, а отношение, которое устанавливается между конкретными явлениями. Слово, само по себе, вполне конкретно, так же конкретно как и любой предмет им обозначаемый, общность же ему придает то обстоятельство, что оно является репрезентантом класса конкретных вещей, т. е. в основе общности слова лежит отношение наименования. То, что общность слова действительно не зависит от характера связанных с ним идей, по мнению Беркли, явствует из того, что самое общее слово в психике может сопровождаться наиболее конкретным представлением, или даже может вовсе не иметь психического коррелята. В этом отношении языковые знаки схожи с ценностями и алгебраическими знаками, в основе которых лежит не психическое, или материальное качество, а отношение. Так как общие понятия, по Беркли, суть не что иное, как устанавливаемые при помощи знаков отношения между схожими предметами, то, естественно, Беркли особое внимание уделил созданию общей теории знаков. Учение Беркли о знаках является прообразом современных семиотических теорий в их гносеологической интерпретации.

²⁴ იხ. მისი Das Erkenntnisproblem in der Philosophie und Wissenschaft der neueren Zeit. Berlin, 1911. გვ. 288

Наряду с ценными положениями о знаке и знаковых системах, звучащих вполне современно и даже актуально с точки зрения конкретных семиологических проблем, в теории Беркли дана попытка обобщить функцию знака до универсального средства познания и таким образом свести теорию познания к семиологии.

Помимо того, что такая попытка оставляет неразрешенными гносеологические проблемы, гипертрофия знаковых функций приводит в конечном счете к неверному пониманию сущности знака и роли знаковых систем.

ბ. კვარაცხელია

მხატვრული ენის შესწავლის საკითხები „ოკოციაზ“-სა
და პრალის სკოლაში

20—30-იანი წლების ლინგვისტური მიმართულებისათვის დამახასიათებელია იმ სხვადასხვა თეორიათა თითქმის სინქრონიული გამოჩენა, რომლებიც დაუპირისპირდნენ ე. წ. ტრადიციულ ენათმეცნიერებას და რომლებიც ახალ გზებს ეძებდნენ ძირითადი ლინგვისტური პრობლემების გადაჭრისათვის. ანალიზის მეთოდებს საკითხები, ენისა და მეტყველების დაპირისპირებისა და არსის პრობლემა, ენის სტრუქტურის ცნება ჩნდება არა მარტო იმ შრომებში, რომლებმაც განაპირობა მომდევნო ათწლეულებში ლინგვისტური აზრის მიმართულება, არამედ იმ შრომებშიც, რომლებიც გაბატონებული მიმართულების გარეთ იდგა ფაქტობრივად — ა. გარდინერის, კ. ბოულერისა და სხვათა მონოგრაფიებში. ამით აიხსნება ის ფართო რეზონანსი, რომელიც ნ. ტრუბეცკოის, რ. იაკობსონისა და ს. კარცევსკის გამოსვლას ჰქონდა ენათმეცნიერთა პირველ საერთაშორისო კონგრესზე¹. თუ დღეს გავხედავთ იმ გზას, რომელიც ენათმეცნიერებამ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე განვლო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე ამ მოხსენებაში და შემდეგ პრალის ლინგვისტური წრის „თეზისებში“ ჩამოყალიბებული იყო ენათმეცნიერების ამოცანები და მათი რეალიზაციის გზები. სწორედ ნ. ტრუბეცკოის, რ. იაკობსონისა და ს. კარცევსკის 20—30-იანი წლების შრომებში შეიქმნა ახალი თეორიის პოსტულატთა ცნობილი სისტემა და აგრეთვე მოცემულ იქნა ლინგვისტური ანალიზის მეთოდთა გამოყენების პირველი ნიმუში ფონოლოგიურ მასალაზე². ე. ბენვენისტი პირდაპირ მიუთითებს, რომ სტრუქტურალურმა თეორიამ თავისი პირველი გამოხატულება პოვა სამი რუსი ენათმეცნიერის ზემოდასახელებულ მოხსენებაში და შემდგომ პრალის წრის „თეზისებში“. სწორედ ამ შრომებში გაჩნდა პირველად ტერმინი „სტრუქტურა“. როგორც

¹ М. М. Г у х м а н, Исторические и методологические основы структурализма, წიგნი: Основные направления структурализма, М., 1964, გვ. 23.

² იქვე, გვ. 24.

აგება, სისტემის ორგანიზაცია გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობით?.

პრალის საენათმეცნიერო წრე, რომელიც 1926 წ. შეიქმნა პროფ. ვ. მათეზოუსის ხელმძღვანელობით, ყოველთვის გამოირჩეოდა თავიარილობით და ნაყოფიერი კავშირით დასავლეთევროპულ საენათმეცნიერო ცენტრებთან და რუს მეცნიერებთან. მის სხდომებზე გამოდიოდნენ და აგრეთვე მის გამოცემებში მონაწილეობდნენ სხვა ქვეყნების მეცნიერებთან ერთად რუსებიც — გ. ვინოკური, ე. პოლივანოვი, ი. ტინიანოვი, ბ. ტომაშევსკი, ნ. დურნოვო, პ. ბოგატირევი და სხვები⁴. ი. ვახეკი ნაშრომში „პრალის ლინგვისტური სკოლა“ სათანადოდ აღნიშნავს რუსი ენათმეცნიერების ღვაწლს ჩეხური ლინგვისტური კონცეფციის განვითარებაში. იგი ტრუბეცკოს, იაკობსონისა და კარცევსკის გარდა ასახელებს ბოგატირევს, დურნოვოს, ლ. კოპეცკის, ა. ისაჩენკოს, ა. არტიმოვიჩსა და სხვ., რომლებმაც ჩეხ, სლოვაკ და გერმანულ (პ. ბეკერი, ფ. სლოტი) მეცნიერებთან ერთად ღირსეული წვლილი შეიტანეს პრალის ზოგადლინგვისტური თეორიის ჩამოყალიბებაში⁵.

როგორც ცნობილია ჰაეციალური ლიტერატურიდან, რუსმა ენათმეცნიერებმა (ტრუბეცკო, იაკობსონი, კარცევსკი) „ევროპაში გაიტანეს და განავითარეს რუსული საენათმეცნიერო ტრადიციები და რუს ენათმეცნიერთა (ბოდუენ დე კურტენეს, შჩერბას, შახმატოვის, ფორტუნატოვისა და სხვათა) იდეები“⁶.

ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ ყოფილა აღნიშნული⁷ და როგორც ჩანს, შესწავლილიც იმ რუსი ფილოლოგების შეხედულებათა და თეორიათა გავლენა პრალის სკოლაზე, რო-

⁴ E. Benveniste, «Structure en linguistique, კრებულში: «Sens et usages du terme structure dans les sciences humaines et sociales, 's Gravenhage, 1962, გვ. 37.

⁵ Н. Коппл шов, Пражский лингвистический кружок, М., 1967, გვ. 6.

⁶ Josef Vachek, The Linguistic School of Prague. Bloomington, London, 1966, გვ. 10.

⁷ თ. შარაძენიძე, პრალის საენათმეცნიერო სკოლის ზოგადლინგვისტური თეორია, ივე, XV, 1966, გვ. 79.

⁸ თუ შეხედვლობაში არ მივიღებთ ერთი-ორგან შეხვედრილ ისეთ ზოგად ფრაზებს, როგორცაა მაგ. ტ. ბულოგინას მეტად საინტერესო და შინაარსიან გამოკვლევაში შემდეგი: «პოეტური ენის პრალულ კონცეფციაზე ძლიერი გავლენა მოახდინეს რუსმა ფორმალისტებმა, რომლებიც ისევე, როგორც პრალელები, აღიარებდნენ განსაკუთრებული «პოეტური მეტყულების», ანუ «პოეტური ენის» არსებობას, პრაქტიკულ ენასთან დაპირისპირებით» და სხვ. იხ. Т. В. Булыгина, Пражская лингвистическая школа, წიგნი: Основные направления структурализма, გვ. 119. შტრ. V. Erlich. Russian Formalism, 's Gravenhage. 1955; V. Strada, Formalismo e neoformalismo. Questo e altro, Revista di letteratura. 6-7. Milano, 1964, გვ. 51—56.

ნელთა პრაქტიკულმა და თეორიულმა შრომებმა უსათუოდ შეუწყვეს ხელი და შეიძლება ითქვას, ზოგჯერ განაპირობებს კიდევ პრაღის კონცეფციის არსებით დებულებათა ჩამოყალიბება. ჩვენ მხედველობაში გვყავს ვ. შკოლოვსკი, ლ. იაკუბინსკი, ბ. ეიხენბაუმი, ო. ბრიკი (ავრთვე იაკობსონი, ტინიანოვი, ტომაშევსკი, ვინოკური, რომელთა ადრეულ შრომებს ხშირად განიხილავდნენ, როგორც მხოლოდ ფორმალისმის პოზიციებიდან დაწერილთ და როგორც არა იმდენად მეცნიერულ გამოკვლევებს, რამდენადაც ფუტურისმისა და მაშინდელ ლიტერატურაში ფუტურისმის მონათესავე მიმდინარეობათა მანიფესტებს)⁸. რუსული ფილოლოგიის მეტად საინტერესო და ნაყოფიერ წარმომადგენელთა ასეთი შეფასება უსამართლოა, ვინაიდან 20—30-იან წლებში დაწერილ მათ შრომებში დაძლეულია ფორმალისტური კონცეფციები და არავითარი კავშირი არ ჩანს ფუტურისმის ესთეტიკასთან. ზოგიერთი მათგანის (ტინიანოვი, ვინოკური, იაკუბინსკი. . .) გამოკვლევებისათვის თავიდანვე ნიშანდობლივი იყო ორიენტაცია აზრზე, მნიშვნელობაზე; ყურადღების გამახვილება ენობრივ და ლიტერატურულ მოვლენათა ცვლილებებზე და მათი აღრიცხვა. ე. წ. „ფორმალისტა“ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გამოდიოდნენ, როგორც ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებული პოეტური ენის შესწავლის თეორეტიკოსები და ამავე დროს არ წყდებოდნენ კონკრეტულ მხატვრულ პრაქტიკას. მათთვის დამახასიათებელია ტრადიციულ, ძველ მეცნიერებასთან დაპირისპირება, კვლევის ახალი გზების ძიება⁹, უმთავრესად

⁸ მაგალითისთვის იხ. В. В. Кожин ов, Поэтика за пятьдесят лет, ИАН СССР, Серия литературы и языка, т. XXVI, вып. 5, 1967, გვ. 433.

⁹ ჩვენ ვერაფერს ვიტყვით ოციან წლებამდე დაწერილ იმ შრომებზე, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იმეათობად ქცეულა და ჩერებობით ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი. მაგრამ შევიძლია დავასახელოთ ბევრი ისეთი, რომლებშიც მოცემულია კვლევა-ძიების ახალი გზები და რომლებიც შორსაა ფუტურისმის მანიფესტებისაგან. მაგ., В. Шк о л о в с к и и, Развертывание сюжета, П., 1921; მ ი ს ი ე ვ, «Тристан Шенди» Стерна и теория романа, П., 1921; მ ი ს ი ე ვ, О теории прозы, М., 1925; მ ი ს ი ე ვ, Андрей Белый, «Русский Современник», 1924, № 2, გვ. 231—245; მ ი ს ი ე ვ, Пять человек знакомых, Тифлис, 1927; მ ი ს ი ე ვ, Сюжет у Достоевского, «Летопись Дома Литераторов», 1921, № 4 და სხვ.; Р. О. Я к о б с о и, О чешском стихе в сопоставлении с русским, Берлин, 1923; მ ი ს ი ე ვ, Брюсов-ская стихология и наука о стихе, «Научные Известия», № 2, გვ. 222—240; Ю. Н. Т ы н я н о в, О Литературном факте, «Леп», 1924, № 2, გვ. 100—116; მ ი ს ი ე ვ, Вопрос о литературной эволюции, «На литературном посту», 1927, № 10, გვ. 42—48; მ ი ს ი ე ვ, Проблема стихотворного языка, Л., 1924; მ ი ს ი ე ვ, Стиховые формы Некрасова, Летопись Дома Литераторов, 1921, № 4; Б. Э й х е н б а у м, Мелодика стиха, Петербург, 1922; მ ი ს ი ე ვ, Литература, Л., 1927 და მრავალი სხვ. უღრ. М. Drozda, M. Hrala. Dva átá Léta Sovět.kě literárně kritiky; Acta Universitatis Carolinae Philologica monographia, XX, Praha, 1968.

სტრუქტურალისტური მიდგომა, კერძოდ, საკვლევი ობიექტის სტრუქტურებისა და მათი ტიპოლოგიის შესწავლა. ერთიანი ფორმალური სკოლა არ არსებულა. ამავე დროს თავიანთ საქმიანობას განაგრძობდნენ „ფსიქოლოგიური“ (ა. ბელეცკი, ი. გლივენკო, ა. გორნფელდი, ა. რაინოვი), „მორფოლოგიური“ (ვ. ვოლკენშტეინი, ი. ზუნდელოვიჩი, კ. ლოსკი, ს. ბობროვი, ვ. პროპი, გ. შენგელი, ბ. იარხო...), „სოციოლოგიური“ (ვ. ფრიჩე, ვ. პერევერზევი, ი. ბესპალოვი და სხვ.) პოეტიკის წარმომადგენლები.

[ე. წ. „ფორმალისტებიდან“ ჩვენთვის საინტერესოა ისინი, ვინც შედიოდნენ „პოეტური ენის თეორიის შემსწავლელ საზოგადოებაში“ (Общество изучения теории поэтического языка — Опояз). ეს საზოგადოება აერთიანებდა პეტროგრადის ფილოლოგ-თეორეტიკოსებსა და, ნაწილობრივ, მოსკოვის ლინგვისტური წრის წევრებს. შინ შემადგენლობაში შედიოდნენ: ვ. შკლოვსკი (საზოგადოების მთავარი თეორეტიკოსი და „ფორმალისტების“ ბელადი), რ. იაკობსონი, ი. ტინიანოვი, ბ. ეიხენბაუმი, ო. ბრიკი, ბ. ტომაშევსკი, ლ. იაკუბინსკი, ა. რეფორმატსკი და სხვ. ნომინალურად გაფორმდა რა 1919 წლის 2 ოქტომბერს¹⁰, „ოპოიაზ“-მა მაშინვე მიზნად დაისახა ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემათა კვლევა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ცხადია, ოპოიაზელები სწავლობდნენ არა საერთოდ ენას, არამედ მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების ენას, ანუ ენას განსაკუთრებულ როლში. ისინი პოეტურ ფორმას განიხილავდნენ, როგორც ენის სპეციფიკურ მოვლენას, როგორც ენას „თავისი ესთეტიკური ფუნქციით“, და ამგვარად, პოეტიკის საგნად ენობრივი მოქმედების განსაკუთრებული სახე მიაჩნდათ¹¹.

აქ აშკარად ჩანს იტალიელი ფილოსოფოსის ბენედეტო კროჩეს¹² შეხედულებათა გავლენა¹³. მეცნიერება ხელოვნების შესახებ და მეცნიერება ენის შესახებ, ესთეტიკა და ლინგვისტიკა — ამტკიცებს ბენედეტო კროჩე — წარმოქმნიან არა ორ განსხვავებულ მეცნიერებას (დაქვემდებარებულს ან თანადაქვემდებარებულს, ან სუ-

¹⁰ Литературная Энциклопедия, т. 8, Опояз, гл. 307.

¹¹ Р. Якобсон, Неполная русская поэзия, Набросок I, Виктор Хлебников, Прага, 1921, гл. 11.

¹² Benedetto Croce, Estetica come scienza dell'espressione e linguistica generale, 1902, რუსულად ითარგმნა პირელი, თეორიული ნაწილი სათაურით — Эстетика как наука о выражении и как общая лингвистика, ч. I, М., 1920.

¹³ ბენედ. კროჩეს შესახებ იხ. არნ. ჩიკობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ბირთვადი პრობლემები, 1945, § 62; კ. ფოსლერი და ბენედ. კროჩე, გვ. 115.; ბ. ფოჩხუა, კარლ ფოსლერის ენათმეცნიერო კონცეფცია, „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“, II, 1967, გვ. 62—102.

ლაც დაუკავშირებელს ერთმანეთთან), არამედ ერთ მეცნიერებას. ზოგადი ლინგვისტიკა სხვა არაფერია თუ არა ესთეტიკა. ენის ფილოსოფია და ხელოვნების ფილოსოფია ერთი და იგივეა¹⁴.

ერთი მხრივ, ამ შეხედულებათა მიღებამ და, მეორე მხრივ, იმის აღიარებამ, რომ „პოეზიის მასალას წარმოადგენს არა სახეები, არა ემოციები, არამედ სიტყვა“, ლოგიკურად გამოიწვია პოეტიკის ორიენტაცია ლინგვისტიკაზე.

ბ. ტომაშევსკი თავის „ლიტერატურის თეორიაში“ წერდა: [„ლიტერატურა, ანუ სიტყვიერება, როგორც ეს უკანასკნელი სიტყვა გვიჩვენებს, შედის ადამიანის სამეტყველო ანუ ენობრივ მოქმედებათა შემადგენლობაში. აქედან გამომდინარეობს, რომ მეცნიერულ დისციპლინათა რიგში ლიტერატურის თეორია მჭიდროდ უკავშირდება ენის შესწავლელ მეცნიერებას, ე. ი. ლინგვისტიკას“¹⁵.

პოეტური ენის შესწავლის ერთგვარი ლინგვისტური მეთოდოლოგია, „ენობრივი პათოსი“, ანათესავენდა ფორმალისტებთან ლ. შჩერბას, ა. პუშკოვსკის, ვ. ვინოგრადოვს, ვ. ჟირმუნსკისა და სხვებს. ვ. შკლოვსკი ამ პერიოდის შესახებ თავის მემუარებში იგონებს გ. ვინოკურის მიერ „Лѣта“-ში (იხ. ქვემოთ) გამოქვეყნებულ პოეტიკის ახალი ლიტერატურის მიმოხილვას. ამ მიმოხილვაში გარჩეულია ვ. ვინოგრადოვის, ბ. ეიხენბაუმის, ვ. შკლოვსკის, რ. იაკობსონის, ბ. არვატოვისა და ვ. ჟირმუნსკის წიგნაკები. საკითხი ეხებოდა ლინგვისტიკისა და პოეტიკის მიმართებას. „ვ. ვინოგრადოვი უბრალოდ კმაყოფილდება ქვესათაურით „ლინგვისტური ანალიზის ცდა“. ანდა შენიშვნაში წერს, რომ პოეტური სტილისტიკის სფეროს თამამად აცხადებს ლინგვისტიკის ნაწილად. ეიხენბაუმი და ჟირმუნსკი ცდილობენ მონახონ პრინციპული განსხვავება ორივე დისციპლინის მეთოდებს შორის¹⁶... ჩვენ ეფიქრობდით,—წერს შემდეგ შკლოვსკი, რომ ენა შეიძლება შეეცვალოთ შეგნებულად. ყოველ შემთხვევაში, გვეგონა, რომ თვითონ ვამოთქმა „ლიტერატურული ენა“ უკვე ნიშნავს ენისადმი ნებისმიერ დამოკიდებულებას. მე ახლა მეჩვენება, რომ „Лѣта“-ში გამოქვეყნებულ, მაშინდელი ბევრი სტატიის და, კერძოდ, გ. ვინოკურის სტატიების ხელახალი გამოცემა საინტერესო იქნება, რადგანაც მათ დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო ლინგვისტიკაში. გზა ყამირზე იყო გაკრილი“¹⁷.

¹⁴ Бенедетто Кроче, Эстетика как наука о выражении..., გვ. 160.

¹⁵ Б. Томашевский, Теория литературы, М., 1928 (პირველი გამოც. 1925), გვ. 3.

¹⁶ Виктор Шкловский, О квартире «Лѣта», Жили били, М., 1964, გვ. 374.

¹⁷ იქვე, გვ. 375.

„აზრმა იმის შესახებ, რომ პოეტის არის ლინგვისტიკის სფერო, თუმცა არც თუ ისე ზუსტად ჩამოყალიბებულმა, კარგა ხანს გაძლო“ (შკლოვსკი).

როგორც იყო აღნიშნული, პოეტისაში ლინგვისტიკური მეთოდოლოგიის უქერდა მხარს ვ. ყირმუნსკიც. სტატიაში—„პოეტის ამოცანები“— მან გამოაცხადა, რომ პოეტის სისტემურ აგებას საფუძვლად უნდა დაედოს ენობრივი ფაქტების ლინგვისტიკური კლასიფიკაცია. იგი წერდა: „ენის შესახებ მეცნიერების ყოველ თავს უნდა შეესაბამებოდეს თეორიული პოეტის განსაკუთრებული თავი“¹⁸. „პოეტის მასალას წარმოადგენს არა სახეები, არა ემოციები, არამედ სიტყვა“¹⁹. ამგვარად, გამოდიოდა, რომ პოეტის მთლიანად ემყარება ლინგვისტიკას და მისი კვლევა მხოლოდ ლინგვისტიკური ფაქტების გაანალიზებით შეიძლება. ილუსტრაციისათვის ყირმუნსკი იძლეოდა პუშკინის ლექსებისა და ტურგენევის პროზის ნაწყვეტის სანიშნო გარჩევას.

იმ წლებში პოეტისაში არსებობდა ისეთი მიმართულებებიც, რომლებიც სრულიად არ იზიარებდნენ ლინგვისტიკურ ორიენტაციას. მაგალითისათვის მოვიტანთ პ. საკულინის შრომას²⁰, სადაც თავიდან ბოლომდე დაცულია მტკიცება, რომ პოეტისა უნდა აიგოს არა ლინგვისტიკაზე, არამედ მხატვრული შემოქმედების პროცესის შესახებ მოძღვრებაზე დაყრდნობით. „პოეტისა აქვს და უნდა ჰქონდეს თავისი ბაზა — პოეტისა არ ესაყიროება ლინგვისტიკის კაბალაში მოხვედრა. . . ლინგვისტიკური პოეტისა გვიპირდება ე. წ. პოეტური ენის თეორიას, ხოლო პოეტისამ მთლიანად უნდა მოგვეცეს პოეტური შემოქმედების თეორია. აქ დიდი განსხვავებაა. როგორი დიდი მნიშვნელობაც არ უნდა მივცეთ ჩვენ „ენის“ ცნებას, მაინც დარჩება ძალიან დიდი პრობლემები შემოქმედებისა, რომელთაც ვერ მოიცავს ცნება „ენა“. პოეტისას დასჭირდება ლინგვისტიკა. დასჭირდება—ბგერის, სიტყვის პრობლემის ანალიზისას. მაგრამ დასჭირდება აგრეთვე ესთეტიკა, ფსიქოლოგია და სოციოლოგია. ძირითადი ბაზა პოეტისათვის უნდა იყოს მოძღვრება ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედების პროცესის შესახებ“²¹.

საკულინი წერდა, რომ ის, რასაც გვთავაზობს ყირმუნსკი, „დააკმაყოფილებს იმათ, ვინც ფიქრობს, რომ „პოეტისა არის ენა თავისი

¹⁸ В. М. Жирмунский, Задачи поэтики, «Начала», № 1, 1921, гл. 62.

¹⁹ იქვე, გვ. 56.

²⁰ Т. Н. Сакулин, К вопросу о построении поэтики, «Искусство», 1923, № 1, гл. 79—93.

²¹ იქვე, გვ. 93.

ესთეტიკური ფუნქციით“, მაგრამ არა ჩვენ, რომლებიც ვფიქრობთ, რომ პოეზია ემოციურ-ხატოვანი შემოქმედების სიტყვიერი გამოხატულებაა. ასეთი მეთოდით (იგულისხმება ჟირმუნსკის მეთოდი — გ. კ.) შეიძლება აიხსნას თემატიკისა და კომპოზიციის ელემენტარული მოვლენები, მაგრამ ამ ლინგვისტური ბადით ვერ დავიპყერთ შემოქმედებითი ჩანაფიქრის მთელ სიღრმეს, მთელ თემატურ განშტოებებს და კომპოზიციური აგების სირთულეს“²².)

მართალია, ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებს ოპოიაზელური ენათმეცნიერული თვალსაზრისით სწავლობდნენ, მაგრამ პრაქტიკულ საქმიანობაში²³ ისინი ემიჯნებოდნენ ჟირმუნსკის „აკადემიურ ეკლექტიზმს“, მათი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ბ. ენენბაუმის შემდეგი სიტყვები: [„... უკავშირდება რა ლინგვისტიკას, პოეტიკამ უნდა დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. ლინგვისტიკისათვის პოეტური ნაწარმოები არის „ენობრივი მოვლენა,“ რომელიც საინტერესო მასალას იძლევა ფონეტიკის, სინტაქსის, სემანტიკის... საკითხების შესწავლისათვის... პოეტური ენა განიხილება არა თავის სპეციფიკურ მოქმედებაში და არა პრაქტიკული ენის ფონზე, არამედ ენობრივ მოვლენათა რიგში საერთოდ. როგორი ნაყოფიერიც არ უნდა იყოს ენათმეცნიერული მეთოდები, პოეზიის თეორეტიკოსისათვის საკითხთა დაყენება სხვაგვარად უნდა წარიმართოს. აქ აშკარად ჩანს განსხვავება ენისა და სტილის, ენობრივი მოვლენისა და სტილისტური ხერხის ცნებებს შორის“²⁴.)

[პოეტიკისა და ენათმეცნიერების ურთიერთობის საკითხს პოეტიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი უწოდა გ. ვინოკურმა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ფორმალურ სკოლაში დაიწყო. მან ზემოდასახელებული საკითხი კარგად გააშუქა თავის ნაშრომში²⁵. მკვლევარი წერდა, რომ სტრუქტურის ყველა მომენტს სრულიად სხვაგვარი თვისება, ფუნქცია და აზრი აქვს „პოეტურ სიტყვაში“, ვიდრე სიტყვაში საერთოდ. ეს სხვაგვარი თვისებები სიტყვას სძენს იმ თვისებებებს, რომელთა ძალით ჩვენ მას მხატვრულს ვუწოდებთ, ვლაპარაკობთ მასზე როგორც ხელოვნებაზე“. ფორმალური

²² Т. Н а к у л и н. К вопросу о построении поэтики. „Искусство“, гз. 88.

²³ მაგ., იხ. О. М. Б р и к, Ритм и синтаксис (материалы к изучению стихотворной речи), «Новый Леп», 1927, № 3, გვ. 15—20; № 4, გვ. 23—29; Л. П. Я к у б и н с к и й, О звуках стихотворного языка, «Поэтика», П., 1919 და სხვ.

²⁴ Г. В и н о к у р, Мелодика стиха, Петербург, 1922, გვ. 13—14, შდრ. В. Ш к л о в с к и й, Искусство как прием, «Поэтика», П., 1919.

²⁵ Г. В и н о к у р, Культура языка, М., 1929.

სკოლის კონცეფციაში, ამტკიცებდა ვინოკური, პოეზია წარმოადგენს მასალის „დამუშავებას“ სტილისტური „ხერხების“ საშუალებით, რომლებიც უფორმო მასალას ფორმად აქცევენ... როცა ვლადიმერ პეტროვი მხოლოდ „მასალას“ და მის „დამუშავებაზე“, ჩვენ არ გავდივართ პოეტური ტექნიკის, პოეტური წერის ტექნოლოგიის საკითხების გარეთ და პოეტურ სიტყვას ჯერ კიდევ ვერ ვუახლოვდებით. ფორმალური სკოლის კონცეფციაში სწორედ გარეგანია მიღებული შინაგანად, რაც პოეტიკის, როგორც მეცნიერების კრიტიკოსებსა და მოწინააღმდეგეებს საშუალებას აძლევს დაცლილი შინაგანის ნაცვლად ჩასვან გულუბრყვილო „ნატურალიზმისა და ფსიქოლოგიზმის“ ჩვეულებრივი პროლუქტები“²⁶.

30-იანი წლებისათვის დაიწყო პოეტიკის განვითარების ახალი ეტაპი, რომლის ამოსავალი პუნქტი შეიქმნა ფორმალური სკოლის მეთოდოლოგიური კრიტიკა. ფორმალურ სკოლას მისი მოღვაწეობის დაწყებისთანავე აკრიტიკებდნენ, მაგრამ ამ კრატიკას მაშინ აღნიშნულ სკოლაზე რაიმე გავლენა არ მოუხდენია. აღსანიშნავია, რომ შემდეგ თვითონ ფორმალური სკოლის მკვლევრებმა დათმეს ბევრი რამ მეთოდოლოგიაში. 1927 წ. გამართულ დისპუტზე ფორმალური მეთოდის შესახებ პირველად ითქვა, თუ რამდენად შეიცვალა „ოპოიაზ“-მა თავისი პოზიცია. ამ დისპუტზე მოხსენებით გამოსულმა ტომაშვესკიმ აღნიშნა, რომ ფორმალისტების გზა არ ყოფილა მცდარი, იგი აუცილებელი იყო, როგორც „გარკვეული ქემპარიტების დატოვების მეთოდი“. ფორმალური სკოლის მამამთავარი ვ. შკლოვსკი ამ დისპუტზე აცხადებდა, რომ ფორმალისტების პოზიციის შეცვლა უნდა აიხსნას ისტორიულად, რომ საგნის გენეზისი — მისი წარმოშობის გამორკვევა არ ხსნის საგნის დიალექტიკასა და მისი გამოყენების მექანიზმებს. ტინიანოვს უპირველეს ამოცანად მიაჩნდა ლიტერატურისა და მხატვრული ხერხების ფუნქციათა გაგების შეცვლა. ამ დისპუტზე აშკარად გამოჩნდა, რომ ფორმალისტებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს, რის შესახებაც შკლოვსკი ამბობდა, რომ „უნდა გადაეტეხოთ მეთოდი, როცა ფაქტები ამსხვრევენ თეორიას“²⁷.

პოეტური ენის თეორიის შემსწავლელთა მეთოდოლოგიას აქ არ შეეხებოდა. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მათ შრომებში თანდათან იკლო საპროგრამო, ინსტრუქციულმა დებულებებმა და თვითონ „ოპოიაზ-ი“ მა-

²⁶ Г. Винокур, დასახ. ნაშრ., გვ. 276.

²⁷ იხ. ქრონიკა — Диспут о формальном методе, «Новый Лесф», 1927, № 1, გვ. 45—46.

ლე დაიშალა. მაგრამ ყოფილი ოპოზიციონერები აგრძელებდნენ კვლევას და მათ საინტერესო ნაშრომებს დღესაც არ დაუქარავს მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, ფორმალისტი ფილოლოგების ერთი ნაწილი მკიდროდ იყო დაკავშირებული ე. წ. ხელოვნების მემარცხენე ფრონტთან, კერძოდ, „მემარცხენე“ ლიტერატორებთან, რომლებიც თავს იყრიდნენ ჯერ ჟურნალ „Лед“-თან, ხოლო შემდეგ—„Новый Лед“-თან. ყველაზე ახლოს მემარცხენეებთან ოპოზიციონერთაგან შკლოვსკი იდგა. მისმა თეორიებმა დიდი გავლენა მოახდინა ლეფის პოეტთა ესთეტიკურ ძიებებზე, რაზეც ჩვენ არ შეეჩერდებით. ჟურნალის რედაქცია დაინტერესებული იყო ენის პრობლემებით, ენობრივ მშენებლობაზე (языковое строительство), ე. ი. თანამედროვე ენაზე სასურველი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობის პრობლემებით, რასაც მოწმობს ოპოზიციონერი ლინგვისტის ვინოკურის სტატიები „პურიზმის შესახებ“, „რევოლუციური ფრაზეოლოგიის შესახებ“²⁸, სადაც ლაპარაკია გაზეთის, ლოზუნგისა და სხვ. ენის შტამპებზე და განსაკუთრებული ენობრივი პოლიტიკის გატარების შესახებ. მისივე მეტად საინტერესო—„პოეტიკა. ლინგვისტიკა. სოციოლოგია“²⁹, რომელიც წარმოადგენდა სტრუქტურული მიდგომის ნოვატორულ ცდას. ამ წერილში ვინოკური აღნიშნავდა: „თუ ექსპრესიული ელემენტების მთელ რიგს ვიპოვით პოეტურ მეტყველებაში, სწორი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპრესია კომპოზიციური სქემის შემდგომ გართულებას წარმოადგენს. ამ სქემის საფარქვეშ უნდა ვიპოვოთ სპეციფიკური პოეტური ტენდენცია, რომელსაც ენის სტრუქტურის დაშლამდე მივყავართ საბოლოოდ. ენის სტრუქტურა მის ელემენტებად იშლება. ელემენტები კი ხელახლა კონსტრუირდებიან საკუთრივ ენობრივი სქემებისაგან განსხვავებით, სადაც ნაწილთა შესაბამისობა გადაწყველილია, გადანაცვლებულია და ამგვარად ზუსტად არის გამოთვლილი შემადგენელ ნაწილთა ნიშნადობა, ვალენტობა, ლინგვისტური ღირებულება. სხვაგვარად რა ეთქვამთ, პოეტური შემოქმედება არის მუშაობა სიტყვაზე, უკვე არა როგორც ნიშანზე მხოლოდ, არამედ, როგორც საგანზე, რომელსაც აქვს საკუთარი კონსტრუქცია, რომლის ელემენტებიც ხელახლა აღირიყებიან და დაჯგუფდებიან ყოველი ახალი პოეტური გამოხატულებისას“³⁰.

ვინოკურის ზემოაღნიშნული წერილი ერთადერთი არ ყოფილა სტრუქტურული მეთოდების დანერგვის საქმეში. მხედველობაში გვაქვს

²⁸ Г. Винокур. О революционной фразеологии, «Лед», № 2, 1923.

²⁹ Г. Винокур. Поэтика. Лингвистика. Социология (методологическая справка), «Лед», 1923, № 3, გვ. 104—113.

³⁰ იქვე, გვ. 110.

ი. ტინიანოვისა და რ. იაკობსონის კოლექტიური შრომის ნაყოფი — „ენისა და ლიტერატურის შესწავლის პრობლემები“, რომელზეც საგანგებოდ გვინდა შევაჩეროთ ყურადღება.

1928 წელს ჟურნალში „Новый Мир“ (№ 12) გამოქვეყნდა ზემოდასახელებული წერილი, რომელიც შედგებოდა 9 თეზისისაგან. თეზისებს წინ უძღოდა რედაქციის მიერ ხელმოწერილი შემდეგი სტრიქონები: „Мир“-ი აქვეყნებს რომან იაკობსონისა და იური ტინიანოვის თეზისებს ენისა და ლიტერატურის თანამედროვე შესწავლის შესახებ.

ქველ მეცნიერებაში თეორიულ და ისტორიულ მეცნიერებათა პრინციპული განსხვავება არსებობდა. ლიტერატურათმცოდნეობა იყო ფოდა პოეტიკად და ლიტერატურის ისტორიად. პოეტიკა აღწერდა ლიტერატურული ნაწარმოების კონსტრუქციულ ელემენტებს, რომლებიც საერთო კონსტრუქციისა და ლიტერატურის ევოლუციური პროცესისაგან მოწყვეტილი იყო. ლიტერატურის ისტორია შემთხვევით შერჩეულ ქრონოლოგიურად განლაგებულ ბიოგრაფიულ, ისტორიულ-კულტურულ და ლიტერატურულ ფაქტებს აღწერდა.

კვლევის სფეროები ანალოგიურად იყო გამოყოფილი ძველ ლინგვისტიკაშიც. ფონეტიკა, მაგალითად, წარმოადგენდა წმინდა აღწერითს დისციპლინას, რომელიც ბგერითი ელემენტების კლასიფიკაციას საერთო ენობრივ სისტემაში მათი ფუნქციონალური ღირებულების გათვალისწინების გარეშე ახდენდა.

ენისა და ლიტერატურის შესახებ თანამედროვე მეცნიერება სწობს თეორიისა და ისტორიის ასეთ დაპირისპირებას, რადგანაც თეორიული ანალიზი შეუძლებელია ისტორიული დიალექტიკის (ლიტერატურულ-ენობრივი სიდიდეების მსვლელობა და ცვლილება) გათვალისწინების გარეშე და პირუკუ, არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს ისტორიული კვლევა, თუ არ შევიგნებთ მასალის სპეციფიკურობას თეორიაში.

ნაცვლად ძველი მეცნიერების კითხვისა „რატომ“, პირველ რიგში დგება კითხვა „რისთვის“ (ფუნქციონალურობის პრობლემები). შეისწავლება არა მარტო კონსტრუქციული ფუნქციები (ელემენტთა ფუნქციები, რომლებიც ქმნიან ლიტერატურულ ფაქტს) და არა მარტო შიდალიტერატურული ფუნქციები სხვადასხვა ენარებისა, არამედ ლიტერატურული რიგის სოციალური ფუნქცია დროის სხვადასხვა პერიოდში.

ამგვარად, მეცნიერება ენისა და ლიტერატურის შესახებ საბუნებისმეტყველო-ისტორიული დისციპლინების რიგიდან გადადის სოციალური, უფრო სწორად, სოციოლოგიური დისციპლინების რიგში³¹.

სანამ თეზისების გარჩევას შევეუდგებოდეთ, შევჩერდებით ყურნალის რედაქციის ამ წინასიტყვაობაზე, რომელიც მთლიანად მოვიტანეთ ზემოთ. წინასიტყვაობა იწყება ენისა და ლიტერატურის შესახებ ტრადიციული მეცნიერების კრიტიკით. ძველ მეცნიერებას უსაყვედურებენ, რომ იგი საერთო კონსტრუქციისაგან მოწყვეტით აღწერდა ლიტერატურული ნაწარმოების კონსტრუქციულ ელემენტებს და რომ ფონეტიკა, მაგალითად, წარმოადგენდა წმინდა აღწერითს დისციპლინას, რომელიც ბგერითი ელემენტების კლასიფიკაციას საერთო ენობრივ სისტემაში მათი ფუნქციონალური ღირებულების გათვალისწინების გარეშე ახდენდა³². როგორც ვხედავთ, აქ ნათლად ჩანს: 1. ძველ ატომისტურ მეთოდებთან ახალი სტრუქტურული მეთოდების დაპირისპირება, 2. ისტორიზმის მნიშვნელობის აღიარება კვლევისას, 3. ტელოლოგიური თვალსაზრისისა და ფუნქციონალიზმის პრინციპების წამოყენება და 4. ენისა და ლიტერატურის შესახებ მეცნიერების გამოცხადება სოციოლოგიური დისციპლინების რიგში. ამდენად, აქ მონახულია ჩვენი საუკუნის მეცნიერების საერთო ტენდენციები.

ქვემოთ წარმოვადგენთ ი. ტინიანოვისა და რ. იაკობსონის სტატიაში მოცემული ყველა თეზისის თარგმანს.

„1. ენისა და ლიტერატურის შესახებ რუსული მეცნიერების მორიგი პრობლემები მოითხოვს თეორიული პლატფორმის სიცხადესა და გადამწყვეტ გამიჯვნას: ახალი მეთოდოლოგიისა და ძველი დროშემული მეთოდების მექანიკური შეწყობებისა, გულუბრყვილო ფსიქოლოგიზმის კონტრაბანდისა და სხვა მეთოდოლოგიური ძველმანისაგან, რომლებიც ახალი ტერმინოლოგიის გარესამოსელითაა მოცემული.

აუცილებელია გამიჯვნა: აკადემიური ეკლექტიზმისა (ერმუნსკი და სხვ.) და სქოლასტიკური „ფორმალიზმისაგან“, რომლებიც ტერმინოლოგიითა და მოვლენათა კატალოგიზაციით ცვლიან ანალიზს. საჭიროა თავი დავალწიოთ იმას, რომ მეცნიერება ენისა და ლიტერატურის შესახებ სისტემური მეცნიერებიდან კვლავ ეპიზოდურ და ანექლოტურ ქანრებად არ გადაიქცეს.

³¹ Ю. Тынянов и Р. Якобсон, Проблемы изучения литературы и языка, «Новый Лекс», 1928, № 12, гл. 35—36.

³² შდრ. R. Jakobson, Prinzipien der historischen Phonologie, TCLP, 1931, № 4.

2. ლიტერატურის (resp. ხელოვნების) ისტორია, არის რა შერწყმული სხვა ისტორიულ რიგებთან (ряды), ხასიათდება ისევე, როგორც სხვა რიგები, სპეციფიკურ-სტრუქტურულ კანონთა რთული კომპლექსით. ამ კანონთა გამოაშკარავების გარეშე შეუძლებელია ლიტერატურული რიგის სხვა ისტორიულ რიგებთან ჰომარტების მეცნიერული დადგენა.

3. ლიტერატურის ევოლუციას ვერ გავიგებთ, რადგანაც ევოლუციური პრობლემა დაჩრდილულია როგორც ლიტერატურული (ე. წ. ლიტერატურული გველები), ასევე არალიტერატურული არასისტემური გენეზისის ეპიზოდური საკითხებით. ლიტერატურაში გამოყენებული როგორც ლიტერატურული, ისე არალიტერატურული მასალა მხოლოდ მაშინ შეიძლება შევიტანოთ მეცნიერული კვლევის ორბიტაში, როცა იგი განხილული იქნება ფუნქციონალური თვალსაზრისით.

4. მკვეთრი დაპირისპირება სინქრონიულსა (სტატიკურსა) და დიაქრონიულ კრილს შორის ცოტა ხნის წინათ ნაყოფიერ საშუალო ჰიპოთეზას წარმოადგენდა როგორც ენათმეცნიერებისათვის, ასევე ლიტერატურის ისტორიისათვის, რამდენადაც მან აჩვენა ენის (resp. ლიტერატურის) სისტემური ხასიათი ცხოვრების ყოველ ცალკეულ მომენტში. სინქრონიული კონცეფციის მიღწევები დღეს გვაძლავებენ ხელახლა გადავხედოთ დიაქრონიის პრინციპებსაც. მოვლენათა შექანის აგლომერატის ცნებამ, რომელიც სინქრონიული მეცნიერების სფეროში სისტემის, სტრუქტურის ცნებით შეიცვალა, შესაბამისი ცვლილება განიცადა დიაქრონიული მეცნიერების სფეროშიც. სისტემის ისტორია, თავის მხრივ, არის სისტემა, წმინდა სინქრონიზმი ახლა ილუზიაა. ყოველ სინქრონიულ სისტემას აქვს თავისი წარსული და მომავალი, როგორც სისტემის განუცალკევებელი სტრუქტურული ელემენტები (ა) არქაიზმი, როგორც სტილისტური ფაქტი, ენობრივი და ლიტერატურული ფონი, რომელიც გაიგება როგორც დრომოკმული, ძველმოდური სტილი; ბ) ნოვატორული ტენდენციები ენასა და ლიტერატურაში, მიჩნეული სისტემის ინოვაციად.

სინქრონიისა და დიაქრონიის დაპირისპირება იყო სისტემისა და ევოლუციის ცნების დაპირისპირება და კარგავს პრინციპულ არსს, რამდენადაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველი სისტემა აუცილებლად მოცემულია როგორც ევოლუცია, მეორე მხრივ კი, ევოლუცია უსათუოდ ატარებს სისტემურ ხასიათს.

5. სინქრონიული ლიტერატურული სისტემის ცნება არ ემთხვევა ქრონოლოგიური ეპოქის გულუბრყვილოდ გააზრებულ ცნებას, რადგანაც მის შემადგენლობაში შედის ხელოვნების არა მარტო ის ნაწარ-

მოებნი, რომლებიც ახლოა ერთმანეთთან ქრონოლოგიურად, არამედ ის ნაწარმოებებიც, რომლებიც უცხოური და ძველი ეპოქების ლიტერატურიდან არის ჩათრეული სისტემის ორბიტაში. საკმარისი არ არის თანაარსებულ მოვლენათა განურჩეველი კატალოგიზაცია, მნიშვნელოვანია მათი იერარქიული ღირებულება მოცემული ეპოქისათვის.

6. ორი სხვადასხვა ცნების — parole და langue, არსებობის მტკიცება და მათ შორის მიმართების ანალიზი (ყენევის სკოლა) ძალიან ნაყოფიერი იყო ენის შესახებ მეცნიერებისათვის. ამ ორ კატეგორიას (არსებულ ნორმასა და ინდივიდუალურ გამონათქვამებს) შორის მიმართების პრობლემა პრინციპულად უნდა იქნეს დამუშავებული ლიტერატურის მიმართ. აქაც ინდივიდუალური გამონათქვამი არ შეიძლება განვიხილოთ ნორმათა არსებულ კომპლექსთან მიმართების გარეშე. მკვლევარი, რომელიც ახდენს პირველის აბსტრაქტიზაციას მეორისაგან, ამავე დროს, აწარმოებს მხატვრულ ღირებულებათა განხილული სისტემის რეფორმაციასა და კარგავს იმანენტური კანონების დადგენის შესაძლებლობას.

7. ენისა და ლიტერატურის სტრუქტურულ კანონთა და მათი ევოლუციის ანალიზს რეალურად მოცემული სტრუქტურული ტიპების (resp.) სტრუქტურული ევოლუციის ტიპები განსაზღვრული რიგის დადგენამდე მივყავართ.

8. ლიტერატურის (resp. ენის) ისტორიის იმანენტური კანონების აღმოჩენა საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ ლიტერატურულ (resp. ენობრივ) სისტემათა ყოველი კონკრეტული ცვლის დახასიათება. მაგრამ არ გვაძლევს ევოლუციის ტემპის ახსნისა და ევოლუციის გზის არჩევის შესაძლებლობას რამდენიმე თეორიულად შესაძლო გზიდან, ვინაიდან ლიტერატურული (resp. ენობრივი) ევოლუციის იმანენტური კანონები არის განუსაზღვრელი განტოლება, რომელიც თუშცა ამოხსნათა განსაზღვრულ რაოდენობას გვაძლევს, მაგრამ არა აუცილებლად ერთადერთს. გზის კონკრეტული არჩევის საკითხი, ან უკიდურეს შემთხვევაში, დომინანტისა, შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სხვა ისტორიულ რიგებთან ლიტერატურული რიგის მიმართების ანალიზის გზით. ამ თანაფარდობას (სისტემათა სისტემა) თავისი სტრუქტურული კანონები აქვს, რომლებიც უნდა იქნეს შესწავლილი. სისტემათა თანაფარდობის განხილვა ყოველი სისტემის იმანენტური კანონების გათვალისწინების გარეშე — მეთოდოლოგიურად დამლუპველია.

9. ზემოაღნიშნული თეორიული პრობლემებისა და ამ პრინციპთა კონკრეტული ამოცანების (რუსული ლიტერატურის ისტორია, რუსული ენის ისტორია, ენობრივ და ლიტერატურულ სტრუქტურათა ტიპოლო-

გია და ა. შ.) შემდგომი კოლექტიური დამუშავების მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ აუცილებელია „ოპოიაზ“-ის განახლება ვიქტორ შკლოვსკის ხელმძღვანელობით³³.

სანამ გადავიდოდეთ თეზისების გარჩევასა და პრადის ლინგვისტური სკოლის ცნობილ „თეზისებთან“ მათი მიმართების დადგენაზე, ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებას: ტინიანოვისა და იაკობსონის თეზისების ჩამოყალიბება უსათუოდ მოამზადა „ოპოიაზ“-ის ფორმალისტთა შრომებმა. აქვე შევნიშნავთ, რომ „ენისა და ლიტერატურის შესწავლის პრობლემებში“ ხშირად გატოლებულია ენა და ლიტერატურა: ენა (resp. ლიტერატურა), ლიტერატურა (resp. ენა), ლიტერატურული (resp. ენობრივი) და სხვ. ხშირად გვხვდება აგრეთვე — ლიტერატურა (resp. ხელოვნება), აქედან ტრანზიტულობით მივიღებთ: ენა (resp. ხელოვნება), რაც არსებითი დებულება იყო უკიდურესი მემარცხენე ოპოიაზელთათვის. მაგრამ ამ თეზისებში ეს არ არის მთავარი. მთავარი და მნიშვნელოვანია კვლევის პრობლემების დაყენება და გადაჭრა. პირველი აზრი, რაც თეზისების გაცნობის შემდეგ ჩნდება, ასეთია: ა) წერილის ავტორები კარგად იცნობენ დე სოსიურის მოძღვრების და მათ მიერ ზოგიერთი პრობლემის გადაჭრა სოსიურის კონცეფციიდან წინ გადადგმული ნაბიჯია, ბ) „ენისა და ლიტერატურის შესწავლის პრობლემებისა“ და პრადის სკოლის „თეზისების“ ძირითადი დებულებები ემთხვევა ერთმანეთს და მეორე (პრადის თეზისები) არსებითად პირველის გავრცობას წარმოადგენს, რის დამტკიცებასაც შევეცდებით ქვემოთ.

პრადის ლინგვისტური სკოლის ზოგადენათმეცნიერული თეორია შესწავლილია თ. შარაძენიძის შრომაში³⁴, სადაც ნათლად და მწყობრად არის დალაგებული პრადელთა ის შეხედულებები, რომლებიც მათი სკოლის ზოგადლინგვისტურ თეორიის წარმოადგენს. ჩვენ ვისარგებლებთ ამ დალაგებით და თ. შარაძენიძის მიერ გამოყოფილი საკითხების მიხედვით განვიხილავთ „ენისა და ლიტერატურის შესწავლის პრობლემებს“, რათა ადვილი გახდეს მათი შედარება პრადის სკოლის ლინგვისტურ კონცეფციასთან.

სოსიურის მოძღვრების შეფასებისას მიუღებლად მიაჩნიათ: 1. ენისა და მეტყველების დაპირისპირება, 2. ენის მიჩნევა წმინდა დებულებათა სისტემად, 3. სინქრონიული (resp. სტატიკური) და დი-აქრონიული (ისტორიული) ენათმეცნიერების დაპირისპირება და სი-

³³ Ю. Тынянов, Р. Яковсон, დასახ. ნაშრ., გვ. 36—37.

³⁴ თ. შარაძენიძე, პრადის საენათმეცნიერო სკოლის ზოგადლინგვისტური თეორია.

ნქრონიული ენათმეცნიერებისათვის უპირატესობა მინიჭება იმ მოტივით, რომ თითქოს მხოლოდ მას აქვს საქმე ენის სისტემასთან, ისტორიაში კი სისტემა არა გვაქვს, ცვლილება სისტემის ფარეშე დგას³⁵. სოსიურის ზემოჩამოთვლილი დებულებები ჟარყოფილია რ. იაკობსონისა და ი. ტინიანოვის წერილში ისევე, როგორც პრადის სკოლის თეზისებში. ასე რომ, სოსიურის შეფასებაში სრული დამთხვევაა. ახლა განვიხილოთ კონკრეტული დებულებანი ორივეგან.

1. პრადელი სტრუქტურალისტები თავიანთ შეხედულებებს უპირისპირებენ XIX საუკუნის ენათმეცნიერების თვალსაზრისს. კერძოდ, ისინი ილაშქრებენ ენობრივი ფაქტების ატომისტური განხილვის წინააღმდეგ, ამავე დროს, ისევე როგორც ყველა სტრუქტურალისტური სკოლა, ილაშქრებენ ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს მოცემულია ტინიანოვისა და იაკობსონის პირველ თეზისში.

ამავე თეზისში ჩვენს ყურადღებას იპყრობს გამიჯვნა აკადემიური ეკლექტიზმისა და სქოლასტიკური „ფორმალიზმისაგან“, რომლებიც „ტერმინოლოგიითა და მოვლენათა კატალოგიზაციით ცვლიან ანალიზს“. თუ, ერთი მხრივ, მეცნიერების სისტემურობის შენარჩუნება და, მეორე მხრივ, ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სტრუქტურალიზმის საერთო ტენდენციაა, გამიჯვნა ეკლექტიზმისა და სქოლასტიკური ფორმალიზმისაგან — ყოფილი ოპოიაზელი ავტორების წინგადადგმული ნაბიჯია მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

2. „სტრუქტურული ენათმეცნიერების ქვაკუთხედს წარმოადგენს ენის მიჩნევა სისტემად და ენათმეცნიერების მთავარ ამოცანად სისტემის შესწავლის გამოცხადება. ჟსაყვედურებენ რა ნეოგრამატიკოსებს ენობრივ ფაქტთა ერთმანეთისაგან იზოლირებულად კვლევას, პრადის სკოლის წარმომადგენლები, სოსიურის მოძღვრებაზე დამყარებით, ყურადღების ცენტრში აყენებს ენას, როგორც სისტემის მთლიანობას, ენობრივ მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებათა გარკვევას, „ვერც ერთი მოვლენა ენაში ვერ იქნება გაგებული იმ სისტემის გათვლისწინების გარეშე, რომელსაც ეს ენა ეკუთვნის“, ვკითხულობთ პრადის წრის თეზისებში“³⁶.

„ენისა და ლიტერატურის შესწავლის პრობლემებში“ ყველგან ლაპარაკია ენის (resp. ლიტერატურის) სისტემურობის შესახებ. მოვლენათა „მექანიკური აგლომერატის“ ცნება იცვლება სისტემის, სტრუქტურ-

³⁵ თ. შარაძენიძე, სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლების შესახებ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, 1964, გვ. 52.

³⁶ თ. შარაძენიძე, პრადის საენათმეცნიერო სკოლის ზოგადლინგვისტური თეორია, გვ. 82.

რის ცნებით. ფაქტების „განურჩეველი კატალოგიზაცია“ არ არის საკმარისად მიჩნეული, „მნიშვნელოვანია მათი იერარქიული ღირებულება“. თეზისებში წინა პლანზეა წამოწეული სპეციფიკურ-სტრუქტურულ კანონთა მნიშვნელობა.

ოპოიზელთა შრომებში სისტემის, სტრუქტურის, კონსტრუქციის ცნებები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. შკლოვსკი იგონებს: „რ. იაკობსონი ამტკიცებდა, რომ „ჩვენმა ახალგაზრდა ლიტერატურის ისტორიამ საბოლოოდ იპოვა თავისი „გმირი“. ეს „გმირი“ არის ლიტერატურული ნაწარმოების, როგორც ასეთის, სტრუქტურა (ჟურნალი „Лѐт“, 1923, № 1, გვ. 240).

სტრუქტურის ცნება, რომელიც ძირითადია ენისა და პოეტიკის გაგებაში, მე როგორც ვფიქრობ, პირველად აქ იყო შემოტანილი“³⁷.

რომან იაკობსონის უნივერსალური დებულება: „ხშული და ნახე-ვარხშული თანხმოვნების დაპირისპირება ვარუდობს იმავე რიგის ნაპ-რალოვანი თანხმოვნის არსებობას (წყვილი t — ts ვარაუდობს ფონემა t -ს თანაარსებობას და ა. შ.)“², ენაში აფრიკატის არსებობის შემთხვე-ვაში მოითხოვს იმავე ლოკალური რიგის შესაბამისი ნაპრალოვანი თან-ხმოვნის არსებობას. მაგრამ არავითარ მოთხოვნებს არ აყენებს წარ-მოების რაგვარობის თვალსაზრისით. იგი არ შეიცავს მითითებას, თუ როგორ ვრცელდება ეს კანონი წარმოების რაგვარობის თვალსაზრისით შექმნილ ოპოზიციებზე (ნ. ტრუბეცკოის ტერმინოლოგიით მეორე ხარისხის მოდალური ოპოზიციები: მჟღერობა-სიყრუე, დაკიმულო-ბა, ინტენსიობა, ასპირაცია, პრეასპირაცია³, გლოტალიზაცია). ამის გამო ეს წესი ხშირად არასწორადაა გაგებულნი. მაგალითად, ბ. უსპენსკი მის მიერ შედგენილ უნივერსალურ დებულებათა სიაში შემდეგნაირად აყალიბებს მას: „თუ ენაში არსებობს დაპირისპირება ხშულებსა და აფრიკატებს შორის, მაშინ უნდა არსებობდნენ ნაპრალოვნებიც, რომ-ლებიც თითოეულ ასეთ აფრიკატს შეესაბამებიან“⁴. ასეთ გაგებას ხელს

¹ წაკითხულია მოხსენებად სიმპოზიუმზე „ტიპოლოგია I“, 1968 წლის 29 აგვისტოს, ქ. სეველში (უნგრეთი).

² R. Jakobson, *Kindersprache, Aphasie und allgemeine Lautgesetze*, Selected Writings, 'S-Gravenhage, 1962, გვ. 365.

³ როგორც რ. იაკობსონმა უჩვენა, ნ. ტრუბეცკოის კლასიფიკაციის ოთხი ნიშანი: ინტენსიობა, დაკიმულობა, ასპირაცია და პრეასპირაცია ურთიერთდამატებით მიმარ-თებაში იმყოფება: ერთსა და იმავე ენაში არასდროს არ გვხვდება ამ ნიშანთა არავითარი კომბინაცია. ამიტომ ეს ნიშნები ერთი და იმავე ოპოზიციის რეალიზაციას წარმოადგე-ნენ. ამგვარი გადაწყვეტა გამართლებულია არტიკულაციურ-აკუსტიკური თვალსაზრი-სითაც. იხ. Р. Я ко б с о н и М. Х а л л е, *Фонология и ее отношение к фонетике, Новое в лингвистике*, II, М., 1962, გვ. 254.

⁴ Б. А. У с п е н с к и й, *Структурная типология языков*, М., 1960, გვ. 191.

უწყობს რ. იაკობსონის გამონათქვამიც, რომელიც ზემომოყვანილი გენერალიზაციის შედეგის სახით არის შემოთავაზებული: „ამრიგად, ასეთი აფრიკატების რიცხვი ფონემურ სისტემაში არასოდეს არ არის მეტი და ზშირად ნაკლებია ნაპრალოვან თანხმოვანთა რიცხვზე“⁵. თუ არ ვიგულისხმებთ შესაბამისობას წარმოების რაგვარობის თვალსაზრისითაც, რ. იაკობსონის გენერალიზაციიდან მხოლოდ ის გამოდინარეობს, რომ აფრიკატთა ლოკალური რიგების რიცხვი შეიძლება იყოს ნაკლები ან ტოლი ნაპრალოვანთა ლოკალური რიგების რიცხვისა და არასდროს არ შეიძლება იყო მეტი. ამრიგად, რ. იაკობსონის მიერ საკუთარი გენერალიზაციის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა გულისხმობს მეტს, ვიდრე თვით გენერალიზაციაშია მოცემული და ამიტომ ძნელია გარკვევა, რა სახის შესაბამისობა იგულისხმება მასში: შესაბამისობა მხოლოდ ლოკალური რიგის თვალსაზრისით, როგორც ამას უნივერსალური დებულება გვეუბნება, თუ წარმოების რაგვარობის თვალსაზრისითაც, როგორც აფრიკატებისა და ნაპრალოვნების მიმართების ამსახველი მტკიცებიდან გამომდინარეობს. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შეგვესწავლა იმ აფრიკატებისა და ნაპრალოვნების ურთიერთმიმართება, რომლებიც ერთსა და იმავე ლოკალურ რიგსა და ერთსა და იმავე მეორე ხარისხის მოდალურ კორელაციას განეკუთვნებიან. ე. ი. სრული შესაბამისობით ხასიათდებიან. ჩვენ გვინტერესებდა, როგორ ვრცელდება რ. იაკობსონის გენერალიზაცია მქლერობა-სიყრუის, დაჰიმულობის, გლოტალიზაციის ოპოზიციებზე. ამას გარდა, არ არის ცნობილი გამონაკლისები ამ უნივერსალიიდან⁶ და არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული გარკვევა, აქვს მას აბსოლუტური, თუ სტატისტიკური ხასიათი⁷.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ენათა ფონემატური სისტემის ტიპოლოგიური შედარებისას ამოვდიოდით მთლიანად იდენტი-

⁵ R. Jakobson, *Kindersprache...*, გვ. 364.

⁶ ბ. უ ს ჯ ე ნ ს კ ი ს , ჩ. ჰოკეტის შრომაზე დამყარებით, თავის სიაში ერთი გამონაკლისი მოჰყავს ამ უნივერსალიიდან: ალგონკინურ ენათა ჭგუფში შემავალი ენა კიკაპუ. ეს კი, როგორც ჩანს, გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს. ჩ. ჰოკეტს ეს ენა გამონაკლისად მიაჩნია შემდეგი უნივერსალური დებულებიდან: ენაში [θ] ტიპის ნაპრალოვანი თანხმოვნის არსებობა გულისხმობს მასში [t] და [s] ტიპის ბგერების არსებობას. იხ. Ch. F. Ho c k e t t , *The Problem of Universals in Language, Universals of Language*, Cambridge, 1966, გვ. 25.

⁷ სპეციალისტები ზშირად ვახაზავენ, რომ ახალი უნივერსალური ფაქტებისა და მიმართებების აღმოჩენასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს უკვე შენიშნული უნივერსალიების შემოწმებას, რადგან უნივერსალია ყოველთვის წარმოდგენს არასრულ ინლუქტოს, იგი ყოველთვის ემყარება ფაქტების ნაწილს და ხდება მისი ექსტრაპოლაცია ფაქტების დანარჩენ მასაზე. იხ. მაგალითად, Ю. В. Р о ж д е с т в е н с к и й , *О лингвистических универсалиях*, ВЯ, 1968, 2, გვ. 13, შენ. 27.

ფიცირებული სისტემებიდან, ე. ი. სისტემებიდან, რომლებშიც იდენტიფიცირებული იყო ჰარბი ფონოლოგიური ნიშნებიც. მაგალითად, ესპანურ ენაში არსებობს მაღალი ტონის (ცენტრალურ) აფრიკატთა მხოლოდ ერთი /tʃ/ რიგი და ცენტრალურ ნაპარალოვანთა მხოლოდ ერთი /s/ რიგი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფონემათა მიმართ კომპაქტურობა-დიფუზურობის ნიშანი ჰარბია, რადგან არ არსებობს კომპაქტური ცენტრალური /tʃ/-ს საპირისპირო დიფუზური ცენტრალური /s/ და დიფუზური ცენტრალური /s/-ს საპირისპირო კომპაქტური ცენტრალური /tʃ/ ფონემა, ჩვენ მაინც ვახდენთ /tʃ/ და /s/ ფონემათა იდენტიფიკაციას კომპაქტურობა-დიფუზურობის ნიშნის მიხედვით. ამგვარი მიდგომა გაპირობებულია ჩვენი სამუშაოს მიზნით. უნივერსალური მიმართებანი ფონოლოგიაში ძირითადად განისაზღვრება ფიზიოლოგიურ-აქუსტიკური ფაქტორებით, აქტივ ფონეტიკურ მოვლენათა გათვალისწინება ამ სახის სამუშაოების წარმოებისას აუცილებელი ხდება⁸.

ჩვენ მიერ თავმოყრილი მასალის ანალიზმა შემდეგი შედეგები მოგვცა: 1) უნივერსალია სრულიად არ ვ რ ც ე ლ დ ე ბ ა ის ე თ დაპირისპირებებზე, როგორცაა: გლოტალიზაციის, დაჰიმულობის, პალატალიზაციის, ფარინგალიზაციის (ლაბიალიზაციის⁹) დაპირისპირებები. ამ დაპირისპირებებთან მიმართებით აფრიკატები სრულ დამოუკიდებლობას ავლენენ ნაპარალოვანთაგან.

2) მქლერ ფონემათა სფეროში არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც აფრიკატი შესაბამისი ნაპარალოვნის გარეშე არის წარმოდგენილი (მაგ., სისტემაში არის /dʒ/ და არ არის /z/), მაგრამ ისეთ ენათა დიდი რიცხობრივი უპირატესობა, რომლებშიც არის მქლერი ნაპარალოვანი და არ არის მქლერი აფრიკატი (მაგ. არის /z/ და არ არის /dʒ/) იმ ენებთან შედარებით, რომლებშიც არის მქლერი აფრიკატი

⁸ მ. ლეკოშევიც ადნიშნავს, რომ თუ ფონოლოგიურ სისტემათა ანალიზისას დაკავშირებული ნიშნები ნეგატიურ როლს თამაშობენ და სასურველია მათი გამორიცხვა. სინთეზისა და განსაკუთრებით ტოპოლოგიური კვლევისას დაკავშირებული ნიშნები ფუნდამენტალურ ღირებულებას იძენენ. იხ. М. И. Л е к о м ц е в а, Типология структуры слога в славянских языках, М., 1968. გვ. 47.

⁹ როგორც ცნობილია, ფარინგალიზაციისა და ლაბიალიზაციის დაპირისპირებებიც რ. იაკობსონს და მის თანამშრომლებს ერთი და იმავე ოპოზიციის რეალიზაციად მიიჩნიათ. იხ. Р. Я к о б с о н и М. Х а л с, Фонология и ее отношение к фонетике, გვ. 253.

მეღერი ნაპარალოვნის გარეშე¹⁰, მიუთითებს, რომ ამ სფეროში ჩვენთვის საინტერესო უნივერსალია მოქმედებს, თუმცა არა უგამონაკლისოდ და ნაკლები ხარისხით, ვიდრე ყრუ ფონემების სფეროში. ამასთან, საყურადღებოა, რომ კომპაქტურ (უკანა რიგის) ფონემათა კლასში მეტი გამონაკლისები არსებობს, ვიდრე დიფუზურ (წინა რიგის) ფონემათა კლასში¹¹. კომპაქტური ცენტრალური რიგის ფონემების კლასში ცხრამეტი ამგვარი გამონაკლისი აღმოჩნდა. ეს არის ენები, რომელთაც აქვთ /dʒ/ ტიპის ფონემა და არა აქვთ /ʒ/ ტიპის ფონემა: იტალიური, ტატური, ყირგიზული, გაგაუზური, ხაკასური, ყარაიმული, შირა-უიგურული, ყარაიმული, ბაოანური, დაგურული, დუნსიანური, მონღოლური, ხალხა, არაბული, ინდონეზიური, ჰაიდა, ჰუპა, ტლინგიტი¹².

¹⁰ ჩვენი მასალის მიხედვით, არსებობს 42 ენა, რომელსაც აქვს ნაპარალოვანი /ʒ/ და არა აქვს შესაბამისი აფრიკატი /dʒ/ და 94 ენა, რომელსაც აქვს ნაპარალოვანი /z/ და არა აქვს შესაბამისი აფრიკატი /dz/.

¹¹ კომპაქტური-დიფუზური და პერიფერიული-ცენტრალური ოპოზიციების საშუალებით რ. იაკობსონს ბინარული სახით აქვს წარმოდგენილი ფონემათა ლოკალური დაპირისპირებები. ეს თვალსაზრისი ავლენს პარალელიზმს ხმოვანთა და თანხმოვანთა კლასებში არსებულ ოპოზიციებს შორის და ხსნის დაპირისპირებას ეკვიპოლენტურ და პრივატიულ დაპირისპირებებს შორის. ეს კი შესაძლებლობას იძლევა მარკირებულობის პრინციპი ამ სახის ოპოზიციებზე გავყვრელოთ იხ. P. L. G a r v i n , Review: Jakobson, Fant, Halle, Preliminaries to Speech: Analysis, Language, vol. 29, № 4, 1953, გვ. 478.

უნივერსალური მიმართებების ძიებისა და ჩამოყალიბებისას უფრო მოსახერხებელია რ. იაკობსონისა და მისი თანამშრომლების მიერ შემუშავებული ცნებებისა და შესაბამისი ტერმინების გამოყენება, ვიდრე ტრადიციული ტერმინოლოგიისა, რადგან კვლევის ამ დონეზე ბევრი დაპირისპირება, რომელსაც არა აქვს ტრადიციული კლასიფიკაცია, არარელევანტური ხდება. რ. იაკობსონის საკლასიფიკაციო ნიშანთა კომბინაცია: დიფუზური, ცენტრალური — ფარავს შემდეგ არტიკულაციურ ნიშნებს: დენტალური, აპიკალური, დორსალური; ხოლო კომბინაცია: კომპაქტური, ცენტრალური — ალვეოლარულსა და პალატალურს. ჩვენი მსჯელობისათვის ამ განსხვავებათა უგულვებელ ყოფა აუცილებელია, რადგან სხვაგვარად ვერ მოხერხდება, მაგალითად, ინგლისური ენის აპიკალური /d/, /l/ ფონემებისა და რუსულის დორსალური /d/, /l/ ფონემების იდენტიფიკაცია. ამგვარ ოპერაციათა ჩატარება კი უნივერსალური ფაქტებისა და მიმართებების ძიებისას აუცილებელია.

¹² ჩამოთვლილ ენათა ფონოლოგიური სისტემების შესახებ ცნობები მოპოვებულია შემდეგი წყაროებიდან—იტალიური: Т. Б. Алнсова, Г. З. Черданцева, Итальянский язык, М., 1962; ტატური: А. Л. Грюнберг, Татский язык, «Языки народов СССР», I, 1966; А. Л. Грюнберг, Язык североазербайджанских татов, Л., 1963; В. С. Соколова, Новые сведения по фонетике иранских языков, «Иранские языки», II, 1950; В. С. Соколова, Черки по фонетике иранских языков, М., 1958, Р. О. Шор, О спорных вопросах в исследовавший консонантизма татов евреев, „Языки северного Кавказа и Дагестана“, II, М., 1949, ყირგიზული: Б. М. Юнуса и л и е в, Киргизский язык, «Языки народов СССР», I, 1966; И. А. Б а т м а н о в, Современный киргизский

აქ არ შემოგვაქვს ინდური და დრავიდული ოჯახის ენები. ამ ენებში არსებობს შუაენისმიერი აფრიკატების რაგი /j, jh, c, ch/ და შუაენისმიერი სონორი ნაზრალოვანი /y/. ტრადიციული ფონეტიკური ტერმინოლოგიით /j/ და /y/ ფონემები იდენტურად დასახიათლებიან წარმოების ადგილისა და მელერობა-სიყრუის თვალსაზრისით (ორივე როგორც შუაენისმიერი მელერი) და განსხვავებულად სონორობის თვალსაზრისით. (/j/ დასახიათლება როგორც არასონორი, /y/ კი როგორც სონორი). რ. იაკობსონის ბინარული ნიშნებით დასახიათებისას მათი კვალიფიკაცია მელერობა-სიყრუის და კომპაქტურობა-დიფუზურობის თვალსაზრისით ერთნაირი იქნება, განსხვავებული იქნება მათი დასახიათება თანხმოვანი-არათანხმოვანი ნიშნის მიხედვით. ამგვარად, მელერი ფონემების სფეროში ისინი გამონაკლისს არ ქმნიან. ისეთ სისტემებში კი, რომელშიც /dz/ წინაენისმიერ ფონემას წარმოადგენს, /y/ კი შუაენისმიერს (ასეთია

язык, Фрунзе, 1953, გაგუტური: Л. А. Покровская, Гагаузский язык, „Языки народов СССР“, II, 1966; Л. А. Покровская, Грамматика гагаузского языка, М., 1964; Н. К. Дмитриев, Фонетика гагаузского языка, „Строй тюркских языков“, М., 1962; ყარაიშული: К. М. Мусаев, Караимский язык, „Языки народов СССР“, II, 1966; К. М. Мусаев, Грамматика караимского языка, М., 1964; ბაკალური: В. Г. Карпов, Хакасский язык, „Языки народов СССР“, II; შირა-უიგურული: Э. Р. Тенишев, Б. Х. Тодаева, Язык желтых уйгуров, М., 1966; ბოაზური: Б. Х. Тодаева, Басаньский язык, М., 1964; დაგურული, მონგოლური: Б. Х. Тодаева, Монгольские языки и диалекты Китая, М., 1960; მონღოლური: Г. Э. Санжеев, Современный монгольский язык, М., 1960; ხალხა და ძველი სანწერლო მონღოლური: Б. М. Владимирцов, Сравнительная грамматика монгольского письменного языка п халхского наречия, Л., 1929; Г. И. Рамстедт, Сравнительная фонетика монгольского письменного языка и халхаско-ургуинского говора, С-П., 1908; Г. Д. Санжеев, Сравнительная грамматика монгольских языков, I, М., 1953. არაბული: А. А. Ковалев, Г. Ш. Шаратов, Современный арабский язык, М., 1961; Carl Groskelmann, Arabische grammatik, L. 1962; ინდონეზიური: А. С. Теселкин, Н. Р. Алиева, Индонезийский язык, М., 1960; C. Court, A Distinctive Features Analysis of the Phonemes of Mentu Land Dayak, Phonetica, vol. 17, № 4, 1967; იამანა: A. Haudricourt, Jamana, „Les Langues du Monde“, Paris, 1952 ჰაიდა: I. K. Swanton, Haida, Franz Boas, Handbook of American Indian Languages, Washington, 1911, ჰუპა: B. E. Goddard, Athapaskan (Hupa), იმევე კრებულში: M. F. Woodward, Hupa Phonemics, Studies in Californian Linguistics, University of Californian Press, 1964. ტლინგიტი: I. K. Swanton, Tlingit, Handbook..., 1911.

ყველა ზემოჩამოთვლილი ენა, რომელიც ჩვენ გამოხაკლისად მივიჩნიეთ), ეს ფონემები განსხვავებული იქნება წარმოების ადგილის თვალსაზრისითაც, ამდენად /y/-ს /dʒ/ აფრიკატის შესაბამის სპირანტად ჩათვლა კიდევ უფრო გაჭირდება. იმაზე, რომ სისტემათა ეს ორი ტიპი არ არის ერთგვაროვანი, მიუთითებს ისიც, რომ პირველი უფრო მაღალი სტაბილურობით ხასიათდება — არსებობს საუკუნეების მანძილზე და არ ამჟღავნებს არავითარ ტენდენციას შეცვლისაკენ. იმ ენათა უმრავლესობაში კი, რომელთაც აქვთ /dʒ/ და არა აქვთ /ʒ/, ამგვარი მდგომარეობა შედეგია ან /dʒ/-ს შედარებით გვიანდელი წარმოქმნის, ან კიდევ /ʒ/-ს დაკარგვისა.

დიფუზური რიგში შვიდი გამოხაკლისი გამოვლინდა. ესაა ენები, რომელთაც აქვთ ფონემა /dʒ/ და არა აქვთ ფონემა /ʒ/. ასეთია: მონღოლური, მონგოლური, ხალხა, მარატხი, იანა, კვაკიუტლი, ტლინგითი¹³.

3) ყველაზე თანმიმდევრულად რ. იაკობსონის წესი ყრუ ფონემათა სფეროში მოქმედებს, მაგრამ აქაც კომპაქტური და დიფუზური რიგები გარკვეულ სხვაობას ამჟღავნებენ. დიფუზური რიგში გამოხაკლისები არ აღმოჩნდა (არ არსებობს ენები, რომელთაც ექნებოდათ ფონემა /tʃ/ და არ ექნებოდათ ფონემა /s/, მაგრამ კომპაქტურ რიგში არის გამოხაკლისების გარკვეული რიცხვი. შემდეგ ენებში არის ფონემა /tʃ/ და არ არის ფონემა /s/: იაკუტური (/tʃ/, /s/), ოსური (ირონული დიალექტი /dʒ/ /tʃ/ /tʃ/, /dz/, /s/, /tʃ/, /z/, /s/), ესპანური (/tʃ/, /z/, /s/), ორია (/j/, /jʰ/, /c/ /ch/ — შუაენისმიერებია, /s/ — დორსალური), სოლონური (/dʒ/, /tʃ/ /s/), ჰაიდა (/dʒ/, /tʃ/, /tʃ', /s/), პლეინს მიეოკი (/tʃ/, /s/), ვინტუ (tʃ/, /tʃ', /s/), პატვინი (/tʃ/, /tʃ', /s/, შასტა (/tʃ/, /tʃ' /tʃ/, /tʃ' /s/), ინდონეზიური (/dʒ/, /tʃ/, s), ფილიპინური (/tʃ/, /s/)¹⁴. რო-

¹³ ჩამოთვლილ ენათა ფონოლოგიურ სისტემათა აღწერები მოპოვებულია შემდეგი ნაშრომებიდან: მარატხი: Т. Е. Катенина, Язык маратхи, М., 1963; იანა: S. M c L e n d o n, Northern Hoka n (B) and (C): A Comparison of Eastern Pomo and Yana, Studies in Californian Linguistics, 1964; M. R. H a a s, Shasta and Proto Hoka n, Language, vol. 31 № 1, 1963; M. R. H a a s, Californian Hoka n, იქვე 1964. კვაკიუტლი: F. B o a s, Kwakiutl, Handbook, 1911. მონღოლური, მონგოლური, ხალხა და ტლინგითის შესახებ ლიტერატურის შიითთება იხ. ზემოთ.

¹⁴ გამოყენებულია ლიტერატურა—იაკუტური: Е. И. У б р я т о в а, Якутский язык, «Языки народов СССР», II, 1966; ოსური: В. И. А б а е в, Осетинский язык и фольклор, М., 1949. Грамматика осетинского языка, I, Орджоникидзе, 1959; М. И. И с а е в, Дигорский диалект осетинского языка, М., 1966; М. И. И с а е в, Осетинский язык, «Языки народов СССР», I, 1966; Н. К. Б а -

გორც აქ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ყველა იმ ენაში, რომელსაც აქვს /tʃ/ ფონემა, და არა აქვს /ʃ/ ფონემა, არსებობს ფონემა /s/. ჩვენი მასალის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არ არსებობს ენა, რომელშიც აფრიკატა არსებობის შემთხვევაში არ იქნება და ყრუ დიფთუნური ცენტრალური ნაპრალოვანი ფონემა /s/. ამრიგად, რ. იაკობსონის გენერალიზაცია კლასთა ურთიერთმიმართების საბუნებრო იღებს: თუ ენაში არსებობს აფრიკატები, მაშინ მასში იარსებებს ნაპრალოვანი თანხმოვნები. გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ჩამოთვლილ ენათაგან მხოლოდ ორს — ოსურსა და შასტას აქვთ აფრიკატა ორი რიგი: კომპაქტური ცენტრალური /tʃ/ — რიგი და დიფთუნური ცენტრალური — /ts/ რიგი. ეს ენები გამოწაკლისად უნდა ჩათვალოს რ. იაკობსონის გენერალიზაციიდან იმ შემთხვევაშიც, თუ ფონემებს ჰარბი ნიშნების თვალსაზრისით არ დავახასიათებთ. დანარჩენი ენები კი გამოწაკლისად ჩაითვლება მხოლოდ მთლიანად იდენტოფიცირებული სისტემებიდან ამოსვლით.

რ. იაკობსონის აზრით, ცალმხრივი გაპირობებულობის კანონები მოქმედებენ ცალკეულ ფონემათა გამოყენების შეფარდებით ინტენსივობაზე (ე. ი. ფონემათა ფარდობით სიხშირესა და მათ კომბინაციურ შესაძლებლობებზე¹⁵). ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალის საფუძველზე ვცადეთ დავკვირებოდით აფრიკატებისა და ნაპრალოვანი თანხმოვნების ფარდობითი სიხშირეების ურთი-

რ а е в, Современный осетинский язык, ч. I, Орджоникидзе, 1963; В. С. М и л л е р, Язык осетин, М., 1962; В. С. С о к о л о в а, Очерки по фонетике иранских языков, II, М.-Л., 1953; ესპანური: Э и р и к е Т и п а й о, Коррективный курс фонетики испанского языка, М., 1966; ორია: Ф. М. К а р п у ш к и н, Язык Орфия, М., 1964, სოლონური: В. И. Ц и н ц и у с, Сравнительная грамматика тунгусо-манчжурских языков, Л., 1949; მიოკი, ვინტუ, პატჩინი: S. M. B r o a d b e n t and H. P i t k i n, A Comparison of Miwok and Wintun, Studies in Californian Linguistics; C. A. G a l l a g h a n, Phonemic Borrowing in Lake Miwok, იქვე; შასტა: M. R. H a a s, Shasta and Proto Hokan, Language, vol. 31, № 1, 1963; Sh. S i l v e r, Shasta and Karok, A Binary Comparison, Studies, 1964; პილიპინო: K. W. B e r g e r, An Introduction to Pilipino Phonetics and Pronunciation, Phonetica, vol. 17 № 1, 1967; K. W. B e r g e r, A Study of Pilipino Usage, Phonetica, 17, № 1, 1967; ჰაიდასა და ინდონეზიურის შესახებ მითითება იხ. ზემოთ.

¹⁵ R. J a k o b s o n, Kindersprache..., გვ. 66. საყურადღებოა, რომ იგივე ნიშნები — ტექსტში ფონემათა გამოყენების სიხშირე და კომბინაციური შესაძლებლობები, ჯ. გრინბერგის აზრით, საკიროა შეტანილ იქნეს მარკირებულობა-არამარკირებულობის პრინციპის განსაზღვრაში. იხ. J. H. G r e e n b e r g, Language Universals, with Special References to Feature Hierarchies, The Hague, 1966, გვ. 60.

ერთმიმართებას. ყრუ აფრიკატებისა და ნაპრალოვნების სფეროში გადახვევა უნივერსალური დებულებიდან არ გამოვლინდა: ყრუ ნაპრალოვანთა სიხშირე ყოველთვის მეტია შესაბამისი ყრუ აფრიკატების სიხშირეზე (ხელთ გვექონდა სტატისტიკური მონაცემები შემდეგი ენების შესახებ: გერმანული, შვედური, ინგლისური, სამოა, კაივა, ბენგალიური¹⁶, რუმინული¹⁷, რუსული¹⁸, ჰაუსა, კლამათი, კოოსი, იუროკი, ჩირიკაპუა, მაიდუ¹⁹, ლატვიური, ჩეხური, ბულგარული, სერბოხორვატული, უკრაინული, სომხური²⁰, ქართული²¹, ძველი ქართული, სვანური, მეგრულ-ქანური, დიდოური, აფხაზური, ბოთლიხური, თაბასარანული²²). მედერი ფონემების სფეროში კი მრავალი გამონაკლისი არსებობს. /dž/ ფონემის სიხშირე მეტია /z/ ფონემის სიხშირეზე შემდეგ ენებში: ინგლისური /dž/—0,36, /z/—0,03; ქართული: /dž/—0,27; /z/—0,07; ძველი ქართული: /dž/—0,24, /z/—0,06; სვანური: /dž/—1,61, /z/—0,83; ქანური: /dž/—1,05; /z/—0,004. კამალალურში /z/-ს სიხშირე

¹⁶ B. Sigurd, Rank-Frequency Distributions for Phonemes. *Phonetica*, vol. 18, № 1, 1968.

¹⁷ A. Rocer ic-Alexandrescu, Statistical Structural Relations (some Remarks on the Word Final in Rumanian, *Cahiers de linguistique theorique et appliquee*, III, 1966, Universite de Bucarest.

¹⁸ E. Chery, M. Halle, R. Jakobson, Toward the Logical Description of Languages in their Phonemic Aspect, R. Jakobson, *Selected Writings*, გვ. 458.

¹⁹ J. H. Greenberg, *Language Universals...*, გვ. 64—68.

²⁰ Н. Д. Андреев, Статистико-комбинаторные методы в теоретическом и прикладном языкознании, Л., 1967.

²¹ ჯ. ფოტო, ქართული ენის ფონმატური სტრუქტურა, თბილისი, 1961, გვ. 16. გაანალიზებულია 11000 ფონემის შემცველი ტექსტი.

²² ტექსტების სტატისტიკური სტრუქტურა დადგენილია ჩვენ მიერ შემდეგი მასალის საფუძველზე: ძველი ქართული—15000 ფონემის შემცველი ტექსტი; ექუსთა დღეთა, თბილისი, 1947, გვ. 57—60, წამებაა წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1 (V—X ს.) თბილისი, 1964, გვ. 12—20; სვანური—10000 ფონემა: სვანური პროზაული ტექსტები. I, ბალსზემოკრი კილო, ზღაპრები, გვ. 58—65; მეგ'ულ-ქანური—20000 ფონემა—არნ. ჩიქობაია, ქანური ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბილისი, 1929, გვ. 4—12; ს. ქლენტი, ქანური ტექსტები, არქაული კილოკავი, თბილისი, 1936, გვ. 68—74, ბოთლიხური: 15000 ფონემა—ტ. გულავა, ბოთლიხური ენა, თბილისი, 1961, გვ. 161—172; აფხაზური:—20000 ფონემა—ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, ტექსტობითურთ, თბილისი, 1954, გვ. 14—27; დიდოური ენა:—10000 ფონემა—Д. С. Иманшивили, Дидойский язык, Тбилиси, 1963, გვ. 276—286; თაბასარანული ენა: 10000 ფონემა—А. А. Магомедов, Табасаранский язык, Тбилиси, 1965, გვ. 351—373.

ისე დაბალია, რომ ჰამალალური ენის გრამატიკის ავტორმა ა. ზოკარევმა მისი არსებობა ვერც შენიშნა²³. წახურული ენის ბ. ტალიბოვის აღწერაში /z/ ფონემას ვერ ვხედავთ, ე. წვირანიშვილის მტკიცებით კი ამ ენას აქვს ეს ფონემა²⁴. /z/ ფონემა იშვიათია კრიწულშიც. შ. საადიევის ჩვენებით, იგი გვხვდება ერთადერთ საკუთარ სიტყვაში: ენ „ჩენე“²⁵. რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლება /z/-ს ხმარება ბელუჯურ, ტაჯიკურ, სპარსულ ენებში²⁶ და აელანელ ხაზართა ენაში²⁷. /dz/-ს სიხშირე /z/-ს სიხშირეს სჭარბობს უიგურულშიც²⁸. მკლერი დიფუზური ფონემების სფეროში მხოლოდ ერთი გამონაკლისია ჩვენთვის ცნობილი — ძველი ქართული ენა. მასში /dz/-ს სიხშირე 0,61-ს უდრის, /z/-სი კი 0,32. საყურადღებოა, რომ ახალ ქართულ ენაში /dz/—/z/ ფონემათა სიხშირეების შეფარდება უნივერსალური მიმართების მიმართულებით შეიცვალა /dz/—0,37, /z/—0,63.

ამ მონაცემების შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საანალიზო მასალაში (და საერთოდ მსოფლიოს ენებშიც) მხოლოდ ყრუ აფრიკატების მქონე ენების რიცხვი ბევრად დიდია ისეთ ენათა რიცხვზე, რომლებიც შეიცავენ როგორც ყრუ, ისე მკლერ აფრიკატებს. ამრიგად, ყრუ აფრიკატების მქონე ენათა დიდ რიცხვში არ არსებობს გამონაკლისები, მკლერ აფრიკატთა მქონე ენათა მცირე რიცხვიდან კი გამონაკლისები საკმაოდ დიდი რაოდენობით არსებობს. ამასთან, იმ ენებშიც, რომლებშიც უნივერსალური მიმართება მკლერი ფონემების სფეროში დარღვეულია, ყრუ აფრიკატებისა და ნაპრალოვნების სიხშირეთა მიმართება ეთანხმება ზოგად წესს. ამრიგად, რ. იაკობსონის გენერალიზაცია მკლერი ფონემების სფეროში დარღვეულია არა მარტო იმ აზრით, რომ არსებობს ენები, სადაც მკლერ აფრიკატებს შესაბამისი ნაპრალოვანი არ გააჩნიათ, არამედ იმ აზრითაც, რომ არსებობს ენები, რომლებშიც მკლერი აფრიკატების სიხშირე უფრო მაღალია, ვიდრე შესაბამისი ყრუ ნაპრალოვნებისა. სიხშირეთა მიმართე-

²³ А. А. Бокарев, Очерк грамматики чамалинского языка, М., 1949, /z/-ს არსებობას ჰამალალური ადასტურებს ზ. მაჰმედბეკოვა. იხ. Чамалинский язык, „Языки народов СССР“, IV, 1966.

²⁴ Б. Б. Таллибов, Цахурский язык, „Языки народов СССР“, IV, 1966, გვ. 592, შტრ. Е. Ф. Джейранишвили, Основные вопросы фонетики и морфологии цахского и мухадского (рутулского) языков (Автореферат докторской диссертации), Тбилиси, 1966.

²⁵ Ш. М. Саадиев, Крызский язык, „Языки народов СССР“, IV, 1966, გვ. 628.

²⁶ В. С. Соколова, Очерки по фонетике иранских языков, М., 1958.

²⁷ В. А. Ефимов, Язык афганских хазара, М., 1965.

²⁸ А. Т. Кайдаров, Уйгурский (ново-уйгурский язык), „Языки народов СССР“, II, 1966, გვ. 366.

ბის თვალსაზრისითაც გამონაკლისების რიცხვი ბევრად დიდია კომპაქტურ ფონემათა რიგში (12 შემთხვევა ჩვენი მასალის მიხედვით), ვიდრე დიფუზურ ფონემათა რიგში (ერთი შემთხვევა ჩვენს მასალაში).

როგორც ვნახეთ, რ. იაკობსონის გენერალიზაციას აბსოლუტური ხასიათი მხოლოდ ყრუ დიფუზური აფრიკატებისა და ნაპრალოვნების სფეროში აქვს. გლოტალიზაციის, ასპირაციის, პალატალიზაციის, ფარინგალიზაციის ოპოზიციების მარკირებულ წევრებზე იგი საერთოდ არ ვრცელდება. მეტერ ფონემებზე იგი მეტად ვრცელდება, ვიდრე გლოტალიზებულზე, ასპირირებულზე და სხვა, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე ყრუებზე. ეს მოვლენა უნდა მიუთითებდეს ფონემატურ სისტემაში ოპოზიციათა გაკვეთილი იერარქიის არსებობაზე. ლოკალური რიგებიდან კომპაქტური რიგი ყველაზე მდიდარია გამონაკლისებით. არამარკირებული სერიები მხოლოდ აქ შეიცავენ გამონაკლისებს, მარკირებულები კი მეტი გამონაკლისებით ხასიათდებიან ამ რიგში, ვიდრე დიფუზურში. ამდენად, ორი მოვლენა მოითხოვს ახსნას: 1. გამონაკლისების არსებობა მარკირებულ რიგებში და 2. გამონაკლისების არსებობა კომპაქტურ რიგში.

ოპოზიციათა მარკირებულ რიგებში გამონაკლისების არსებობა ადგილად აიხსნება მარკირებულობა-არამარკირებულობის ცნების საშუალებით. როგორც ჟ. გრინბერგმა უჩვენა, ამ ცნების ძირითადი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ მარკირებულ ფონემათა რიცხვი შეიძლება იყოს მხოლოდ ტოლი ან ნაკლები არამარკირებულ ფონემათა რიცხვზე, და არასდროს მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცარიელი უჯრები სისტემაში მხოლოდ მარკირებული ფონემების ადგილას არის შესაძლებელი²⁹. რ. იაკობსონის თეორიის თანახმად, ნაპრალოვნები და ხშულები იმტომ უსწრებენ აფრიკატებს წინ სისტემაში, რომ ისეთი დაპირისპირებები, როგორცაა მაგალითად, $t-s$ და $p-f$, აკავშირებენ ორი ერთი მიმართულების დისტინქციას სახელდობრ, — ხშულობა-ნაპრალოვნობისა და მძაფრობა-არამძაფრობის დისტინქციებს³⁰. ხშულები არამძაფ-

²⁹ J. H. Greenberg, *Language Universals...*, გვ. 59.

³⁰ გერმანულ ტექსტში ეს ოპოზიცია გადმოიკემა ტერმინებით: *Sanft-scharfklingend* რ. იაკობსონისა და მისი თანამშრომლების ინგლისურად დაწერილ ნაშრომებში *strident-mellow*, რუსულ თარგმანებში: *резкий — нерезкий*. ტერმინები „მკვეთრი — არამკვეთრი“, რომლებიც ქართულ შესატყვისებად შეიძლება ჩავეთვალა, არ გამოდგება, რადგან ემთხვევა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ აღნიშვნას გლოტალიზებული თანხმოვნებისას. ამიტომ ვარჩიეთ ტერმინები მძაფრი-არამძაფრი, რომლებიც უკვე გამოყენებულ იქნა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. იხ. თ. გამყრელიძე, *დუხაფრიკატიზაცია სვანურში*. «გადაწყობის წესები» დიპტონიულ ფონოლოგიაში, თბილისი, 1968, გვ. 18 და შემდ.

რებია, ნაპრალოვნები კი—მძაფრები. მაგალითად, ოპოზიცია $t-s$ ასე დახასიათდება:

	t	s
ხშული—არახშული	—	÷
მძაფრი—არამძაფრი	—	+

t ორივე ნიშნის მიხედვით არამარკირებულია, s კი ორივე ნიშნის მიხედვით მარკირებული, დაპირისპირებების: ხშული-ნაპრალოვნები და მძაფრი-არამძაფრი გათიშვა ხდება საპირისპირო თვისებების აფრიკატში — მძაფრ ხშულ ბგერაში (მაგ. pf, ts) გაერთიანების გზით, და, ამდენად, ეს ბგერა მეორეულია³¹. ამრიგად, t, s და ts ფონემათა დახასიათება შემდეგ სურათს იძლევა:

	t	s	ts
ხშული—არახშული	—	+	—
მძაფრი—არამძაფრი	—	+	+

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო უნივერსალია გამოიყვანება მაქსიმალური კონტრასტის პრინციპიდან. რ. იაკობსონი ფიქრობს, რომ ენობრივ სისტემას იერარქიული აგებულება აქვს. ფონემატური სისტემის საფეხურებრივი აგება მაქსიმალური კონტრასტის წესს ექვემდებარება და მარტივი და დაუნაწევრებლიდან რთული და დიფერენცირებულისაკენ მიემართება³². უნივერსალური ხასიათი კი სწორედ მარტივ და დაუნაწევრებელ ოპოზიციებს აქვთ. ხშულებისა და ნაპრალოვნების დაპირისპირება ხასიათდება მეტი სიმარტივითა და კონტრასტულობით, ვიდრე ხშულებისა და აფრიკატების ან ნაპრალოვნებისა და აფრიკატების დაპირისპირება. სისტემაში პირველი აფრიკატის წარმოქმნას, მართლაც, წინ უნდა უსწრებდეს პირველი სპირანტის წარმოქმნა — არ არსებობს ფონემური სისტემები, რომლებშიც აფრიკატების არსებობის შემთხვევაში არ იქნებოდა ნაპრალოვნები, მაგრამ შემდგომი

³¹ R. Jakobson, Kindersprache..., გვ. 393, მიმართება ნაპრალოვნებს, ხშულებსა და აფრიკატებს შორის იზოლირებული არაა. ამავე მიზეზით, ე. ი. ავტომატურად ურთიერთდაკავშირებული ნიშნების გათიშვით, აიხსნება რიგი სხვა უნივერსალური იმპლიკაცია, მაგ.: თუ ენას აქვს ლაბიალური პალატალური ხმოვანი, ან არალაბიალური ველარული ხმოვანი, მაშინ ექნება ლაბიალური ველარული და არალაბიალური პალატალური ხმოვნები, იქვე, გვ. 392 და სხე.

³² R. Jakobson, Kindersprache..., გვ. 374.

განვითარება ნაკლებ არის დამოკიდებული ნაპრალოვანთა სისტემებისა-
გან. აფრიკატი ორი დაპირისპირების წევრია: 1) ხშული — არახშული
და 2) მძაფრი—არამძაფრი. მეორე ნიშნის მიხედვით (მძაფრი—არამძაფ-
რი) აფრიკატები ნაპრალოვანებთან ერთად უპირისპირდებიან ხშულ-
ებს. როგორც ოპოზიციის მ ა რ კ ი რ ე ბ უ ლ ი წევრები — ა რ ა მ ა რ-
კ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ს. ამიტომ აფრიკატების (resp. ნაპრალოვანების) რიც-
ხვი ყოველთვის ნაკლებია ან ტოლია ხშულების რიცხვისა (გვაკლია შა-
რკირებული წევრები აფრიკატების (resp. ნაპრალოვანების) კლასში. პი-
რველი ნიშნის მიხედვით (ხშული-არახშული) აფრიკატები ხშულებთან
ერთად უპირისპირდებიან ნაპრალოვანებს, როგორც ოპოზიციათა ა რ ა-
მ ა რ კ ი რ ე ბ უ ლ ი წევრები — მ ა რ კ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ს. ამის გამო
აფრიკატების (resp. ხშულების) რიცხვი მეტი უნდა იყოს, ვიდრე ნაპ-
რალოვანებისა (ცარიელი უჯრები გვექნება ნაპრალოვანთა კლასის შარ-
კირებული წევრების ადგილას). მართლაც, ეს ყოველთვის ასეა ხშულე-
ბისა და ნაპრალოვანების მიმართ, მაგრამ არა აფრიკატებისა და ნაპრა-
ლოვანების მიმართ.

როგორც ვნახეთ, ერთმანეთს არ ემთხვევა იმ ორი ძირითადი პრინ-
ციპის მიმართულება, რომლებიც ფონემურ სისტემათა უნივერსალურ
მიმართებათა საფუძველს წარმოადგენენ. მაქსიმალური კონტრასტის
პრინციპი უპირატესობას აძლევს ნაპრალოვანებს (და ხშულებს) აფრი-
კატების საპირისპიროდ, მაგრამ მარკირებულობა — არამარკირებულ-
ობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ოპოზიციათა არამარკირებული
წევრები უფრო ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ენებში და
უნივერსალურ მტკიცებებში იმპლიცირებულის ადგილს იკავებს, მოქ-
მედებს აფრიკატების უპირატესობის სასარგებლოდ ნაპრალოვანებთან
შედარებით³³. ამ ორი ძირითადი პრინციპის გადაკვეთა წარმოშობს იმ
მრავალრიცხოვან გამონაკლისებს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო
გენერალ-ნაციას და, აგრეთვე, მარკირებულობა-არამარკირებულობას
პრინციპს აქვს ამ სფეროში, რადგან ზოგ ენაში აფრიკატების რიცხ-
ვი მეტია ნაპრალოვანთა რიცხვზე (ეს შეესაბამება მარკირებულობა
არამარკირებულობის პრინციპს და ეწინააღმდეგება მაქსიმალური კონ-
ტრასტის პრინციპს), ზოგში კი ნაკლებია ნაპრალოვანთა რიცხვზე (ეს
შეესაბამება მაქსიმალური კონტრასტის პრინციპს და ეწინააღმდეგება
მარკირებულობა-არამარკირებულობის პრინციპს). მართლაც, უნივერსა-

³³ რაც შეეხება ხშული-აფრიკატისა და ხშული-ნაპრალოვანის ოპოზიციას, აქ ეს ორი პრინციპი ერთი მიმართულებით მოქმედებს და ამიტომ ამ სფეროში უნივერსალის არც გააჩნია გამონაკლისები.

ლურ მიმართებათაგან გამონაკლისების არსებობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად რამდენიმე უნივერსალური კანონზომიერების გადაკვეთა მიიჩნევა³⁴. იმ შეზღუდვის შედეგად, რომელსაც მარკირებულობა-არამარკირებულობის პრინციპი მაქსიმალური კონტრასტის პრინციპს ადებს, ვიღებთ შემდეგი სახის მტყიცებას: არამარკირებული რიგის აფრიკატების არსებობა ენაში გულისხმობს შესაბამისი ნაპრალოვანი თანხმოვნების არსებობას.

თუ დიაქრონიას მივმართავთ, დავინახავთ, რომ გენერალიზაცია-დან გამონაკლისების წარმოქმნის პროცესი შემდეგ სახეს იღებს: სისტემაში გაჩენის შემდეგ აფრიკატები ხედებიან ხშულთა ქვესისტემაში, განიცდიან სისტემის დაწოლას და ქმნიან იმავე ოპოზიციებს, რომლებიც ხშულთა რიგებში არსებობს. ამასთან, ზოგიერთი დაპირისპირება შეიძლება აფრიკატთა სისტემაში უფრო ადრე ჩამოყალიბდეს, ვიდრე სპირანტთა სისტემაში. ზოგიერთი დაპირისპირება კი, რომელაც რელევანტურია ხშულებისა და აფრიკატების სისტემაში, ნაპრალოვანთა კლასში შეიძლება საერთოდ არ ჩამოყალიბდეს. უმთავრესად ასე ხდება გლოტალიზაციისა და ასპირაციის დაპირისპირებათა მიმართ და ზოგჯერ მკლერობა-სიყრუის დაპირისპირების მიმართაც. ენაში აფრიკატთა წარმოქმნის საში ძირითადი წყაროდან: 1) ჰომორგანული ხშულისა და ნაპრალოვნის შერწყმა (მაგ., $t + s > ts$), 2) ნაპრალოვანთა აფრიკატიზაცია (მაგ., $s > ts$). 3) ხშულთა აფრიკატიზაცია: ა) დენტალური, შუაენისმიერი და გუტურალური რიგის ხშულების აფრიკატიზაცია (მაგ., $t > ts$, $k > ts$, $k > kx$); ბ) ხშულთა აფრიკატიზაცია პალატალიზაციის გავლით (მაგ., $t > t' > ts$, $k > k' > ts$), უკანასკნელი (და შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან იგი ყველაზე ხშირია) სრულიად დამოუკიდებელია ნაპრალოვანთა სისტემებისაგან. პროცესი ჩვეულებრივ, მთელ ლოკალურ რიგს მოიცავს და აფრიკატთა კლასში გარკვეული დაპირისპირების არსებობა დამოკიდებულია ხშულთა შესაბამის რიგებში ამ დაპირისპირებათა არსებობაზე.

ზემომოყვანილ გენერალიზაციას (წარმოების რაგვარობის თვალსაზრისით არამარკირებული აფრიკატების არსებობა ენაში გულისხმობს შესაბამისი ნაპრალოვანი თანხმოვნების არსებობას) ასევე სტატისტიკური ხასიათი აქვს, თუმცა გამონაკლისების რიცხვი ბევრად ნაკლებია და მხოლოდ კომპაქტურ რიგში აქვს ადგილი. მარკირებულ ფონემათა

³⁴ იხ. მაგ., Ch. E. Osgood, *Universals and Psycholinguistics*, *Universals of Languages*, ed. by J. H. Greenberg, Cambridge, გვ. 302.

სფეროშიც, როგორც ვნახეთ, ბევრად მეტი გამონაკლისი არსებობს კომპაქტური რიგში, ვიდრე დიფუზურში. ამ მოვლენისათვის შემდეგი ახსნის შემოთავაზება მიგვაჩნია შესაძლებლად: რ. იაკობსონის მაქსიმალური კონტრასტის თეორიის მიხედვით, ენაში აფრიკატების არსებობას წინ უსწრებს მასში ხშულებისა და ნაპრალოვნების არსებობა, ხოლო ნაპრალოვნების არსებობა კი ხშულების არსებობას გულისხმობს. ხშულებისა და ნაპრალოვნების კლასში გამოიყოფა ოპტიმალური, ძირითადი ფონემები. ნაპრალოვნათა კლასში ოპტიმალურ ფონემას წარმოადგენს დიფუზური ცენტრალური ფონემა /s/. რადგან ნაპრალოვნათა კლასი წინ უსწრებს აფრიკატების კლასს, /s/ ფონემა კი ნაპრალოვნათა კლასის საფუძველს წარმოადგენს და თითქმის უნივერსალური გავრცელების მქონეა, ბუნებრივია, რომ არ არსებობდეს ენა, რომელშიც აფრიკატების არსებობის შემთხვევაში არ გვექონდეს ნაპრალოვანი თანხმოვანი /s/, ე. ი. არ შეიძლება არსებობდნენ ენები, რომლებიც რ. იაკობსონის გენერალიზაციიდან გამონაკლისს არამარკირებულ დიფუზურ ცენტრალურ ფონემათა კლასში შეიცავდნენ. ნათელია, რომ ზემოგანხილული გენერალიზაცია შეიძლება დარღვეულ აქნეს ყრუ კომპაქტური ცენტრალური აფრიკატების, მაგრამ არა ყრუ დიფუზური ცენტრალური აფრიკატების წარმოქმნის შედეგად. ამრიგად, აბსოლუტური ხასიათი რ. იაკობსონის გენერალიზაციას აქვს არამარკირებულ (მეორე ხარისხის მოდალურ დაპირისპირებათა თვალსაზრისით) დიფუზურ ცენტრალურ ფონემათა სფეროში.

ბოლოს, მოყვანილი ფაქტების უკეთ გაგების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია თვით აფრიკატთა ქვესისტემის განხილვა. ენობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ ცენტრალური რიგის აფრიკატები (მაგ., ts, tʃ) უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე პერიფერიული რიგის აფრიკატები (მაგ., pf, kx), ხოლო ცენტრალურ რიგებში კომპაქტურები (მაგალითად, tʃ) უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე დიფუზური (მაგ., ts). ამის გამო შესაძლებელია შემდეგი გენერალიზაციის ჩამოყალიბება: ენაში დიფუზური ცენტრალური აფრიკატების არსებობა ვარაუდობს კომპაქტური ცენტრალური აფრიკატების არსებობას. უფრო ზუსტ ფორმულირებას მივიღებთ, თუ ამ მტკიცებას რ. იაკობსონის გენერალიზაციას შევუსაბამებთ: ენაში დიფუზური ცენტრალური აფრიკატების (მაგ., ts) და კომპაქტური ცენტრალური ნაპრალოვნების (მაგ., ʃ) არსებობა ვარაუდობს კომპაქტური ცენტ-

რალური აფრიკატების (მაგ. ts) არსებობას. ამ შეზღუდვის შედეგად ისეთი ენები, რომელთაც აქვთ /ts/ ტიპის აფრიკატები და არა აქვთ /tʃ/ ტიპის აფრიკატები, არ ჩაითვლება გამონაკლისად, თუ ამ ენებს არა აქვთ /ʃ/ ტიპის ნაპრალოვნები. ასეთებია ენები: ზემოლუეციურა, ციმშიანი, კვაკიუტლი, იანა, ნენეცური, ამოი-ჩინური³⁵. კომპაქტური ცენტრალური აფრიკატების უფრო ფართო გავრცელება დიფუზურ ცენტრალურ აფრიკატებთან შედარებით გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ არ არსებობს ენები, რომელთაც ჰქონდეთ /ts/ ტიპის აფრიკატები და არ გააჩნდეთ /tʃ/ ტიპის აფრიკატები (საპირისპირო შოვლესას კი საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი), არამედ იმაშიც, რომ ენაში ორევე რიგის არსებობის შემთხვევაში დიფუზური ცენტრალური რიგის აფრიკატების რიცხვი ყოველთვის ნაკლებია ან ტოლი კომპაქტური რიგის აფრიკატების რიცხვისა. როგორც ვხედავთ, მარკირებულობა-არამარკირებულობის ცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი³⁶ ვრცელდება ჩვენს გენერალიზაციაზეც.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით შემდეგ ენებში არსებობს აფრიკატების კომპაქტური ცენტრალური რიგი და არ არსებობს აფრიკატების დიფუზური ცენტრალური რიგი: ინგლისური, შვედური, ესპანური, მაკედონური, ბოშური, ტატური, ტაჯიკური, თალიშური, ბელუჯური, იაგნობური, ძველი სპარსული, საშუალო სპარსული, ავესტა. ახალი სპარსული, ქართული, სანსკრიტი, პრაკრიტები, ჰინდი, ურდუ, პენჯაბი, არაბული, ასურული, ძველი სამწერლო მონღოლური, ბოაზური, დაგურული, დუნსიანური, შირა-უიგურული, აზერბაიჯანული, სალიტერატურო თურქული, თურქმენული, ყირიმის თათრული, ალტაური, კარელური, უღმურტული, ძველი პერმული, კომი-ზირიანული, კომი-პერმული, კომი-იაზვიანური, ნგანასანური, ენეცური, სელკუპური, ოიროტული, კეტური კორიაკული, კორეული, ვიეტნამური, ინდონეზიური, სუნდანური, ტაი, იმანა, ჰაიდა, დელავარი, დაკოტა, იუროკი, კაროკი, კაშია, კეჩუა, ვიოტი, ვინტუ, პატეინი³⁷. კომპაქტური ცენტრალური

³⁵ ზემოლუეციური: M. И. Лекомцева, Типология структур слога..., ციმშიანი: F. Boas, Tsimshian, Handbook; კვაკიუტლი: F. Boas, Kwakiutl, იქვე; ნენეცური: Н. М. Терещенко, Ненецкий язык, «Языки народов СССР», III, 1966; ამოი-ჩინური: Helen T. Chiang, Amoy-Chinese Tones, Phonetica, 17, № 2, 1967, გვ. 100.

³⁶ J. H. Greenberg, Language Universals..., გვ. 59.

³⁷ შვედური: С. С. Маслов-Лашанская, Шведский язык, I, 1953; Л. И. Смирницкий, Сравнительная фонетика новогерманских языков, М., 1962. მაკედონური: M. И. Лекомцева, Типология структур слога

აფრიკატების რიცხვი მეტია დიფუზური ცენტრალური აფრიკატების რიცხვზე შემდეგ ენათა ფონემატურ სისტემებში: ანდიური, ალულური, ბოთლიხური, კამალალური, რუმინული (დაკო-რომანული დიალექ-

в славянских языках, М., 1968; ბოშური: Т. С. Вентцель, Цыганский язык, «Языки народов СССР», I, 1966, ტაჯიკური: А. А. Керимова, Таджикский язык, I, 1966; თალიშური: Б. В. Миллер, Талышский язык, М., 1953; ქ. А. Пирейко, Талышский язык, «Языки народов СССР», I, 1966; ბელუჯური: В. С. Расторгуева, Белорусский язык, «Языки народов СССР», I, 1966; იაგნობური: В. С. Соколова, Ягнобский язык, Очерки по фонетике иранских языков, II, М.-Л., 1953; ძველი სპარსული: Н. А. Sakutaga Sen, Old Rersian Inscriptions of the Achaemenian Emperors, Calcutta, 1941; საშუალო სპარსული: В. С. Расторгуева, Среднеперсидский язык, М., 1966; ახალი სპარსული: Ш. Г. Гаприндашвили, Дж. Ш. Гунашвили, Фонетика персидского языка, Тбилиси, 1964; სანსკრიტი: В. А. Кочергина, Начальный курс Санскрита, М., 1956; В. В. Иванов, В. Н. Топоров, Санскрит, М., 1960, ჰინდი: Т. Е. Катенина, Язык Хинди, М., 1960; ურდუ: Э. М. Дымшиц, Язык Урду, М., 1962; პენჯაბი: Н. И. Толстая, Язык Пенджаби, М., 1960; გურთული: В. С. Соколова, Очерки по фонетике иранских языков, М., 1958; შუაინდური ენები, — პრაკრიტები: მაჰარაშტრი, შუარასენი, მაგადჰი, არჰამაგადჰი, ჩილიკა-პაიჩაში: В. В. Вертоградова, Структурная типология среднеиндийских фонологических систем, М., 1968; ძველი სამწერლო მონღოლური: Старописьменный монгольский язык, М., 1962; სალიტერატურო თურქული: Э. В. Севортян, Фонетика турецкого литературного языка, М., 1955; А. Н. Кононов, Грамматика турецкого языка, М., 1911; აზერბაიჯანული: И. З. Гаджиева, Азербайджанский язык, «Языки народов СССР», II, 1966; თურქმენული: И. А. Баскаков, Тюркские языки, М., 1966; П. А. Азимов, Дж. Амансариев, К. Сарыев, Туркменский язык, «Языки народов СССР», II, 1966; ყირიმის თათრული: Э. В. Севортян, Крымско-Татарский язык, «Языки народов СССР», II, 1966. ალთაური: И. А. Баскаков, Алтайский язык, «Языки народов СССР», II, 1966; ყუმიყური: А. Г. Магомедов, Кумыкский язык, «Языки народов СССР», II, 1966; კარელური: Г. И. Макаров, Карельский язык, «Языки народов СССР», III, 1966; უდმურტული: Т. И. Тенляшина, Удмуртский язык, იქვე, კომი-ზირიანული: В. И. Лыткин, Коми-зырянский язык, იქვე. კომი-პერმული: В. И. Лыткин, Коми-пермский язык, იქვე. ძველი პერმული: В. И. Лыткин, Древнепермский язык, М., 1952. კომი-იზვინური: В. И. Лыткин, Коми-извинский диалект, М., 1961; ნგანასანური: Н. М. Терещенко, Нганасанский язык, «Языки народов СССР», III, 1966; ენეკური: Н. М. Терещенко, Энецкий язык; იქვე; სელკუტური: Е. Д. Прокофьева, Селькупский язык; იქვე; ოიროტული: Н. П. Дырщикова, Грамматика ойротского языка, М.-Л., 1940; კეტური, კორიაკული: Е. А. Крейнович, Проект единой фонетической транскрипции для палеоазиатских языков, М.-Л., 1901; კორეული: Ю. Н. Мазур, Корейский язык, М., 1960; ვიეტნამური: В. М. Солнцев, Ю. К. Лекомцев, Т. Т. Мхитарян, И. И. Глебова, Вьетнамский язык, М., 1960; ტაი: Л. И. Морев, Ю. Я.

ტი), მოლდავეური, ბულგარული, სერბოხორვატული, მონგოლური, ყირგიზული, ყარჩაულ-ბალყარული, უზბეკური, ხაკასური, ხორეზმული, ვესპური, ვოდური³⁸. გამონაკლისს შემომოყვანილი წესიდან შეიცავენ შემდეგი ენები: ბარაბინელი თათრების ენა (/tʃ/, /s/, /ʃ/), ჩულიმურ-თურქული (/dz/, /tʃ/, /z/, /s/, /ʃ/),³⁹ და მაიდუ⁴⁰. ბარაბინული თათრულის შესახებ ლ. დიმიტრიევა აღნიშნავს, რომ ამ ენის /s/ შეესატყვისება მონათესავე ენათა /tʃ/-ს⁴¹. საეარაუღოა იმავე მოვლენას ჰქონ-

П л а м, М. Ф. Ф о м и ч е в а, Тайский язык, М., 1961; სუნდანური: А. П. Павленко, Суиданский язык, М., 1965; დელაუარი (ანუ ლენაუ): А. Haudricourt, Lenape ou Delaware, „Les Langues du Monde“ 1952; ეგუა: E. W. M id d e n d o r f, Das Runa Simi oder die Keshua Sprache, Leipzig, 1890; კაროკი: Sh. Silver, Shasta and Karok, A Binary Comparison. Studies in Californian Linguistics, 1964; M. R. H a a s, Californian Hokan, იქვე. R. L. O s w a l l, A Comparative Cludy of Two Pomo Languages, Studies in Californian Linguistics; დაკოტა: F. B o a s and I. K. S w a n t o n, Siouan (Dakota) Handbook, 1911; აიმარა. E. W. M id d e n d o r f, Die Aimara-Sprache, Leipzig, 1891; იუროკი: K. V. T e e t e r, Wiyot and Yurok, A Preliminary Study, Studies in Californian Linguistics, 1964; ტატური, ბაოანური, დაგურული, მონღოლური, შირა-უიგურული, ვიტუ, პატენის შესახებ იხ. ზემოთ.

³⁸ ანდორი: ი. ცეკ ცეკ აძე, ანდორი ენა, თბილისი, 1965. Т. Е. Г у д а в а, Консоантнизм индийских языков, Тбилиси, 1954; აღლური: А. А. М а г о м е т о в, Агулский язык, „Языки народов СССР“, т. IV, 1967; ბოთლიბური: ტ. გუდაევა, ბოთლიბური ენა, თბილისი, 1962; წახურული: Б. Б. Т а л и б о в, Цахурский язык, „Языки народов СССР“, IV, 1967; კამალალური: З. М. М а г о м е д б е к о в а, Чамалинский язык, იქვე. რუმინული: F. B. A g a r d, Structural Sketch of Rumanian, Language, V. 34, № 3, 1958. (2); მოლდავეური: Н. Г. К о р л э т я н у, Молдавский язык, „Языки народов СССР“, I, 1966; ბულგარული: Е. И. Б е з н о в и ч, Т. П. Г о р д о в а-Р ы с а л ь ч е н к о, Болгарский язык, Л., 1957; სერბოხორვატული: П. А. Д м и т р и е в, Г. И. С о ф р о н о в, Сербохорватский язык, М., 1966, ყარჩაულ-ბალყარული: М. А. Х а б ы ч е в, Карачаево-балкарский язык, „Языки народов СССР“, II, 1966; ხორეზმული: А. А. Ф р е й м а н, Хорезмийский язык, М., 1951; ვესპური: М. М. Х я м я л я н и н е н, Веспский язык, „Языки народов СССР“, III, 1966; ვოდური: Э. А д л е р, Водский язык, იქვე, დანარჩენ ენათა შესახებ იხ. ზემოთ.

³⁹ ბარაბინელი თათრების ენა: Л. В. Д м и т р и е в а, Язык барабинских татар, „Языки народов СССР“, II, 1956; ჩულიმურ-თურქული: А. П. Д у л ь з о н, Чулымско-тюркский язык, იქვე.

⁴⁰ მაიდუ გამონაკლისს ქმნის რ. დიქსონის აღწერის მიხედვით. იხ. კრებულში: F. B o a s, Handbook of American Indian Languages, Washington, 1911, მაგრამ ვ. შიპლიის ნაშრომის მიხედვით (W. F. Shipley, Maidu Grammar, Berkeley and Los Angeles, 1964) ჩვენთვის საინტერესო ფონემა ხნიერთა მეტყველებაში ლამინო-პალატალურ ხშულს წარმოადგენს და აფრიკატის სახეს მხოლოდ ორენოვანთა მეტყველებაში იღებს.

⁴¹ Л. В. Д м и т р и е в а, Язык барабинских татар, გვ. 158.

დეს ადგილი ჩულიმურ-თურქულშიც. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი გამონაკლისი აშკარად დიაქრონიული პროცესების შედეგს წარმოადგენს.

ამრიგად, აფრიკატების კლასში ორსაფეხურიანი იერარქია არსებობს: 1) პერიფერიული ფონემები გულისხმობენ ცენტრალური ფონემების არსებობას. ეს მოვლენა იმითაა გაპირობებული, რომ ცენტრალური რიგი პერიფერიულს უპირისპირდება, როგორც არამარკირებული — მარკირებულს. 2) დაფუზური რიგი გულისხმობს კომპაქტური ცენტრალური რიგის ფონემების არსებობას. ამიტომ კომპაქტური ცენტრალური რიგი ქმნის ძირითად რიგს აფრიკატთა კლასში. შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ ეს რიგი ამავე დროს ოპტიმალურიცაა, ე. ი. მისი ფართო გავრცელება მსოფლიოს ენებში შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს. როგორც ცნობილია, აფრიკატები ხშულთა სისტემის ქვეკლასს ქმნიან. ამ სისტემაში კი, რ. იაკობსონის თანახმად, მინიმალურ კონსონანტიზმს დიფუზური ბგერები /p/ და /l/ ქმნიან. ხშულთა სისტემისათვის ამ ბგერათა ოპტიმალურად მიჩნევა შემდეგნაირადაა დასაბუთებული: პირველ ფონემატურ კონტრასტად ადამიანთა ენისათვის რ. იაკობსონს ხმოვნისა და თანხმოვნის დაპირისპირება მიაჩნია. მაქსიმალურად კონტრასტულ თანხმოვნად მიჩნეულია მაქსიმალურად ღია /a/ და მაქსიმალურად დახურული /p/ ფონემები. თვით კონსონანტურ სისტემაში დენტალური ხშულები წარმოადგენენ სისტემის საფუძველს, რადგან დენტალების ცენტრალურობა (ტონის სიმადლე) ლაბიალებისა და გუტურალების პერიფერიულობას (ტონის სიდაბლეს) უპირისპირდება, როგორც ელემენტარული თვისება უფრო მაღალ (რთულ) თვისებას⁴². ამის გამო რ. იაკობსონს მიაჩნია, რომ ხშულთა სისტემაში ლაბიალური და დენტალური რიგები ორმხრივი გაპირობებულიობით არის დაკავშირებული, რადგან კონსონანტური დაპირისპირება ვარაუდობს თანხმოვნისა და ხმოვნის დაპირისპირებას, ამ უკანასკნელისთვის კი აუცილებელია ლაბიალური ხშულის არსებობა. სხვა კონსონანტურ კლასებში გაპირობებულობა ცალმხრივია და ძირითად ფონემას ნაპრალოვანთა კლასში წარმოადგენს [s] ტიპის ბგერა⁴³, ნაზალთა კლასში კი [n] ტიპის ბგერა⁴⁴. ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალა გვარწმუნებს, რომ ხშულთა კლასებშიც ასევე დიფუზური ცენ-

⁴² R. Jakobson, Kindersprache..., გვ. 391.

⁴³ იქვე.

⁴⁴ Ch. A. Ferguson, Assumptions about Nasals, A Sample Study in Phonological Universals, Universals of Language, გვ. 44. „თუ ენაში მხოლოდ ერთი ნაზალი კონსონანტი არსებობს, მაშინ მას ექნება /n/-ს სახე, ე. ი. მისი ძირითადი ალოფონი აპიკალური“.

ტრალური ფონემები წარმოადგენენ ოპტიმალურ რიგს.. არსებობს ენები ლაბიალური ხშულების გარეშე (პუპა, ტლინგიტი), მაგრამ არ არსებობს ენა, რომელსაც არ გააჩნდეს ხშულ თანხმოვანთა დენტალური რიგი. არსებობს ენები ცარიელი უჯრებით ლაბიალურ რიგში. ენება: ანდიური, ბაგვალალური, ბოთლიხური, ტინდიური, ლოდობერიული, ზუნძური, ჰამალალური, კიოვა-აპაჩე, ჰაიდა, იტონამა⁴⁵, აკლია გლოტალიზებული ლაბიალური ფონემა. ხაკასურსა და ჩინუკში არ არის მკლერი ლაბიალური ხშული. არაბულს, მონღოლურს, ბურიატ-მონღოლურს, ვიეტნამურს აქვთ არადაკიშული ლაბიალური ხშულები და არ გააჩნიათ შესაბამისი დაკიშული ფონემები. ჩიპევაში ლაბიალური რიგი ნაკლულია—არ არის ასპირირებული და გლოტალიზებული ფონემები. ყველა ამ ენაში არსებობს დენტალური რიგის შესაბამისი ფონემები და, რაც მთავარია, არ არსებობს ენა, რომელსაც გუტურალურ ან ლაბიალურ რიგში მეტი ფონემატური დაპირისპირება ჰქონდეს, ვიდრე დენტალურში (ე. ი. არ არსებობს ენა ცარიელი უჯრებით დენტალურ რიგში). ამასთან, დიფუზური ცენტრალური რიგის ფონემათა სიხშირე უნივერსალურად მაღალია ლაბიალური ან გუტურალური რიგის ფონემათა სიხშირეზე⁴⁶. ზოგიერთ ენაში გუტურალური რიგის ფონემათა სიხშირე სპარბობს ლაბიალური რიგის ფონემათა სიხშირეს (ასეთია ენები: ქართული, სვანური, მეგრული, უკრაინული, გერმანული, ინგლისური, შვედური, ინდონეზიური). აქედან კი გამომდინარეობს, რომ კონსონანტურ სისტემაში ძირითად რიგად დიფუზური ცენტრალური რიგი უნდა მივიჩნიოთ და, ამდენად, კონტრასტი თვით კონსონანტურ სისტემაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონტრასტი ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემებს შორის. ამას ის უნდა განაპირობებდეს, რომ არ არსებობს ენა, რომელშიც დაცული იქნებოდა პირველი ეტაპი ენობრივი სისტემის ჩამოყალიბებისა—მხოლოდ ხმოვნისა და თანხმოვნის დაპირისპირება (რ. იაკობსონის მიხედვით), ყველა არსებულ ენაში ხშულ თანხმოვანთა სულ მცირე ორი რიგი მაინც არის (დენტალური და ლაბიალური, ან დენტალური და გუტურალური).

⁴⁵ ბაგვალალური: Т. Е. Г у д а в а, Багвалалыский язык, „Языки народов СССР“, IV, 1967; ტინდიური: Т. Е. Г у д а в а, Тиндийский язык, იქვე, 1967; ლოდობერიული: Т. Е. Г у д а в а, Годоберийский язык, იქვე, კიოვა-აპაჩე: W. E. Bittle, Kiowa-Apache. Studies in the Athapaskan Languages, 1963; იტონამა: M. Laccardi and I. Grimes, Itonama Intonation and Phonemes, Linguistics, 1968, 38 დანარჩენი ენის შესახებ იხ. ზემოთ.

⁴⁶ W. M á n c z a k, Fréquence d'emploi des occlusives labiales, dentales of vélares, BSLP, LIV, 1959.

ხმულთა სისტემის ოპტიმალურ—დიფუზურ ცენტრალურ რიგთან მიმართებით კომპაქტური ცენტრალური რიგის აფრიკატი ხასიათდება მეტი კონტრასტულობით, ვიდრე დიფუზური ცენტრალური რიგის აფრიკატი. მათ განასხვავებს დახასიათება როგორც კომპაქტურობა—დიფუზურობის ნიშნის მიხედვით, ისე მკვეთრი-არამკვეთრი ნიშნის მიხედვით. დიფუზური ცენტრალური აფრიკატი კი ოპტიმალური ხმულთაგან განსხვავდება მხოლოდ მკვეთრობა-არამკვეთრობის ნიშნის მიხედვით. შუაენისმიერი ხმული, როპლის დახასიათება კომპაქტურობა-დიფუზურობისა და ცენტრალურობა-პერიფერიულობის თვალსაზრისით ემთხვევა ძირითადი აფრიკატის დახასიათებას, გვხვდება შედარებით იშვიათად და გამოირჩევა არამდგრადობით მსოფლიოს ენათა ფონემატურ სისტემებში. ჩვენი მშალის მიხედვით, დიდ იშვიათობას წარმოადგენს ენები რომლებშიც თანაარსებობენ კომპაქტური ცენტრალური რიგის ხმულები და კომპაქტური ცენტრალური რიგის აფრიკატები (ჩვენ მხოლოდ ერთ ასეთ ენას ვიცნობთ — ენეცურს, ეკუთვნის ენათა სამოედურ ჯგუფს), ეს რიგი (კომპაქტური ცენტრალური), არა მარტო ოპტიმალური ჩანს აფრიკატთა წარმოებისათვის, არამედ მინიმალურად ხელსაყრელიც ხმულთა არტიკულაციისათვის. ამ რიგის ხმულებს (შუაენისმიერებს) გააჩნიათ ძლიერი ტენდენცია აფრიკატურზაციისა. პალატალიზაციის პროცესის შედეგად ხმულთა გუტურალური რიგის ამ სფეროში გადაწევის დროსაც, როგორც წესი, აფრიკატიზაციას აქვს ადგილი. ფართოდ გავრცელებული გუტურალური რიგისაგან კომპაქტური ცენტრალური რიგის აფრიკატები განსხვავდებიან როგორც მკვეთრობა-არამკვეთრობის, ასევე პერიფერიულობა-ცენტრალურობის ნიშნის მიხედვით. ამრიგად, ის ფაქტი, რომ კომპაქტური ცენტრალური რიგი აფრიკატების სისტემაში ყველაზე გავრცელებულია, აიხსნება მაქსიმალური კონტრასტის პრინციპით.

საზოგადოდ მიჩნეულია, რომ კომპაქტური რიგის ფონემები დიფუზურებს უპირისპირდებიან როგორც მარკირებულები—არამარკირებულებს, მაგრამ აფრიკატთა სისტემაში, როგორც ჩანს, საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი. კომპაქტური რიგის აფრიკატებს აქვთ არამარკირებულობის ნიშნები, დიფუზირებს კი მარკირებულობის. ენას შეიძლება ჰქონდეს კომპაქტური რიგის აფრიკატები, როცა დიფუზური რიგისა აკლია და დაპირისპირებათა რიცხვი დიფუზურ რიგში არასდროს არ არის მეტი კომპაქტურ რიგში დაპირისპირებათა რიცხვზე, ნაკლები კი ხშირად არის. ეს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მარკირებულობა-არამარკირებულობის ცნების განხილვა საჭიროა არა განყენებულად, არამედ იმ ელემენტთა კლასებთან მიმართებით, რომლებშიც ოგი მოქმედებს. როგორც ჯ. გრინბერგმა უჩვენა, მკვეთრობა-სიყ-

რუის ოპოზიციაში მედერობა მარკირებულია, სიყრუე კი—არამარკირებული, მაგრამ სონორ ფონემათა კლასში პირიქით — მედერი ფონემები ოპოზიციის არამარკირებული წევრებია, ყრუ კი — მარკირებული⁴⁷.

რაც შეეხება კომპაქტურ და დიფუზურ რიგთა აფრიკატების სიხშირეთა ურთიერთმიმართებას, აქ რაიმე მკაცრი კანონზომიერების გამოვლენა ქირს. ზოგიერთ ენაში დიფუზურ აფრიკატთა სიხშირეა უფრო მაღალი (მაგ. აფხაზურში, ქართულში, დიდოურში, ჩეხურში), ზოგში კი კომპაქტური რიგის აფრიკატებისა (სევანური, მეგრული, თაბასარანული, რუსული, უკრაინული, ბულგარული, კოოსი). როგორც ვხედავთ, ჩვენი მასალის მიხედვით, იმ ენათა რიცხვი, რომლებშიც კომპაქტური რიგის აფრიკატთა სიხშირე მეტია დიფუზური რიგის აფრიკატებზე, ქარბობს იმ ენათა რიცხვს, სადაც შებრუნებულ მდგომარეობას აქვს ადგილი, მაგრამ მასალის სიმცირის გამო რაიმე ზოგადი ხასიათის დასკვნების გაკეთება გამართლებულად არ მიგვაჩნია.

კომპაქტური ცენტრალური რიგის აფრიკატთა უპირატეს გავრცელებას დიაქრონიული პროცესებიც უნდა უწყობდნენ ხელს. ენაში აფრიკატთა ჩამოყალიბების სამი გზიდან პირველი ორის საშუალებით (ხშული და ნაპრალოვანი თანხმოვნების შერწყმა და ნაპრალოვანთა აფრიკატიზაცია) შესაძლებელია როგორც დიფუზური, ისე კომპაქტური რიგის აფრიკატების მიღება. რაც შეეხება მესამე გზას (ხშულთა აფრიკატიზაცია), შუაენისმიერთა აფრიკატიზაციის შემთხვევაში მიიღება მხოლოდ კომპაქტური ცენტრალური რიგის ფონემები, დენტალური და გუტურალური რიგის პალატალიზაციის დროს კი ვიღებთ როგორც დიფუზურ, ისე კომპაქტურ აფრიკატებს; მაგრამ კომპაქტურ აფრიკატთა მიღებას გაცილებით უფრო ხშირად აქვს ადგილი. ვერ მოხერხდა იმ უნივერსალურ პირობათა დადგენა, რომლებშიც მხოლოდ დიფუზურ, ან მხოლოდ კომპაქტურ აფრიკატთა მიღება ხდება (შესაძლებელია ასეთი უნივერსალური პირობები არც არსებობენ) და ამიტომ გვიხდება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით დაკმაყოფილება. პალატალიზაციის ჩვენთვის ცნობილი ოცდახუთი შემთხვევიდან ხუთ შემთხვევაში შედეგი დიფუზურ აფრიკატს წარმოადგენს, ოცში კი — კომპაქტურს.

ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო უნივერსალური ფაქტები ორი ზოგადი პრინციპის — მაქსიმალური კონტრასტის პრინციპისა და მარკირებულობა-არამარკირებულობის პრინციპის ჩარჩოებში პოულობენ.

⁴⁷ J. H. Greenberg, *Language Universals...*, გვ: 59.

ადგილს. უნივერსალურ მიმართებათაგან გადახვევის შემთხვევები ორი სხვადასხვა მიმართულების უნივერსალურ მიმართებათა ურთიერთგადაკვეთის ან დიაქრონიული პროცესების მოქმედების შედეგია.

И. Г. МЕЛИКИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ИМПЛИКАЦИОННЫЕ УНИВЕРСАЛЬНЫЕ ЗАКОНОМЕРНОСТИ В СИСТЕМЕ АФФРИКАТ

Резюме

Универсальная закономерность, сформулированная Р. Якобсоном: «Противопоставление взрывных и аффрикат предполагает наличие щелевой согласной того же ряда» не содержит информации, как распространяется эта генерализация на противопоставления по способу артикуляции (напр.: противопоставления звонкости — глухости, напряженности — ненапряженности, глоттализованности — неглоттализованности и т. д.). Анализ языкового материала показал, что наиболее последовательно эта закономерность действует в области немаркированных членов противопоставлений, т. е. в области глухих или ненапряженных фонем. На маркированные члены таких оппозиций, как противопоставления по признаку аспирации, глоттализации, палатализации, лабиализации, фарингализации она не распространяется вовсе. На звонкие фонемы генерализация Р. Якобсона распространяется в большей степени, чем на аспирированные и глотализованные, и в меньшей степени, чем на глухие.

Исключения из означенной генерализации имеются и в области глухих фонем, при этом все исключения приходятся на компактный центральный ряд фонем. Абсолютный характер универсальное утверждение Р. Якобсона имеет в области глухих диффузных центральных фонем. Следует отметить, что и в области звонких фонем значительно больше исключений в компактном ряду, чем в центральном.

На основе анализа того же материала, представляется возможным утверждать, что в подсистеме аффрикат имеется двухступенчатая иерархия: 1) Периферийные фонемы (напр. pf, kx) предполагают наличие центральных фонем (напр., ts, tʃ) и 2) Наличие диффузных центральных фонем (например, ts) предполагает наличие компактных центральных фонем. Из этого следует, что компактные центральные аффрикаты образуют основной ряд в системе аффрикат. Если привести это обобщение в соответствие с генерализацией Р. Якобсона, получим следующее утверждение универсального характера: Наличие

аффрикат диффузного центрального ряда и щелевых компактного центрального ряда предполагает наличие аффрикат компактного центрального ряда. Это утверждение имеет статистический характер. Исключения из него представляют язык ба-рабинских татар, чулымско-тюркский и Манду.

Изученные нами универсальные факты можно вывести из двух общих принципов: из принципов максимального контраста и маркированности — немаркированности. Исключения из универсальных закономерностей являются результатом или перекрещивания двух закономерностей, или действия диахронных процессов.

CVC ტიპის ძირითად ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში¹

II

1. განხილულია CVC ზოგადი ტიპის ძირები, რომლებშიც ხმოვნის წინა და მომდევნო კომპონენტი (ან ორივე ერთად) თანხმოვანთა ჯგუფებია². ჩვენ შევეჩვიეთ ჯერ ამ ჯგუფების ფონემურ შედგენილობას ცალ-ცალკე³, შემდეგ კი, მათ ურთიერთიმართებას ძირის ფარგლებში.

1.1. ძირის შემადგენელი თანხმოვნური კომპონენტებისათვის გამოყენებულია სპეციალური სახელწოდებები. ასე, ხმოვნის წინა კომპონენტს (თანხმოვანს ან თანხმოვანთა ჯგუფს) ვუწოდებთ თავკიდურს, მომდევნოს კი ბოლოკიდურს (რაც შეესაბამება დესკრიფციულ ლინგვისტიკაში გამოყენებულ ტერმინებს onset და coda)⁴.

¹ ნაშრომის პირველი ნაწილი, რომელიც შეეხება კონსონანტური ჯგუფების ფონემურ შედგენილობას, წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესიაზე 1969 წ. 19 ივნისს.

² საანალიზო მასალის შერჩევის შესახებ იხ. ჩვენი: CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, I. „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“. ტ II, თბილისი, 1967, გვ. 133-134.

³ ქართული ენის თანხმოვანთა დისტრიბუციული ანალიზისათვის იხ. ს. ჯღერტი, ქართულურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, I. თბილისი, 1960; პ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი, 1961; P. P. Мдивани, Дистрибутивный анализ начальных консонантных групп современного грузинского языка. Автореферат диссертации на соискание уч. ст. канд. филол. наук, Тбилиси, 1966; Ф. Г. Утургадзе, Фонематическая структура горских диалектов грузинского языка в соотношении с литературным языком. Автореферат диссертации на соискание уч. ст. докт. филол. наук, Тбилиси, 1969; ზმნური ძარებას ფონემური სტრუქტურისათვის დაწერ. იხ. Ф. Г. Эртелишвили, Вопросы фонематической структуры и истории глагольных основ в грузинском языке. Автореферат диссертации на соискание уч. ст. докт. филол. наук, Тбилиси, 1967.

⁴ ჩვენ აქ არ ვეხებით ძირის ხმოვნურ ნაწილს, რამდენადაც ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალია. გამოხატვის ქმნიან მხოლოდ ის ძირები, რომელთა თავკიდური მთავრდება ვ-თი, რის შემდეგაც არ გვხვდება ო და უ ხმოვნები (იხ. აგრეთვე

1.2. თანხმობანთა (როგორც თავკიდურ, ისე ბოლოკიდურ) კომბინაციებში მონაწილეობის მიხედვით გამოყოფილია ორი კლასი: ჩქამიერების და სონორების. პირველ კლასში გაერთიანდებიან ხშულები⁵ და ნაპრალოვნები (ქვემოთ მათ აღენიშნავენ C-თი) იმ საერთო მიზნით, რომ ისინი ერთმანეთს უერთდებიან გარკვეული შეზღუდვებით. მეორე კლასში კი გაერთიანდებიან ე. წ. სონორები (აღენიშნავენ S-ით), რომლებიც არასონორ თანხმობებთან კომბინაციებს ქმნიან ამ შეზღუდვათა გარეშე. ასეთებია ნ ლ რ. მათ რიგში დგებიან ვ და მ-ც⁶.

1. თანხმობანთა კომბინაციები

2. ძირის ფარგლებში ფონემურ კომბინაციათა სტრუქტურის მიხედვით თავკიდური და ბოლოკიდური განსხვავებულია ერთმანეთისაგან. შესაძლებელი მოდლები, რომელსაც ავლენს თავკიდური შემდეგია:

S(ss)
C(cc)
SC
CS
SCS
CSC
CSCS

„CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში“, I, გვ. 184). ამიტომაც მსჯელობაში ფარულ-ფერულ ან ხერხ-ხორხ ტიპის ძირები შესაბამისად განხილულია როგორც ფ-რფლ და ხ-რხ მოდლები.

⁵ „ხშულებით“ ჩვენ აღენიშნავენ როგორც ხშულ-მსკდომებს (ბ ფ ჰ დ თ ტ გ ქ კ), ისე აფრიკატებსაც (ძ ე წ ჭ ჩ ჭ). განხშვის თავისებურება, რომელსაც ემყარება მათ შორის განსხვავება, დისტრიბუციის თვალსაზრისით არ არის რელევანტური (იხ. აგრეთვე. პ. ფოტო, დასახ. ნაშრ., გვ. 14).

⁶ ე მ ნ ლ რ ერთ კლასში აქვთ გაერთიანებული პ. ფოტოს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 16, 18) და რ. მდივანს (დასახ. ნაშრ., გვ. 11); თ. უთურგაიძე სონორთა კლასში აერთიანებს მხოლოდ რ ლ ნ თანხმობებს იმ ნიშნებით, რომ 1. ურთიერთ-მიმართებაში ყველა წყვილი კომბინაცია აკრძალულია, 2. კლასის წევრები სხვა კლასის მიმართ ერთნაირ ფუნქციას ავლენენ (იხ. თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ.). ვ და მ კი, რამდენადაც, ლ რ ნ-ს მიმართ ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ, ლოკალური რიგის მიხედვით მოქცეულია წყვილბაგისმიერთა კლასში. უნდა აღინიშნოს, რომ თუკი თავკიდურში რ ლ ნ-ს მიმართ პირველი მოთხოვნა სამართლიანია, ბოლოკიდური უკვე არ იცავს ამ კანონზომიერებას. ხოლო რამდენადაც ჩვენ ვაღგებთ საერთო კლასებს ორივე შემთხვევისათვის, შესაძლებლად მიგვაჩნია ვ და მ-ს გაერთიანება სხვა სონორებთან. ამასთანავე, ვ და მ-ს დისტრიბუცია არასონორებთან, მართალია, მთლიანად თავისუფალი არ არის (იმავე ლოკალური რიგის ბ ფ პ ხშულებთან ისინი არ გვხვდება), მაგრამ სხვა მხრივ იქცევიან ლ რ ნ სონორების მსგავსად (არ არჩევენ თანხმობებს მკდრობა-სიყრუის მიხედვით და, რაც მთავარია, აქვთ ანალოგიური ფუნქციონალური დატვირთულობა).

რომელთაგან ბოლოკიდურში რეალიზებულია პირველი ხუთი. მაგრამ იმის გამო, რომ თითოეული მოდელის შიგნით ერთ წევრს შეიძლება შეენაცვლოს იმავე კლასის ერთზე მეტი წევრი, გვაქვს განსხვავებული სტრუქტურული ტიპები, რომლებშიც წევრთა რაოდენობა (დადასტურებულ კომბინაციათა მიხედვით) არ აღემატება ხუთს⁷.

2.1. კომბინაციათა შესწავლისას ამოსავლად ვიღებთ ორწევრიან ჯგუფებს. ასეთი კომბინაციები ყველაზე მრავალრიცხოვანია (იხ. ქვემოთ) და ყველაზე სრულად ავლენენ თანხმოვანთა დისტრიბუციულ შესაძლებლობებს. ამასთანავე მათ საფუძველზე ყოველთვის შეიძლება აიგოს უფრო დიდი კონსონანტური ჯგუფები. ეს გასაგებია, რადგანაც ქართულში ორზე მეტწევრიან ჯგუფებში ერთმანეთის გვერდით მყოფ ყოველ ორ წევრს შორის იგივე დისტრიბუციული წესები მოქმედებს, რომელიც ძალაშია ორწევრიანი კომპლექსების მიმართ⁸.

ორ წევრიანი ჯგუფები

3. სალიტერატურო ქართულს 27 თანხმოვნის⁹ შემთხვევაში მოსალოდნელი 729 კომბინაციიდან თავკიდურში დადასტურებულია 154, ბოლოკიდურში კი — 159¹⁰. ასეთ კომბინაციებში ზემოთ აღნიშნული მოდელებიდან რეალიზებული შეიძლება იყოს მხოლოდ პირველი ოთხი: S (=s+s), C (=c+c), S+C, C+S.

$$s+s \quad (I)$$

3.1. თავკიდურში სონორთა ჯგუფები ძალზე იშვიათია. გვაქვს მხოლოდ ორი კომბინაცია:

⁷ ქართულს თანხმოვნურ ჯგუფებში ფონემათა რაოდენობა, როგორც წესი, ყოველთვის ემთხვევა ბგერათა რაოდენობას. სხვანაირად, ქართულსათვის უცხოა თანხმოვნებს შორის არაფონემური ხმოვნის ჩართვა (როგორც ეს ხდება, მაგ., სომხურში). შტრ. В. В. Шварцкопф, Звуковые цепи в языках мира, М., 1969, გვ. 131, 133.

⁸ კონსონანტური ჯგუფების „დაშლადობის“ შესაძლებლობაზე ენებისათვის, სადაც ჯგუფები შედგენილია ორზე მეტი წევრისაგან იხ. L. Hjelmslev, On the principles of phonematics. Proceedings of the sec. intern. congr. of phonetic sciences, Cambridge, 1935, გვ. 53; იხ. აგრეთვე Дж. Гринберг, Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ВЯ, 4, 1964, გვ. 42, 46.

⁹ არ არის გათვალისწინებული მ, რომელიც ძირულ თანხმოვანთა კომბინაციებში არ შედის.

¹⁰ რა თქმა უნდა, ეს რიცხვები საბოლოოდ დაზუსტებული არ არის, მაგრამ სრულად საკმარისია ქართულსათვის დამახასიათებელ კომბინაციურ თავისებურებათა გასათვალისწინებლად.

მ რ ჯ

თავკიდურისაგან განსხვავებით სონორთა კომბინაციები ბოლოკიდურში უფრო ხშირია. კომბინაციები შემდეგი ჯგუფებითაა წარმოდგენილი:

ენ ვლ ვრ

მნ მლ

ლვ

რე რნ რლ

c+c

(II)

3. 2. ჩქამიერ თანხმოვანთა ორწევრიან ჯგუფებში რეალიზებულია ოთხივე ტიპის მოსალოდნელი კომბინაცია: ხშული+ხშული, ხშული+ნაპარალოვანი, ნაპარალოვანი+ნაპარალოვანი და ნაპარალოვანი+ხშული-განვიხილავთ მათ ცალ-ცალკე.

ხ შ უ ლ ი + ხ შ უ ლ ი. ასეთი კომბინაციები არცთუ ისე ხშირია. სახელდობრ, 225 შესაძლებლობიდან თავკიდურში რეალიზებულია 15, ბოლოკიდურში კი 13 ჯგუფი. რეალიზებულ ჯგუფებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ბაგისმიერი და წინაენისმიერი ხშულების კომბინაცია უკანაენისმიერებთან. დადასტურებულია:

თავკიდური

ბოლოკიდური

ბგ — პკ

— ფქ პკ

ღგ თქ ტკ

— თქ ტკ

ძგ ცქ წკ

ძგ ცქ წკ

ჯგ ჩქ კკ

ჯგ ჩქ კკ

სადაც არარეალიზებული კომბინაციები შემთხვევით ხარვეზებად უნდა ჩაითვალოს. დანარჩენი კომბინაციებიდან გვაქვს:

თავკიდური

ბოლოკიდური

ბჯ ფჩ

ფთ ქთ

ტბ წბ კბ

კბ

ხ შ უ ლ ი + ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ ი. აქაც პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ბაგისმიერ და წინაენისმიერ ხშულთა კომბინაციები უკანაენისმიერ ნაპარალოვანებთან:

თავკიდური

ბოლოკიდური

ბლ ფხ —

ბლ ფხ პყ

ღლ თხ ტყ

— თხ ტყ

ძლ ცხ წყ

— ცხ წყ

ჯლ ჩხ კყ

ჯლ ჩხ კყ

სხვა კომბინაციებიდან დასტურდება:

თავკიდური

ბზ ბჟ

ფს ფშ

გზ —

ქს ქშ

თავკიდურისაგან განსხვავებით ხშირი+ნაპრალოვანი კომბინაციების მხრივ ბოლოკიდური ძალზე შეზღუდულია¹¹. შეიძლება მიეუთითოთ ორ შემთხვევაზე:

ქს ფშ

ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ ი + ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ ი. ამ ტიპის კომბინაციებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია წინაენისპიერი ნაპრალოვანი+უკანაენისპიერი ნაპრალოვანი:

ზღ სხ ელ შხ

რომლებიც დასტურდება როგორც თავკიდურში, ისე ბოლოკიდურში. სხვა კომბინაციებიდან თავკიდურში გვხვდება აგრეთვე

ხს ხშ

ნ ა პ რ ა ლ ო ვ ა ნ ი + ხ შ უ ლ ი. ასეთი კომბინაციები საკმაოდ იშვიათია. დადასტურებულია მხოლოდ:

თავკიდური

სწ სჟ

შფ შტ შქ

ბოლოკიდური

სტ სჟ

შთ შტ შქ ხტ

c+s

(III)

3.3. ასეთი კომბინაციები თითქმის არ არის შეზღუდული¹². თავკიდურად გვაქვს:

თვ ტვ ძვ ცვ წვ ჭვ ჰვ გვ ქვ კვ ზვ ჟვ შვ ღვ ხვ ყვ

ტმ მმ ცმ წმ ჯმ ჩმ ჰმ გმ ქმ კმ ზმ ჟმ შმ ღმ ხმ

ბნ ძნ წნ ჩნ ჰნ გნ ქნ კნ ზნ შნ ღნ ყნ

ბლ ფლ ტლ ძლ ჯლ ჩლ ჰლ კლ გლ ქლ კლ ზლ ჟლ შლ ღლ ხლ ყლ

ბრ ფრ პრ ღრ თრ ტრ ძრ ცრ წრ ჩრ ჰრ კრ გრ ჯრ ზრ სრ შრ ღრ ხრ

ყრ.

ბოლოკიდურში მეორე წევრად განსაკუთრებით ხშირია ვ ნ ღ რ სონორები, ხოლო ძალზე იშვიათია შ. გვაქვს:

¹¹ მეტი წილი ასეთ კომბინაციათა შემცველი ძირებისა გვხვდება ნასესხებ სიტყვებში: მაგ., ლექსი, ღაბჯი, ყაბჯი და მისთ.

¹² გარდა ვ, მ+ბ, ფ, პ-სი. მაგრამ შეზღუდული თანმიმდევრობა (მბ მპ) ბიოლოკიდურში დადასტურებულია.

თვ ტვ ძვ ცვ წვ ჩვ პვ გვ ქვ კვ ზვ სვ შვ ლვ ხვ ყვ
 გმ კმ ზმ შმ ლმ
 ბნ ფნ პნ დნ თნ ტნ ცნ წნ ჯნ კნ გნ ქნ კნ სნ შნ ლნ ხნ
 ბლ ფლ პლ დლ თლ ტლ ცლ წლ ჯლ კლ გლ ქლ კლ სლ შლ ლლ ხლ
 ბრ ფრ პრ დრ თრ ტრ ცრ წრ ჯრ კრ გრ ქრ კრ სრ შრ ლრ ხრ ყრ

s+c

(IV)

3.4. თავკიდურში სონორებიდან ხმულებიდან და ნაპრალოვნების წინ ჩვეულებრივ გვხვდება მ და რ, დადასტურებულია ლ-ც:

მღ მთ მტ მძ მც მწ მჭ მჩ მკ მგ მქ მზ მყ
 ლხ

რბ რთ რწ რჯ რჩ რგ რქ რკ რხ რყ

თავკიდურისაგან განსხვავებით ბოლოკიდური ხასიათდება რ ნ და ლ სონორთა სიხშირით კომბინაციის პირველ წევრად. მ და ვ საკმაოდ იშვიათია:

ვთ ვზ ვს

მბ მპ მს მშ

ნღ ნთ ნტ ნძ ნც ნწ ნჭ ნჩ ნკ ნგ ნქ ნკ ნლ¹³

ლფ ლღ ლთ ლტ ლწ ლქ ლღ ლხ

რბ რფ რვ რპ რღ რთ რტ რძ რც რწ რჭ რჩ რკ რგ რქ რყ

რს რღ რხ

ს ა მ - და მ ე ბ თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ი ა ნ ი ჯ გ ჭ ფ ხ ბ ი ო¹⁴

4. ასეთ ჯგუფებში შესაძლებელი მოდელები, რომელთაც ავლენს თავკიდური შემდეგია:

C
 SC
 CS
 SCS
 CSC
 CSCS

მათი შესწავლისას ამოსავლად ვიღებთ ყველაზე მარტივ (C) ტიპს. მისი წევრები აუცილებლად მონაწილეობენ სხვა მოდელების შექმნაში, რომლებიც ამდენად შეიძლება მივიჩნიოთ გართულებულ

¹³ ნაპრალონობის იმდენად ბუნებრივი ჩანს ბოლოკიდურისათვის, რომ სასაუბრო ენაში ხშირად ხდება ამის საფუძველზე თანხმოვანთა გადასმა (შღრ. მაგ., წინგხ < წიგხ).

¹⁴ აქვე განვიხილავთ -ილ- სუფიქსით ნაწარმოებ (ბზრიალ, ბრკეციალ... ტიპის) ფორმებსაც, რომლებიც ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმებში წარმოდგენილია დაუშლელად.

ტიპებად. ეს გართულება ხდება გარკვეულ კანონზომიერებათა შესაბამისად ან მარჯნიდან, ან მარცხნიდან, ან ორივე მხრიდან ერთად.

მარჯნიდან ჩქამიერთა ჯგუფს (ჩქამიერს) შეიძლება მოსდევდეს მხოლოდ სონორი¹⁵ და არა უმეტეს ორისა. ამასთანავე, ერთი სონორის შემთხვევაში ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ნებისმიერი, მაგრამ ორი სონორის შემთხვევაში პირველი აუცილებლად არის ვ, რომელსაც შეიძლება მოსდევდეს სხვა სონორი (გარდა მ-სი)¹⁶.

მარცხნიდან ჩქამიერთა ჯგუფს (ჩქამიერს) შეიძლება დაერთოს მხოლოდ ერთი სონორი¹⁷, რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება წინ უძღოდეს ერთი ჩქამიერი.

4.1. ჯგუფი მარტივი სახით წარმოდგენილია ჩქამიერთა სამწევრიანი კომპლექსით (თანხმოვნები ერთმანეთს მოსდევენ დეცესიური თანმიმდევრობით). ასეთი კომპლექსების რიცხვი ძალზე მცირეა. ე. ი. გვაქვს სტრუქტურა:

ccc

(V)

პწკ ფსკ

4.2. მოცემული ტიპიდან მარჯვნივ სონორებს დართვით მიიღება CS ტიპი (C-ს შემდეგ ეს არის ერთადერთი მოდელი, სადაც შესაძლებელია სამი ჩქამიერის თავმოყრა). გვაქვს სტრუქტურები:

cccs

(VI)

ბლვ ფტქვ ფსკვ

cccss

(VII)

ბლვრ

შეუღარებლად უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩქამიერთა ჯგუფი შედგება ორი წევრისაგან, რომელსაც ერთვის ერთი ან ორი სონორი. შესაბამისად გვაქვს კომბინაციები:

¹⁵ გამონაკლისია მღვდ-ელ.

¹⁶ აღნიშნული კანონზომიერება იმდენად მყარია, რომ ქართულ ენაში მას ნასესხები სიტყვებიც ექვემდებარება. შტრ: დავრიში <სპარს. დარვიშ. იგი თანაბრად მოქმედებს როგორც მორფემის ფარგლებში, ისე მორფემათა მიჯნაზე, სადაც ორი სონორის შეხედრისას აუცილებლად მოსალოდნელია ვ-ს გადასმა. მეტათეზისის ეს წესი დადგენილია გ. ახვლედიანის მიერ და ფორმულირებულია შემდეგნაირად: ჩქამიერი თანხმოვნის მომდევნო რვ-ლვ-მვ-წვ იცვლება ვრ-ვლ-ვმ-ვნ-დ (იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 360). თვით ფაქტი ახსნილია რ ლ მ ნ-ს სონორობით, რომელთაც ამის გამო აქვთ მიღრევილება მარცვლოვნობისაკენ. როგორც კი სათანადო პოზიცია შეიქმნება, მარცვლოვნობის თავიდან ასაცილებლად ხდება ვ-ს, როგორც ნაკლებად სონორის, რეგრესული მეტათეზისი (იხ. იქვე).

¹⁷ გამონაკლისს ქმნიან ძირები ვრლომ-, მრწამს-.

ccs

(VIII)

თქვ ტკვ ცქვ წკვ ჩქვ ბლვ ღლვ ძლვ ცხვ წყვ ჩხვ ჰყვ ზლვ სხვ ჟლვ
შხვ ფხვ ფშვ სტვ სქვ

ცქმ წკმ ჩქმ თხმ წყმ ჩხმ ჰყმ ზლმ
ღგნ ძგნ ცქნ წყნ ბღნ წყნ შხნ ფშნ

აქლ წალ ჭგლ ჩქლ ბლლ ფხლ ღლლ თხლ ტყლ წყლ ჩხლ ჰყლ სხლ
ჟლლ შხლ

ღკრ თქრ ტკრ ძგრ ცქრ წკრ ჩქრ ფხრ თხრ ცხრ ჩხრ ჰყრ ზლრ ჟლრ
შხრ ბხრ ფშრ სქრ

ccss

(IX)

თქვლ ტკვლ ჭგვლ ჩხვლ ჟღვლ

ფშვნ

ცქვრ

C ჭგუფი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი თანხმო-
ვნითაჲ. მაშინ მას უნდა დაერთოს ორი სონორი. გვაქვს სტრუქტურა:

css

(X)

კვნ წვნ ხვნ

თვლ ტვლ წვლ კვლ სვლ შვლ ღვლ ხვლ ყვლ

ღვრ ტვრ ძვრ წვრ ჩვრ ჰვრ გვრ ქვრ კვრ სვრ ღვრ ხვრ

4.3. განხილული CS ტიპის გართულებით მარცხნიდან მიღებულია
SCS. მარცხნიდან CS (cs, css, ccs, ccss) ჭგუფს შეიძლება დაერთოს
მხოლოდ მ ან რ სონორები. გვაქვს:

scs

(XI)

მტვ მწვ მჩვ მკვ მშვ მღვ მყვ

მკლ

რთვ რწვ

scss

(XII)

მთვრ მკვრ

scs¹⁸

(XIII)

მსხვ მღგმ

მთქნ მტქნ

მწკლ

მწკრ

¹⁸ შესაძლებელია თეორიულად დაუშვათ აგრეთვე scs^{cs} ტიპი. ასეთი სტრუქტურა
საესებით ბუნებრივია როგორც ფონემათა რაოდენობით, ისე განაწილებით. ამიტომ
ხარვეზი შემთხვევითი ჩანს. შღრ. ძირეული მღღვლ-, მწღვლ-, მცქვრ-.

4.4. C ჯგუფი შეიძლება გართულდეს მხოლოდ მარცხნივ. დაერთვის მ ან რ სონორი. გვაქვს:

scc (XIV)

მტყ მტყ მწყ მსხ მელ მხდ მსჯ
რცხ რწყ

4.5. თუ ჯგუფის წინამაეალი სონორი არის რ, მაშინ მას შეიძლება თავის მხრივ წინ უძლოდეს ერთი ჩქამიერი¹⁹. ე. ი. შეიძლება გვქონდეს:

csc (XV)

ბრპ ბრძ ბრწ ბრჯ ბრკ ფრფ თრგ წრბ წრფ ჩრდ ჩრჩ
გრღ ქრთ კრძ ზრზ ურუ ღრძ ღრჯ ღრკ ხრტ ხრჩ ხრკ ყრღ²⁰

cscc (XVI)

ბრწყ ბრკყ ფრჩხ ქრცხ კრჩხ კრცხ

4.6. ეს უკანასკნელი ტიპი შეიძლება შემდგომ გართულდეს მარჯვნიდანაც სონორების დართვით. გვექნება:

csccs (XVII)

ღრტვ თრთვ

ქრცვ გრგვ

სრსე²¹

csccs (XVIII)

ბრღღვ ფრთქვ ფრთხვ

csccs (XLX)

ბრგვწ

5. თავკიდურში დადასტურებული მოდელების ექვსი ტიპიდან ბოლოკიდურში გვხვდება მხოლოდ სამი (2, 3, 4):

$$\begin{array}{c} CS_2 \\ S_1CS_2 \\ S_1C \end{array}$$

¹⁹ თავკიდურში csc კომბინაცია თავისებურ სტრუქტურას გვივლენს. რ აქ ისეთივე გამიჯვრეული ფუნქციით გვევლინება, როგორცაც არის ხმოვანი ცალთანხმოვნიან ძირებში, ე. ი. მის წინამაეალ და მომდევნო თანხმოვნებს შორის მიმართებები ისეთი აღარ არის, როგორც ერთ კომპლექსში იყო მოსალოდნელი.

²⁰ გამონაკლისის სახით რს წინ შეიძლება შეგვხვდეს მ: მრთ, მრწ, მრ გვ, მაგრამ ამ ფორმებისათვის პარალელურად გვაქვს: მთ, რ გვ.

²¹ ამ ტიპის მოდელებში თანხმოვნის მომდევნო სონორად ყოველთვის ვ გვევლინება. გამონაკლისია ბრძმ-

ეს მოდულები ჩვეულებრივ რეალიზებულია სამ და ოთხწევრიანი (იშვიათად ხუთწევრიანი) კომბინაციებით. S კომპონენტი წარმოადგენილია თითო (პირველი — ძირითადი რ ან ნ, იშვიათად მ და ვ; მეორე — ვ ნ ლ, იშვიათად — რ) წევრით, ხოლო C ერთი ან ორი წევრით (ჩვეულებრივ, პარმონიული კომპლექსით). შესაბამისად გვაქვს თავკიდურის ანალოგიური შემდეგი კომბინაციები:

ccs

თქვ წკვ ჩქვ ფხვ ცხვ

ცხლ სხლ

ტან ძგნ ცქნ წკნ ჯგნ ჩქნ თხნ ტუნ ჩხნ ჰუნ სკნ

css

კვლ

scs

გშვ

მბლ მფლ გპლ

ნგვ

ნტლ ნწლ ნჯლ ნგლ ნქლ ნკლ ნზლ ნსლ

ნჯნ

ნღრ

რთვ რცვ რჯვ რგვ რქვ რხვ

რბლ რფლ რპლ რტლ რძლ რკლ რწლ რგლ რჩლ რკლ რხლ

რღნ რთნ რტნ რქნ

sccs

ნელლ

რცხვ რწყვ

რტყლ რცხლ რჯლლ

რცხნ რძგნ რჯგნ რჩქნ

sccss

ნჯგვლ

scc

ნთქ ნღლ ნძლ ნჩხ

რთქ რღლ რთხ რტყ რცხ რჯლ რჩხ რქყ რწბ

6. თანხმომავანთა დადასტურებული კომპლექსების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თავკიდურისა და ბოლოკიდურისათვის საერთო შემდეგი კომბინაციური კანონზომიერებები:

1. არასონორ თანხმომავანთა კომპლექსები დეცესიური ა²².

დეცესიური თანმიმდევრობით ერთმანეთის გვერდით შეიძლება იყვნენ თანხმომავანები, რომლებიც არ იქნებიან ერთი აქტიური ორგანოთი ნაწარმოები²³.

აღნიშნული წესი წარმოადგენს ზ. ჯაფარიძის მიერ დადგენილი არასონორ თანხმომავანთა განაწილების კანონის მოდიფიკაციას. კანონის ავტორის მიერ ფორმულირებულია შემდეგი სახით: „თავკიდურ კონსონანტურ ჯგუფში არასონორს არ შეიძლება მოსდევდეს იმავე აქტიური ორგანოთი ნაწარმოები, მისივე ან მომდევნო ლოკალური რიგის (რიგების) სხვა არასონორი“²⁴. ეს წესი ორწევრიანი ჯგუფებისათვის უშვებს 135, ხოლო კრძალავს 138 კომბინაციას (მ მხედველობაში არ არის შილებული).

მაგრამ თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ძირეულ კომბინაციებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ ამ უკანასკნელებში მონაწილე თანხმომავანები ქმნიან დისტრიბუციულ კლასებს, რომლის წევრები ერთ კომბინაციაში გამორიცხავენ ერთმანეთს ნებისმიერი თანმიმდევრობით. ამგვარად, გვექნება კლასები:

²² თავკიდურსა და ბოლოკიდურში დადასტურებულ არასონორ თანხმომავანთა 227 კომბინაციიდან დეცესიურ კომპლექსებზე მოდის 206 ანუ დაახლოებით 91%, ხოლო აქცესიურებზე-15 ანუ 6% (3% მოდის იმ გამოწვევებზე, როდესაც კომბინაცია ერთი კლასის წევრებისგანაა შედგენილი).

²³ ქართულში დეცესიური კომპლექსებიდან ყველაზე ბუნებრივი და ყველაზე გავრცელებულია ე. წ. პარამონიული კომპლექსები: ბაგისმიერი და წინაენისმიერი ხშულები+უკანაენისმიერი ხშულები, ბაგისმიერი და წინაენისმიერი ხშულები+უკანაენისმიერი ნაპარალოვნები (დაწერ. იხ. გ. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 302 და შემდ.). ამ კომპლექსებისათვის დამახასიათებელია მეორე კომპონენტის უკანაენისმიერობა და სრული შეთანხმება პომოგენურობის (სერიების) მიხედვით. მაგრამ ამ ნიშანთა საფუძველზე პარამონიულ კომპლექსებად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ქართულში არანაკლებ გავრცელებული და ბუნებრივი კომპლექსები: წინაენისმიერი ნაპარალოვნები+უკანაენისმიერი ნაპარალოვნები—ზ, სხ, უღ, შხ.

ქართულში „პარამონიული“ ჯგუფების სხვაგვარი გაგებისათვის იხ. გ. მაქავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965, გვ. 79, 81.

²⁴ ზ. ჯაფარიძე, თანხმომავანთა განაწილების ერთი წესი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. „მეტყველების ანალიზის, სინთეზისა და სტატისტიკის საკითხები“, თბილისი, 1967, გვ. 147.

I. ბ ფ ჰ

II. დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ კ ზ ს ე შ²⁵.

III. გ ქ ჯ ლ ხ ყ

ამ სახით კი აღნიშნული წესი უშვებს 135, ხოლო კრძალავს 214 სტრუქტურულ მოდელს. ამ წესს არ ემორჩილება რამდენიმე მოდელი (სტ, შტ, შთ, სწ, სკ (|| შკ), სჯ (|| შჯ). მაგრამ ვფიქრობთ არარეალიზებული 208 შემთხვევა უფლებამოსილს გვხდის წესი სწორედ უმრავლესობის მიხედვით გამოვიყენოთ, ხოლო დანარჩენები გამონაკლისებად მივიჩნიოთ²⁶.

2. არასონორ თანხმოვანთა კომპლექსებში დაცულია შეთანხმება სერიათა (ჰომოგენურობის) მიხედვით.

დეცესიურ კომპლექსებში ეს წესი მოქმედებს თითქმის უგამონაკლისოდ (ერთადერთი გამონაკლისია სკ), მაგრამ ყოველთვის არ არია დაცული აქცესიურსა და ერთი კლასის წევრებით შექმნილ კომპლექსებში. სახელდობრ, თუ აქცესიური თანმიმდევრობა, შედგენილი ხშირი + ნაპრალოვანი ან ნაპრალოვანი + ნაპრალოვანი წევრებისაგან, ჩვეულებრივ, იცავს ჰომოგენურობის პრინციპს (შდრ. გზ, ხს და მისთ.), უკანა წარმოების ნაპრალოვანთა ან მკვეთრთა და წინა წარმოების ხშირულთა თანმიმდევრობა უკვე არ მისდევს მას და გვაქვს ყრუ + მქედრი ან ფშინიერი + მკვეთრი:

ხლ (მხლ) ტბ წბ კბ კბ ხტ.

ერთი კლასის წევრთაგან შედგენილ კომპლექსებშიც ჩვეულებრივ ფშინიერი ნაპრალოვანს მოსდევს მკვეთრი ხშირი (შდრ. აგრეთვე დეცესიური სკ):

სწ სტ შტ სკ (სკვ) > შკ (შკვ)

²⁵ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფრიკატებისა და ნაპრალოვნების გაერთიანება ერთ რიგში არ შეიძლება: ისინი განსხვავებული არიან როგორც წარმოების ადგილით (სისინა სპირანტები სისინა აფრიკატებზე, ხოლო შიშინა სპირანტები შიშინა აფრიკატებზე უფრო უკან იწარმოებიან. იხ. შ. გაფრიონდაშვილი, საწარმოთქმო დაბრჯობებათა რაჯვარობის საკითხი ქართულში, იყე, XII, გვ. 188), ისე დისტრიბუციული შესაძლებლობებით (ზ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 148). ასევეა გქქ და ლხუს-შიმართაც (იხ. იქვე). ხშირები და სათანადო ნაპრალოვნები სხვადასხვა ფუნქციონალურ კლასებში აქვს გაერთიანებული რ. მდივანსაძე (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 12).

ლოკალური რიგის ფონეტიკური განსხვავება ამჟამად ჩვენთვის როლს არ თამაზობს. დისტრიბუციული უნარის მიხედვით კი მათი ერთ კლასში გაერთიანების შესაძლებლობა ექვს არ იწვევს.

²⁶ აღნიშნული წესი გამოიციხავს იდენტური თანხმოვნების მონაწილეობასაც ერთი კომპლექსის შიგნით. მაგრამ გამონაკლისს კმნიან ის შემთხვევები, როდესაც ამ თანხმოვნებს შორის რ სონორია ჩართული: ფრფ თრთფ ჩრჩ გრგვ ზრზ სრსფ ყრყ.

6.1. სონორების შემცველი კომბინაციებისათვის შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი წესები:

1. არასონორს შეიძლება მოსდევდეს ნებისმიერი სონორი (გამონაკლისს ქმნიან ვ და მ სონორები ბ ფ კ-ს შემდეგ).

2. სონორს შეიძლება მოსდევდეს არასონორი, თავკიდურში ესენია ჩვეულებრივ მ და რ. ბოლოკიდურში კი—ლ რ (იშვიათად ვ და მ) სონორები (გამონაკლისებს ქმნიან ბაგისმიერები, რომლებიც თავკიდურში არ მისდევდნენ მ-ს, ზოლო ბოლოკიდურში ვ და ნ-ს).

3. სონორს შეიძლება მოსდევდეს სხვა სონორი. სამ და მეტწვერიან ჯგუფებში მათი თანმიმდევრობა მკაცრად განსაზღვრულია: ვ+ნ ლ რ, მაგრამ მხოლოდ სონორებისაგან შედგენილ ორწვერიან ჯგუფებში კანონზომიერების დადგენა ჭირს. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ ა) ერთ კომბინაციაში არ გვხვდება ვ და მ. ბ) გვაქვს რ+ნ, რ+ლ კომპლექსები, მაგრამ შებრუნებული თანმიმდევრობა არ გვხვდება²⁷.

7. ამგვარად, თანხმონურ კომბინაციებში შემავალ წვერთა შესაძლებელი თანმიმდევრობის გათვალისწინებით საბოლოოდ შეიძლება წარმოვადგინოთ დისტრიბუციული კლასების განაწილების შემდეგი ცხრილი:

- I. მ რ
- II. ბ ფ კ
- III. $\left\{ \begin{array}{l} \text{დ თ ტ} \\ \text{ძ ც წ} \\ \text{ზ ს} \end{array} \right.$
- IV. $\left\{ \begin{array}{l} \text{ჯ ჩ ჰ} \\ \text{ქ შ} \end{array} \right.$
- V. გ ქ კ
- VI. ლ ხ ყ²⁸
- V. ვ
- VI. მ ნ ლ რ

²⁷ რ—ლ თანმიმდევრობა დაცულია არა მხოლოდ ცალკეულ კომპლექსებში, არამედ მთლიანად ძირის ფარგლებშიც: თუ ძირში გვაქვს ორივე სონორი, მაშინ თავკიდურში ყოველთვის იქნება რ, ბოლოკიდურში კი—ლ (მღრ. აგრეთვე დისტანციური დისიმილაციის შემთხვევები: ლვილი>რვილი და მისთ.)

²⁸ ცხრილში ნაპრალოვნების მოთავსება შესაბამისი ხშულების შემდეგ გაპირობებულია არა მათი წარმოების ადგილის განსხვავებით (მღრ. ზ. ჟაფარიძე, დასახ. ნაშრ.), არამედ მხოლოდ ჰომოგენურობის პრინციპის თვალსაჩინოებისათვის.

აღნიშნული კლასის წევრები დადგენილი წესების საფუძველზე (მიღებული შეზღუდვების გათვალისწინებით) ძირის ფარგლებში ქმნიან ყველა შესაძლებელ კომბინაციას.

8. თავკიდურისა და ბოლოკიდურის ფონემური სტრუქტურების შედარება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად საერთო კომბინაციური კანონზომიერებისა, ისინი ერთმანეთს მაინც უპირისპირდებიან განსხვავებული შედგენილობით, რომელიც ძირითადად განსხვავებული ტენდენციების მაჩვენებელია. სახელდობრ, თუ თავკიდურში CS ტიპის მოდულების რიცხვი SC ტიპის მოდულების რიცხვთან ქმნის შეფარდებას დაახლოებით 6 : 1, ბოლოკიდურში ეს შეფარდება ხდება 1 : 2. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თავკიდურისათვის დაშახასიათებელი მზარდი სონორობის ტენდენცია²⁹ ბოლოკიდურში არამც თუ შესუსტებულია, არამედ შეცვლილია სრულიად საპირისპირო ტენდენციით³⁰.

11. ძირთა სტრუქტურა

9. ზოგადად CVC ტიპის ძირთა ფარგლებში თავკიდურსა და ბოლოკიდურში დადასტურებულ არახმოვან წევრთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება შვიდს (ჩქამიერებისა—სამს, სონორებისა—ოთხს). აღნიშნული ტიპის ძირები ქმნიან განსხვავებულ ფონემურ სტრუქტურებს, რომლებიც ასეთი სიხშირით ნაწილდებიან (ვერტიკალური ხაზებით აღვნიშნავთ თანხმოვანთა რაოდენობას ხმოვნის წინა და მომდევნო პოზიციაში):

IVII	389
IVIII	81
IVVIII	13
IVVIIIH	1
IIVI	325
IIIVI	171
IIIIVI	32
IIIIIVI	7
IIIVII	142
IIIVIII	29
IIIVVII	30

²⁹ ამ პრინციპის შესახებ დაწერ. იხ. თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17; იხ. აგრეთვე ს. ელენტი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

³⁰ მსგავსი ფაქტები სხვა ენებიდანაც არის ცნობილი, დაწერ. იხ. E. Fischer-Jørgensen, On the definition of phoneme categories on a distributional basis. Acta Linguistica, v. 7. Copenhagen, 1952, გვ. 29.

IIIIVII	2
IIIVIII	4
IIIVIII	1
IIIIVIII	1

9.1. როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, თავკიდურ კომბინაციათა რაოდენობა რამდენადმე აღემატება ბოლოკიდურ კომბინაციათა რაოდენობას (748 საპირისპიროდ 668-ისა)³¹. ამასთანავე, როგორც თავკიდურის, ისე ბოლოკიდურისათვის უფრო ხშირია ყრუ (ფშვინიერი და მკვეთრი) კომპონენტების შემცველი კომბინაციები. მაგ., თუ თავკიდურსა და ბოლოკიდურში მკლერების შემცველი კომბინაციების რიცხვი შესაბამისად არის 217 და 197, ყრუ თანხმონების შემცველი კომბინაციების რიცხვი აღწევს 541 (ფშვინიერებისა — 285, მკვეთრებისა — 246) და 471 (ფშვინიერებისა — 252, მკვეთრებისა — 219).

9. 2. რამდენადაც აღნიშნული ტიპის ძირებში ყველაზე ხშირია ისეთები, რომელთა მხოლოდ ბოლოკიდური ან მხოლოდ თავკიდური შედგება თითო წევრისაგან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წამოვადგინოთ ამ წევრთა შეხვედრის ალბათობები.

ერთწევრიანი ბოლოკიდურის
შეხვედრის ალბათობები

S: ლ	0,189
ნ	0,133
რ	0,125
ვ	0,093
შ	0,047
C: ტ	0,090
პ	0,043
კ	0,034
ფ	0,026
ხ	0,026
თ	0,024
ც	0,019
ღ	0,017
ს	0,017
შ	0,017
ჭ	0,017
ბ	0,015

ერთწევრიანი თავკიდურის
შეხვედრის ალბათობები

S: ნ	0,058
ლ	0,056
შ	0,050
ვ	0,025
რ	0,023
C: ბ	0,112
კ	0,099
ფ	0, 64
ხ	0,054
თ	0,050
ქ	0,043
წ	0,039
ჯ	0,037
ც	0,035
ს	0,031
ჩ	0,031
ჭ	0,031

³¹ ამ კონტექსტში საყურადღებო ჩანს ასეთი ცვლილებები: ძვ. ქართ. კიციშ > ახ. ქართ. კვიც, კაზშ > დიალექტ. კვაზ.

წ	0,013	ძ	0,027
ქ	0,011	შ	0,023
ბ	0,009	ყ	0,020
ზ	0,009	ტ	0,019
ჯ	0,007	ზ	0,017
ჩ	0,006	კ	0,014
ც	0,004	ღ	0,012
ღ	0,004	ლ	0,012
ძ	0,004	გ	0,010
ყ	0,001	ქ	0,008

10. რაც შეეხება თავკიდურისა და ბოლოკიდურის ურთიერთშიძარბაზობას ფონეური შედგენილობის თვალსაზრისით, შესაძლებელი ხდება დავადგინოთ რიგი კანონზომიერება, რომელთაც აღნიშნული ტიპის ძირები ავლენენ.

10.1. თუ თავკიდური შედგება ორი ან მეტი წევრისაგან, მაშინ ბოლოკიდურში ჩვეულებრივ არ მეორდება თავკიდურის არც ერთი წევრი³².

ამ ტიპის 744 მაგალითიდან გამონაკლისს ქმნის 35 ანუ საერთო რაოდენობის მხოლოდ 5%. სახელდობრ, ცალთანხმოვან ბოლოკიდურში შეიძლება გამეორდეს:

ა) თავკიდურის ვ, იშვიათად ნ ლ სონორები (წვ-ვ ჰვ-ვ ზვ-ვ სვ-ვ ლვ-ვ ჰვ-ვ ყვ-ვ ქვ-ვ წვ-ლ და მისთ.).

ბ) ორწევრიანი თავკიდურის პირველი (ჩქამიერი) წევრი, თუ მას მოსდევს რ(ტრ-ტ ცრ-ც ჰრ-ჰ სრ-შ რ-შ)³³.

გ) პირველი (ჩქამიერი) წევრი გარკვეული ტიპის რედუპლიცირებულ ძირებში (ზლ-ზნ კლ-კნ ფლ-ფნ გრ-გნ ხრ-ხნ ცმ-ცნ ჯმ-ჯნ ჰმ-ჰნ).

დ) თავკიდური მ (წარმოშობით მორფოლოგიური ელემენტი): მწყ-მს მრწყ-მს.

აღნიშნული ტიპის ძირებში ჰარბობს სონორით დამთავრებულ თავკიდური (744 შემთხვევიდან—528) და სონორით დაწყებული ბოლოკიდური (454). თუ თავკიდური ბოლოვდება ჩქამიერზე, მაშინ მეტია ალბათობა იმისა, რომ ბოლოკიდური კომპონენტი იქნება სონორი (ერთწევრიანი ბოლოკიდურის შემთხვევაში) ან სონორით დაწყებული კომპლექსი (ერთზე მეტწევრიანი ბოლოკიდურის შემთხვევაში). მაგრამ თუ თავკიდურის უკანასკნელი წევრი არის სონორი, მაშინ ბოლოკიდურ-

³² სიტყვის ფარგლებში ორი ჰარმონიული კომპლექსის არსებობის შეუძლებლობის შესახებ იხ. ს. ელენტი, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

³³ გამონაკლისია ნასესხები ძირი ზქეს.

რისათვის თითქმის თანაბრად მოსალოდნელია როგორც ჩქამიერი (ან ჩქამიერით დაწყებული კომპლექსი), ისე სონორი (ან სონორით დაწყებული კომპლექსი). სახელდობრ, განხილული 216 შემთხვევიდან ჩქამიერით დაბოლოებული თავკიდურისათვის ბოლოკიდურში დადასტურებულია ჩქამიერი (ან ჩქამიერით დაწყებული კომპლექსი)—61, ხოლო სონორი (ან სონორით დაწყებული კომპლექსი)—155. მაგრამ სოხორით დამთავრებული 528 თავკიდურისათვის დადასტურებულია ჩქამიერი (ან ჩქამიერით დაწყებული) ბოლოკიდური—229 და სონორი (ან სონორით დაწყებული) — 299.

10.2. თუ თავკიდური წარმოდგენილია მხოლოდ ერთი წევრით, მაშინ ეს წევრი, ჩვეულებრივ ჩქამიერი³⁴, შეიძლება გაშეორდეს პოლოკიდურში როგორც სონორთა მეზობლობაში არსებული ერთადერთი ჩქამიერი ან ჩქამიერთა კომბინაციის პირველი წევრი³⁵ (გამონაკლისებს ქმნიან მხოლოდ ტაბტ-, ყაყ-, კოშკ-, ტაშტ- და მისთ. ნასესხები ძირები).

პირველ შემთხვევაში ჩქამიერი შეიძლება მოხდევდეს სონორებს (გარდა ვ-სი) ან წინ უსწრებდეს სონორებს (გარდა შ-სი):

ს-მს

თ-ნთ ძ-ნძ ც-ნც ჯ-ნჯ ჩ-ნჩ ჭ-ნჭ კ-ნკ

ღ-რღ თ-რთ ც-რც ჯ-რჯ ჩ-რჩ ჭ-რჭ კ-რკ ლ-რლ ხ-რხ

ხ-ლხ

წ-წვ კ-კვ ს-სვ შ-შვ ხ-ხვ ყ-ყვ

ბ-ბნ წ-წნ კ-კნ ხ-ხნ

ფ-ფრ თ-თრ

ბ-ბლ

ან ორივე მხრიდან იყოს სონორთა გარემოცვაში:

ბ-მბლ ფ-მფლ

გ-ნგლ ქ-ნქლ კ-ნკლ ზ-ნზლ ს-ნსლ

ც-რცვ ჯ-რჯვ

ფ-რფლ ტ-რტლ ც-რცლ კ-რკლ

³⁴ თავკიდური სონორი, როგორც წესი, არ შეორდება. გამონაკლისები ძალზე მცირეა (ქ-რხვ, ვ-ფვზ, ლ-ლვ, ნ-ნვ, მ-მლ): 102-დან 5 შემთხვევა ანუ საერთო რაოდენობის 4%.

ოქპრ CVC ტიპის ძირებში პარამონიული კომპლექსების განაწილებისათვის ეს წესი ჩამოყალიბებულ იქნა გ. მაკაეარინის მიერ (მოხსენება „თანხმოვანთა პარამონიული კომპლექსების განაწილების ზოგი საკითხი ქართულში“ მოსმენილ იქნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის საუბრებზე 1966 წლის 22 მარტს) შემდეგი სახით: თუ ხმოვნის წინა ფარგლებში პოზიტივში შეორდება პარამონიული კომპლექსის პირველი წევრი, მაშინ პარამონიული კომპლექსი იქნება ხმოვნისმომდევნო პოზიტივაში. როგორც ჩანს ამ წესის განზოგადება შეიძლება არაპარამონიულ კომპლექსებზედაც.

ბოლოკიდურის ჩქამიერთა კომპლექსი, რომლის პირველ წევრად მეორდება თავკიდურის ჩქამიერი, შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მარტივი სახით, ისე სონორების თანხლებით. მარცხნიდან ეს იქნება ნ, ხოლო მარჯვნიდან ვ ნ ლ:

ფ-ფქ პ-პქ თ-თქ ძ-ძგ ც-ცქ წ-წქ ჯ-ჯგ ჩ-ჩქ კ-კქ:

ბ-ბლ ფ-ფხ თ-თხ ტ-ტყ ც-ცხ ჯ-ჯლ ჩ-ჩხ კ-კყ ს-სხ

შ-შხ ზ-ზლ ე-ელ

ს-სტ

თ-თქ წ-წქ ჩ-ჩქ ც-ცხ

ძ-ძგ ც-ცქ წ-წქ ჯ-ჯგ ჩ-ჩქ თ-თხ ტ-ტყ კ-კყ

ც-ცხ ს-სხ

ჩ-ჩხ

ე-ელ

აღნიშნული ტიპის ძირებში, განურჩევლად იმისა, თუ რითი იწყება ბოლოკიდური (სონორით თუ ჩქამიერთ), თავკიდურში კარბობს ჩქამიერთა რაოდენობა (484 შემთხვევიდან ჩქამიერებზე მოდის 382, სონორებზე კი — 102).

11. გარკვეულ კანონზომიერებას გვიჩვენებენ CVC ტიპის ძირები თავკიდურსა და ბოლოკიდურს შორის ლოკალური რიგისა და ჰომოგენურობის მიხედვით შეთანხმების თვალსაზრისითაც.

11.1. ისევე, როგორც CVC ტიპის ცალთანხმონიან ძირებში³⁶, განხილულ ძირთა შიგნითაც ჩვეულებრივ არ მეორდება ერთი და იმავე ლოკალური რიგის თანხმონები (შიშინა და სისინა სიბილანტებიც ქმნიან ერთ რიგს). განსხვავებას ქმნიან მხოლოდ უკანაენისმიერი ხშულები და ნაპარალოვნები, რომლებიც გვხვდებიან ერთი ძირის ფარგლებში. გვაქვს: ფხ-კ ჩხ-კ კვხ გრხ კრხ ხრ-კ ხვლ-კ ჩხრ-კ ჩხ-კვ ხ-თქ კ-თხ კ-ცხ და მისთ. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება მივიჩნიოთ უკანაენისმიერი ხშულები და ნაპარალოვნები ორი განსხვავებული რიგის წარმომადგენლებად.

11.2. ჰომოგენურობის მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს: თუ თავკიდური შედგება ერთზე მეტი წევრისაგან, მაშინ განურჩევლად იმისა, თუ რითი იქნება ის წარმოდგენილი, ბოლოკიდურში კარბობს ყრუ (ან ყრუს შემცველი კომპლექსი), მაგრამ პირიქით, თუ ბოლოკიდურში არის მჟღერი (ან მჟღერის შემცველი კომპლექსი), მაშინ მეტია ალბათობა იმისა, რომ თავკიდურშიც იქნება მჟღერი. რიცხობრივად ეს მიმართება ასე გამოიხატება:

³⁶ ახ. ჩენი: CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში, I, გვ. 190-191.

ბოლოკიდური \ თავკიდური	მელერი	ფშინეური	მკვეთრი
მელერი	35	27	29
ფშინეური	21	48	74
მკვეთრი	17	56	65

მაგრამ თუ თავკიდური ცალთანხმოენიანია, მაშინ შესატყვისობა უფრო აშკარაა, რაც ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ბოლოკიდური \ თავკიდური	მელერი	ფშინეური	მკვეთრი
მელერი	62	23	26
ფშინეური	31	104	25
მკვეთრი	21	26	52

И. Д. КОБАЛАВА

К ФОНЕМАТИЧЕСКОЙ СТРУКТУРЕ КОРНЕЙ ТИПА CVC В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ, II

Резюме

В статье излагаются результаты структурно-статистического исследования именных и глагольных корней типа CVC (под общий тип CVC подводятся все корни, начальные и конечные компоненты которых составляют комбинации согласных, т. е. корни, имеющие структуру: CVCC, CCVC, CCVC...).

В работе рассматриваются как начальные и конечные комбинации в отдельности, так и их взаимоотношения в пределах корня.

შ ი ბ ა ა რ ს ი

1.	Т. С. Шарадзе-Индзе — Типология языков, синхрония и диахрония	3
ა.	თ. შარაძენიძე — ენათა ტიპოლოგია, სინქრონია და დიაქრონია	3
ბ.	ფოჩუა — ლექსიკური დუბლეტები «ღალატის» თარგმანებში	15
	Б. А. Почуа — Лексические дублеты в грузинских переводах пьесы А. И. Сумбатова-Южина «Измена»	47
3.	მ. მაქავარიანი — ბერკლის ნაზრევი ენის შესახებ	49
	М. В. Мацавариани — Воззрения Беркли на язык	70
4.	გ. კვარაცხელია — მხატვრული ენის შესწავლის საკითხები „ობოიზ“-სა და პრალის სკოლაში	72
	Г. Ш. Кварацхелиа — Вопросы изучения художественной речи в «Ополыз»-е и Пражской лингвистической школе	96
5.	К. Лернер — Метод количественной классификации родственных языков по степени родства	97
ა.	ლერერი — ნათესაობის ხარისხის მიხედვით მონათესავე ენათა კვანტიტატიური კლასიფიკაციის მეთოდი	97
6.	ი. მელიქიშვილი — ზოგიერთი იმპლიკაციური უნივერსალური კანონზომიერება აფრიკატთა სისტემაში	127
	И. А. Меликишвили — Некоторые импликационные универсальные закономерности в системе аффрикат	127
ი.	ქობლავა — CVC ტიპის ძირთა ფონემური სტრუქტურისათვის ქართულში. II	150
	И. Д. Кобалава — К фонематической структуре корней типа CVC в грузинском языке, II	168

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი თ. შარაძენიძე
გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. ამაშუკელი

გადაეცა წარმოებას 9.10.1969; ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.XI.1971;
ქალაქის ზომა 70×108 ნაბეჭდი თაბახი 10,75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 10,21; უე 01434; ტირაჟი 700; შეკვეთა 2579.

ფასი 1 მან. 12 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН ГССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**ВОПРОСЫ СОВРЕМЕННОГО ОБЩЕГО И
МАТЕМАТИЧЕСКОГО ЯЗЫКОЗНАНИЯ**

გამოცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს ხანში გამოსცემს:

1. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში
2. ი. ქობალავა, ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში
3. ა. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის